

სინის მთის
წმ. ეკატერინეს მონასტერი

საქართველოს
საპატრიარქო

საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის ხელნაწერთა
ინსტიტუტი

სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში
1975 წელს აღმოჩენილ
ქართულ ხელნაწერთა

აღწერილობა

შეადგინეს ზაზა ალექსიძემ, მზექალა შანიძემ, ღილი ხევსურიაძმა და
მიხეილ ქავთარიამ

საბერძნეთის კულტურის სამინისტრო - სინური კვლევის ფონდი
ათენი 2005

სათაური: ახალი აღმოჩენები სინის მთაზე
ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

ილუსტრაციები: გამოქვეყნებული ფოტო მასალა ეკუთვნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტს; გვ.504-507 განთავსებული ილუსტრაციებისა - სინის მონასტრის ბიბლიოთეკის არქივს.

გარეკანის დიზაინი: მარია ქსენარიუ

გარეკანის პირველი გვერდი: ფოტო ხელნაწერისა Sin.Geo.N.15, 115v

გარეკანის უკანა გვერდი: წმ.ეკატერინეს მონასტრის 1704 წლის ბეჭედი (ციფრული სისტემით განახლებული, სინური კვლევის ფონდის არქივიდან)

ზომა: 21x28

გვერდების რაოდენობა: 1-502 + ილუსტრაციები 503-664

წიგნის სპონსორები: საბერძნეთის კულტურის სამინისტრო, სინური კვლევის ფონდი

გამოცემა: I, ათენი 2005

© სინის მთის წმ.ეკატერინეს მონასტერი

ISBN: 960-85739-6-3

წიგნი დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობაში „ეპტალოფოს“

 **PRINTING & PRODUCTION: EPTALOFOS S.A.** 12-16 Ardittou str., 116 36 Athens, Greece
Tel.: 210.921.7513 – Fax: 210.923.7033 – www.eptalofos.gr – e-mail: info@eptalofos.gr

Πίναξ Περιεχομένων

1. Πρόλογος Ἀγιωτάτου καὶ Μακαριωτάτου Καθολικοῦ Πατριάρχου Γεωργίας κ. Ἡλιοῦ Β'.....	11
2. Πρόλογος Μακαριωτάτου Ἀρχιεπισκόπου Σινᾶ, Φαράν καὶ Ραϊθῶ κ. Δαμιανοῦ.....	13
3. Κατάλογος Χειρογράφων εἰς τὴν Ἑλληνικὴν γλῶσσαν.....	23
4. Κατάλογος Χειρογράφων εἰς τὴν Γεωργιανὴν γλῶσσαν.....	223
5. Κατάλογος Χειρογράφων εἰς τὴν Ἀγγλικὴν γλῶσσαν.....	353
6. Γεωργιανὸ Ἀλφάβητο, Μεταγραφή, Αριθμοί.....	484
7. Βιβλιογραφία.....	485
8. Πίναξ Εἰκόνων Χειρογράφων.....	503

შიხსახსი

1. წინასიტყვაობა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა.....	15
2. წინასიტყვაობა სინის, ფარანისა და რაითის მთავარეპისკოპოსის უნეტარესი დამიანესი.....	17
3. ხელნაწერთა აღწერილობა ბერძნულ ენაზე.....	25
4. ხელნაწერთა აღწერილობა ქართულ ენაზე.....	223
5. ხელნაწერთა აღწერილობა ინგლისურ ენაზე.....	353
6. ქართული ანბანი, ტრანსკრიფცია, რიცხვითი მნიშვნელობები.....	484
7. ბიბლიოგრაფია.....	485
8. ილუსტრაციები.....	503

CONTENTS

1. Foreword by the Catholicos Patriarch of Georgia ELIA II (Greek, Georgian and English).....	19
2. Foreword by the Archbishop of Sinai DAMIANOS (Greek, Georgian and English).....	21
3. Catalogue of Manuscripts (in Greek).....	23
4. Catalogue of Manuscripts (in Georgian).....	223
5. Catalogue of Manuscripts (in English).....	353
6. Georgian Alphabet, Transcription, Numerical values.....	484
7. Bibliography.....	485
8. Plates.....	503

წინასიტყვაობა

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა

სენსაციური აღმოჩენა, რომელიც 1975 წელს მოხდა სინის მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში, კარგად არის ცნობილი საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში. ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების შესწავლაც კარგა ხანია დაიწყო; გამოქვეყნდა ბერძნულ, არაბულ, სლავურ ხელნაწერთა და სირიულ ფრაგმენტთა კატალოგები; მაგრამ დღემდე თითქმის არაფერი იყო ცნობილი ახლად აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა შესახებ; მათ კი უძვირფასესი მასალები შეჰმატეს მონასტერში უძველესი დროიდან დაცულ და დღეს საყოველთაოდ ცნობილ ქართულ კოლექციას, რომლის მნიშვნელობა აღიარებულია არა მარტო ქართველ მეცნიერთა, არამედ ქრისტიანობის ისტორიის მკვლევართა მიერ მთელს მსოფლიოში,

ქართული სასულიერო მწერლობისადმი დიდ ინტერესს განაპირობებს ის ფაქტი, რომ საქართველომ ქრისტიანობა IV საუკუნის პირველ ნახევარში მიიღო და იმთავითვე მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა მახლობელი აღმოსავლეთის უძველეს საქრისტიანო კერებთან. იმ დროსვე წარმოიშვა ქართული ქრისტიანული მწერლობა, რომლის უძველესი ძეგლები VI-VII საუკუნეების ხელნაწერებითაა ჩვენამდე მოღწეული. განსაკუთრებით საინტერესოა სინური ხელნაწერები, რომლებშიც დაცულია საქრისტიანო მწერლობის უძველესი ტრადიციები.

წმ. ეკატერინეს მონასტერის მესვეურთა მუდმივი ზრუნვა მონასტრის საგანძურის მოვლა-პატრონობაზე კარგად არის ცნობილი. მისი უნეტარესობის სინის მთავარეპისკოპოს დამიანესა და ჩვენი შეთანხმების საფუძველზე ახლად აღმოჩენილ ხელნაწერთა შესწავლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტმა იტვირთა. ამ საღმრთო საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმა: ბატონმა ზაზა ალექსიძემ, ბატონმა მიხეილ ჭავთარიამ, ქალბატონმა მზექალა შანიძემ და ქალბატონმა ლილი ზუესურიანმა, აგრეთვე ქალბატონმა თამარ მესხმა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტიდან. მეუფე დამიანეს ხელშეწყობით ისინი რამდენჯერმე იყვნენ წმ. ეკატერინეს მონასტერში და წინამდებარე კატალოგი მათი მრავალწლიანი შრომის შედეგია.

ესარგებლობთ შემთხვევით და კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოვასწავებთ სინ-რაიონის მთავარეპისკოპოსს, მეუფე დამიანეს, და წმ. ეკატერინეს მონასტრის მოვლ საძმოს, რომელთაც მუდმივი ზრუნვა და ყურადღება არ დაუკლიათ ქართველ სწავლულთათვის. წიგნის გამოცემაც მთლიანად მათ იტვირთეს, რაც ქრისტიანული ძმობისა და სიყვარულის თვალნათლივი მაგალითია.

წინამდებარე კატალოგი არის ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების შესწავლის

პირველი ცდა. იმედი გვაქვს, რომ ერთობლივი სამეცნიერო – კვლევითი მუშაობა მომავალში უფრო ინტენსიური გახდება, და ძველი კულტურული და სარწმუნოებრივი კავშირები საქართველოსა და წმ. ეკატერინეს მონასტერს შორის კიდევ უფრო განმტკიცდება.

ღმერთმა დალოცოს ჩვენი ეკლესიების ერთობა.

ღმერთმა დალოცოს ამ წიგნის ავტორები, გამომცემელი და მკითხველნი.

† ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი

წინასიტყვაობა

სინის, ფარანისა და რაითის მთაფარებისკოპოსის უნეტარესი
დამიანესი

სინის მთაზე, წმიდა მაცვლოვანთან ასკეტური ცხოვრების დაწყებისთანავე გამოჩნდნენ ბერები და მოძღვრებები არა მხოლოდ ბიზანტიის იმპერიიდან, არამედ მის ფარგლებს გარედანაც. მას შემდეგ, რაც იმპერატორმა იუსტინიანემ მონუმენტური მონასტერი ააგო, სინისკენ დაიდრნენ ბერები და მოძღვრებები მთელი ქრისტიანული მსოფლიოდან. ამგვარად, სინა ბერული სამყაროს ფორპოსტად გადაიქცა. დროთა განმავლობაში ბერძნულენოვან მამათა საძმოს სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე მართლმადიდებელთა მცირე ჯგუფებიც შეუერთდა და თავიანთი სულიერი კერები შექმნეს, ამასთანავე თავიანთ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირს განაგრძობდნენ. სინის მთა, მდებარე „ქუეყანასა ამას შინა უდაბნოსა და უგზოსა და ურწყულსა“, შემდგომდროინდელი ისტორიული მოვლენების ფონზე ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის ასკეტთათვის უსაფრთხო თავშესაფარი აღმოჩნდა. სინისკენ გამოემუშრნენ მამები შუა აღმოსავლეთის უმორესი რეგიონებიდან და, ვითარცა რელიკვია, თან ჩამოიტანეს თავიანთ ენებზე თარგმნილი საეკლესიო წიგნები და სხვა სიწმიდენი, და უკვე სინაზე განაგრძეს ფართო მასშტაბის სულიერი მოღვაწეობა.

სინაზე დამკვიდრებულ მოღვაწეთა შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ იბერიელ (ქართველ) მამებს, რომელთაგანაც პირველი, წერილობითი წყაროების თანახმად, არსელაის მონასტრის მკვიდრი, ღირსი მამა მიქაელი იყო. მოგვიანებით კი, IX-XI საუკუნეებში, ქართველმა ბერებმა სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულეს სინის მთის საგანძურის შევსებასა და მისი ბიბლიოთეკის ჩამოყალიბებაში. სინელი ქართველი მწიგნობარი იოანე-ზოსიმე, ხატმწერი ბერი იოანე და მათთან ერთად მოღვაწენი, საუკუნეთა განმავლობაში და დღესაც, ბიზანტიურ-ბერძნული და ქართული სამყაროს მრავალმხრივი და ურყევი ურთიერთობების უბრწყინვალეს მაგალითს წარმოადგენენ, მიუხედავად იმისა, რომ ჟამთა სიავის გამო პოსტბიზანტიურ ეპოქაში ეს ურთიერთობები შეწყდა.

სინის მთის ბიბლიოთეკაში დაცულმა ქართულმა ხელნაწერებმა ადრიდანვე მიიპყრეს მეცნიერთა ყურადღება, ვინაიდან აქ ქართული მწიგნობრობის ადრეული პერიოდის, ანუ ახ. წ. პირველი ათასწლეულის ნიმუშებია დაცული. ისინი წინ უსწრებენ ათონის მთაზე ქართველი მამების მიერ გაჩაღებული მთარგმნელობითი მოღვაწეობის შედეგად შექმნილ ტექსტებს, რომლებიც X საუკუნის შემდეგ დამკვიდრდა ქართულ მწიგნობრობაში და შეცვალა ძველი ტრადიცია.

1975 წელს წმიდა ეკატერინეს მონასტრის სამალავში დიდი რაოდენობის ხელნაწერთა აღმოჩენამ, რომელთა შორისაც 141 ხელნაწერი ქართულია, დასაბამი მისცა ახალ სამეცნიერო კვლევას. ეს ხელნაწერები ამდღებენ

ქართულ სასულიერო მწერლობას უნიკალური ძეგლებით, გვაწვდიან ახალ ცნობებს საქართველოს ისტორიის, კავკასიური ალბანური ენის შესახებ და ასევე, ცნობებს თავად სინის ისტორიისათვის.

1987 წელს სინის დელეგაციის საქართველოში ვიზიტისას და შემდგომშიც, მის უნეტარესობასთან, საქართველოს პატრიარქ ილია II-სთან მუდმივი ურთიერთობისა და თანამშრომლობის პირობებში დადგინდა საქართველოს საპატრიარქოსა და სინის წმიდა მონასტერსა და სამთავარეპისკოპოსოს შორის თანამშრომლობის ჩარჩოები. ამის შესაბამისად გადაწყდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ აღნიშნული საგანბურის შესწავლა და წარმოჩენა. სამეცნიერო ექსპედიციები, – აკადემიკოს ზაზა ალექსიძის ხელმძღვანელობით, – რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდნენ მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერი პალეოგრაფები: მიხეილ ქავთარია, მზექლა შანიძე, ლილი ხევსურიანი, რესტავრატორები და ფოტოგრაფები, რამდენჯერმე ეწვივნენ სინის მთას და აქვე იმუშავეს. წინამდებარე ნაშრომი განხორციელდა მონასტრის მამათა ერთსულოვანი მხარდაჭერითა და მონასტრის წიგნთსაცავის იმ ხელმძღვანელთა თანადგომით, რომელნიც სხვადასხვა დროს უძღვებოდნენ ამ საქმეს. ამ მრავალწლიანი შრომისა და კვლევის შედეგს წარმოადგენს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების სამსახურად წარმოდგენილი ეს კატალოგი, რომელიც დაიწერა და გამოცემად მომზადდა ქართველ მეცნიერთა ჯგუფის მიერ. ამ საქმის განხორციელებაში დიდი წვლილი შეიტანა ელინისტმა თამარ მესხმა, რომელმაც, გარდა იმისა, რომ სინაზე ასრულებდა თარჯიმნის მოვალეობას, ბერძნულ ენაზე თარგმნა წინამდებარე კატალოგი და დიდი წვლილი შეიტანა მის გამოცემაში სინური კვლევის ფონდთან თანამშრომლობით.

მაღლობას ვწირავთ, პირველ ყოვლისა, წმიდა ღმერთს წინამდებარე ნაშრომის დასრულებისათვის. გულთბილ მაღლობას მოვახსენებთ მის უნეტარესობას სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ილია II-ს, ამ წიგნის ავტორებს და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყველა იმ თანამშრომელს, ვინც წვლილი შეიტანა ამ საქმის განსრულებაში.

ვაკურთხებთ წინამდებარე ნაშრომს, რათა სამარადისო ხსენება იყოს იმ ქართველი ბერებისა, რომელთაც სინაზე იღვაწეს, და ყველა იმათი, ვინც სინელ მამათა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ნამუშავენი დღემდე შემოგვინახა.

† დამიანე

სინის, ფარანისა და რაითის მთავარეპისკოპოსი

შენახვა

.....	227
.....	245
.....	313
.....	327
.....	338

სელნაქეთა აღქვტილთმა



შინაარსი

1. შესავალი.....	227
2. ეტრატის ხელნაწერები.....	245
3. ქალაქის ხელნაწერები.....	313
4. გრაგნილები.....	327
5. საერთო სია ხელნაწერებისა.....	333
6. დარგობრივი საძიებელი.....	339
7. პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.....	343

შესავალი

მართლმადიდებლური ქრისტიანობის უძველეს ცენტრს, წმიდა ეკატერინეს მონასტერს სინის მთაზე, საქართველოს რელიგიურ და კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საუკუნეთა განმავლობაში. სხვადასხვა ისტორიული ცნობა ადასტურებს ქართველთა ყოფნას მონასტერში ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში, მაგრამ ქართველ ბერთა და მწიგნობართა მოღვაწეობა განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა მეცხრე და მეთექვსე საუკუნეებში: ცნობილია, რომ სწორედ ამ დროს სინაზე მოღვაწეობდა მრავალი ქართველი სასულიერო პირი, მათ შორის ბევრი გამოჩენილი მწიგნობარი; ამას ამტკიცებს ის ხელნაწერები, რომლებიც ან თვითონ სინაწმიდაზე გადაუწერიათ, ან, სხვაგან გადაწერილი, შეუწირავთ მონასტრისათვის იქ დამკვიდრებულ ქართველთა საჭიროებისათვის. საკმარისია დავიძომოთ ერთი მაგალითი: სახელგანთქმული „სინური მრავალთავი“, 864 წელს გადაწერილი პალესტინაში, წმ.საბას მონასტერში, გადაწერისთანავე შეუწირავთ სინის მთისათვის; იგი დღესაც იქ არის დაცული, როგორც ქართული კოლექციის ერთ-ერთი უძვირფასესი ნიმუში.

სინის მთის ქართულ ხელნაწერთა მნიშვნელობა ნათლად გამოხატა ბელგიელმა მეცნიერმა, ჟერარ გარიტმა მის მიერ შედგენილი კატალოგის წინასიტყვაობაში: „სინურმა ხელნაწერებმა, რომელთა უმრავლესობა წინ უსწრებს ბიზანტიური ტრადიციების მიმდევარ მთარგმნელთა საქმიანობას, ჩვენ შემოგვინახა ძველი თარგმანები, რომლებიც, შესაძლოა, შექმნილია ქართული ლიტერატურის არსებობის უძველეს ეპოქაში. სინის ქართული ფონდი, ივირონისა და იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთაგან განსხვავებით, არსებითად „წინარეათონურია“.

მეთექვსმეტე საუკუნის შემდეგ ქართველთა საქმიანობა სინის მონასტერში კლებულობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სინაწმიდა დავიწყებული არასდროს ყოფილა. ქართველები ხშირად აკითხავდნენ წმ.ეკატერინეს მონასტერს. ერთ-ერთმა ქართველმა მოგზაურმა, იონა გედევანიშვილმა, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს მოილოცა მახლობელი აღმოსავლეთის წმინდა ადგილები და მათ შორის წმ.ეკატერინეს მონასტერიც. მან მემუარებში დაგვიტოვა მონასტრის აღწერილობა, რომელიც ქართულ მწერლობაში პირველია.

ეპისკოპოსმა პორფირი უსპენსკიმ, რომელმაც სინაზე რამდენჯერმე იმოგზაურა XIX საუკუნის შუა წლებში, პირველმა მიანიშნა რუს და ევროპელ მკვლევარებს ქართული ხელნაწერების არსებობა მონასტერში. უსპენსკიმ

თავისი ჩვეულებისამებრ მონასტრიდან ხელნაწერთა ნიმუშებიც წამოიღო. ორი ფურცელი ჭილზე (პაპირუსზე) ნაწერი ქართული ფსალმუნისა (ცაგარელი №1) ამჟამად პეტერბურგის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება (თვით ხელნაწერის ადგილსამყოფელი დღეს მთლად გარკვეული არ არის).

პირველი ქართველი მკვლევარი, რომელმაც სინის მთის ქართული ხელნაწერები შეისწავლა, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი იყო. 1883 წლის ზამთარში იგი რამდენიმე დღით ეწვია მონასტერს და სამიოდე წლის შემდეგ გამოაქვეყნა მოკლე კატალოგი იმ ხელნაწერებისა, რომლებიც მან ნახა. სულ აღწერილობაში დასახელებული იყო 93 ხელნაწერი – ეს იყო ყველაფერი, რისი ნახვაც მან შეძლო. მისი აღწერილობა ძალზე მოკლეა და მასში შეცდომებიც არის, მაგრამ ის თავისი დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო და დღესაც კი მრავალი თვალსაზრისით არის საყურადღებო.

1902 წელს სინას კვლავ ეწვია ორი ქართველი მეცნიერი – ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი. მათი შედგენილი კატალოგები გამოქვეყნდა მხოლოდ ორივეს გარდაცვალების შემდეგ (1940 და 1946 წ.). ნ.მარის სამეცნიერო ანგარიშმა, რომელიც 1903 წ. დაიბეჭდა, მაშინვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება.

მონასტერში ყოფნისას ნ. მარსა და ი. ჯავახიშვილს ა. ცაგარლის კატალოგში აღუწესხავი რაიმე ახალი ხელნაწერი, არ უნახავთ; მაგრამ, სამწუხაროდ, გაირკვა, რომ ზოგიერთი ხელნაწერი, რომელიც ცხრამეტი წლის წინათ ა.ცაგარელმა ნახა და თავის კატალოგშიც შეიტანა, ამ დროისათვის იქ აღარ იყო. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მათგანი ევროპისა და ამერიკის მუზეუმებში თუ კერძო პირთა მფლობელობაში იყო; ზოგიერთი მათგანის ბედი დღესაც უცნობია.

1927 წელს ამერიკელი მეცნიერი რობერტ ბლეიკი იყო წმ.ეკატერინეს მონასტერში, მაგრამ ათონისა და იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კატალოგების კარგად ცნობილ ავტორს სინის ხელნაწერთა შესახებ არაფერი დაუწერია.

ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის ექსპედიცია, რომელიც 1950 წელს ჩატარდა, სინურ ხელნაწერთა შესწავლის ახალ ეტაპს წარმოადგენს. მონასტრის ხელნაწერთა ქართული ნაწილის შესწავლასა და მიკროფილმების გადაღებას ხელმძღვანელობდა მაშინ უკვე კარგად ცნობილი ბელგიელი ორიენტალისტი ჟერარ გარიტი (1914-1990). 1956 წელს გამოქვეყნდა მისი შესანიშნავი კატალოგი სინური ხელნაწერებისა; ამ კატალოგმა დაანახა სპეციალისტებს სინური ქართული კოლექციის უდიდესი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის; ჟ. გარიტმა არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი გამოაქვეყნა სინური ხელნაწერების მიხედვით; ხოლო მის მიერ გამოცემულმა „პალესტინურ-ქართულმა კალენდარმა“ ბელგიის სამეფო პრემიაც კი მიიღო. ჟ. გარიტის კატალოგის

გამოქვეყნების შემდეგ შესაძლებელი გახდა ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკიდან ყველა გადაღებული ხელნაწერის მიკროფილმის მიღება და ამან თვით ხელნაწერები გახადა ხელმისაწვდომი (უნდა აღინიშნოს, რომ სინური ხელნაწერების მიკროფილმებთან ერთად მიღებული იყო იერუსალიმში, ამჟამად ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერების უმეტესი ნაწილის მიკროფილმებიც). უკვე 1959 წელს დაიბეჭდა უმნიშვნელოვანესი ქართული თარიღიანი ძეგლის – 864 წელს გადაწერილი სინური მრავალთავის მთლიანი ტექსტი აკაკი შანიძის რედაქციით; მას მოჰყვა მრავალი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, როგორც საქართველოში, ისე ევროპაში.

ჟ. გარიტს, ისევე როგორც ნ.მარსა და ი. ჯავახიშვილს, ა. ცაგარლის კატალოგში აღნუსხული 93 ხელნაწერის ნაცვლად სინაზე მხოლოდ 87 დახვდა. ჟ.გარიტის კატალოგში, რომელიც 300-ზე მეტ ფურცელს შეიცავს, დაწვრილებით არის აღწერილი 36 ხელნაწერი (ორი მათგანი ა.ცაგარლის აღწერილობის სამ-სამ ხელნაწერს მოიცავს, რადგან ზოგიერთი ერთიანი, შემდგომში შემთხვევით თუ საგანგებოდ დაშლილი და დაცალკეკებული ხელნაწერის ნაწილები ა. ცაგარელმა ცალ-ცალკე ერთეულებად აღწერა).

ჟ. გარიტის აღწერილი ხელნაწერები არალიტურგიკული ხასიათისაა (ბიბლიური წიგნები, ჰაგიოგრაფიული, ჰომილეტიკური და ასკეტიკური ტექსტები). კოლექციის დანარჩენი ნაწილი – ლიტურგიკული ხასიათის ძეგლები (იადგრები, თვენები, მარხვანები და სხვ.) აღწერეს თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა ელენე მეტრეველის ხელმძღვანელობით. ამ აღწერილობის სამი ტომი გამოქვეყნდა 1978 – 1987 წლებში. ეს ტომები არ არის უბრალო კატალოგები – ისინი მნიშვნელოვან მეცნიერულ გამოკვლევებს შეიცავენ. სამწუხაროდ, ეს შრომა ხელმისაწვდომია მხოლოდ მათთვის, ვინც ქართული ენა იცის. იგივე ითქმის ივანე ჯავახიშვილის კატალოგზე. ნ.მარსა რუსულად არის დაწერილი, მაგრამ ქართული ციტატები და ტექსტების ვრცელი ნიმუშები უთარგმნელად არის დატოვებული. ამრიგად, გარდა იმ ხელნაწერებისა, რომლებიც ჟ.გარიტის კატალოგშია აღწერილი, არაქართველი მკითხველი დღემდე მოკლებულია სინურ ხელნაწერთა ამ კოლექციის გაცნობის შესაძლებლობას.

ცნობებმა სენსაციური აღმოჩენის შესახებ, რომელიც 1975 წელს მოხდა წმ.ეკატერინეს მონასტერში, საქართველოში 1981 წელს მოაღწია. კერძო წერილში, რომელიც იულიუს ასფალგმა მოსწერა აკაკი შანიძეს, გერმანელი მეცნიერი სწერდა ადრესატს, რომ მან სიროლოგთა კონგრესზე მოისმინა მონაზონ ფილოთეას მოხსენება, რომელშიც ნათქვამი იყო – ახლად აღმოჩენილ ხელნაწერთა შორის 4 ქართული და 56 სომხური ხელნაწერიც არისო. აქვე ასფალგი თავის აზრსაც გამოთქვამდა – სომხურად მიჩნეული ხელნაწერები ალბათ ნუსხურად ნაწერი ქართულიაო. აკაკი შანიძემ ამ

წერილის საფუძველზე მაშინვე გამოაქვეყნა ორი საგაზეთო წერილი სინური ხელნაწერების შესახებ, მაგრამ ვინაიდან მას რაიმე კონკრეტული მასალა არ ჰქონია ხელთ, წერილები ძირითადად ზოგადი ხასიათისა იყო; ავტორმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ახალი აღმოჩენების შესახებ მეტი გახდებოდა ცნობილი; და ისიც დაურთო, რომ ქართული ხელნაწერების სომხურად მიჩნევა გავრცელებული შეცდომა არისო (როგორც შემდგომ გაირკვა, ამ შემთხვევაშიც ასეთი რამ მომხდარა; ის, რაც სომხური ეგონათ, სინამდვილეში ქართული იყო; გარდა ამისა, ერთიანი რაოდენობა ქართული ხელნაწერებისა კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდა). მცირე წერილი ახლად აღმოჩენილ ხელნაწერთა შესახებ 1981 წელს გამოაქვეყნა აგრეთვე მზექალა შანიძემ.

პირველი ქართველი, რომელმაც ახლად აღმოჩენილი ხელნაწერები თავისი თვალთ ნახა, იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე, რომელიც სინას 1982 წელს ეწვია.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და სინის მთის მთავარეპისკოპოსი უნეტარესი დამიანე მაშინვე შეთანხმდნენ, ეთანამშრომლათ და ყოველი ღონე ეხმარათ ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების შესასწავლად და გამო-საქვეყნებლად.

1987 წ. უნეტარესი დამიანე ეწვია საქართველოს საპატრიარქოს ოფი-ციალური ვიზიტით. მას ახლდნენ არქიმანდრიტი ალათანგელოსი, ბერმონაზონი დიმიტრი, რომელიც მაშინ წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნთსაცავს განაგებდა, და ნიკოლაოს ვადისი. თბილისში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და სინის მთავარეპისკოპოსმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელშიც გაითვალისწინეს თანამშრომლობის ჩარჩოები სინის მთის წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერში ახლად აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა კატალოგის მომზადებასა და გამოცემასთან დაკავშირებით. ამ ხელშეკრულებით 1990 წლის დეკემბერში ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ზაზა ალექსიძე და დირექტორის მოადგილე მიხეილ ქავთარია იყვნენ სინაზე. ეს იყო პირველი ქართული სამეცნიერო ექსპედიცია ახლად აღმოჩენილ ხელნაწერთა შესასწავლად. მათთან ერთად იყო ა. მანწკავა, მაშინ რადიო – და ტელემუწყებლობის კომიტეტის არაბული განყოფილების გამგე. მან დიდი დახმარება გაუწია მეცნიერებს ექსპედიციის ორგანიზებაში და ეხმარებოდა მათ როგორც თარჯიმანი.

ამ ექსპედიციამ 13 დღის განმავლობაში იმუშავა. ქართული ხელნაწერები მათ დახვდათ შავად გარჩეული მონასტრის იმდროინდელი ბიბლიოთეკარის, მამა დიმიტრიოსის მიერ; მას დახმარებია ტარიელ ბიბილაშვილი, რომელიც მაშინ თეოლოგიას სწავლობდა ათენის უნივერსიტეტში. მეტ-ნაკლებად მთლიანი ხელნაწერები მრავალრიცხოვანი ფრაგმენტებისაგან გამოყოფილი იყო და დანომრილი. ამ ექსპედიციის დროს მომზადდა პირველადი ნუსხა, რომლის შედგენის დროსაც თვალნათლივ გამოჩნდა ის უდიდესი სამუშაო, რომელიც

აუცილებლად ჩასატარებელი იყო: როგორც გაირკვა, ქართული ხელნაწერების საერთო რიცხვი დაახლოებით 150-ს აღწევდა. ხელნაწერთა დიდი ნაწილი ძალზე ცუდ მდგომარეობაში იყო: დაზიანებული, დახეული, გახვევებული და ჭუჭყიანი. თხუთმეტამდე ხელნაწერი ნესტის გამო ერთიან გაქვავებულ მასად იყო ქცეული. მათი ფურცელ-ფურცელ დამლა შეუძლებელი იყო წინასწარი სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების გარეშე. სხვა ხელნაწერებიც გაწმენდასა და დამუშავებას მოითხოვდა; ხელნაწერების აღწერას აძნელებდა არა მარტო ის, რომ დაზიანებული ტექსტი რთული წასაკითხი იყო, არამედ ისიც, რომ ხელნაწერთა უმეტესობა სრული არ იყო, ბევრ მათგანს თავი და ბოლო აკლდა, ზოგიერთისა სულ თითო-ორი ფურცელი იყო დარჩენილი, რაც, რა თქმა უნდა, ტექსტის რაობის გარკვევას აძნელებდა. ამას გარდა, მონასტრის ბიბლიოთეკაში, მიუხედავად მისი სიმდიდრისა, სპეციალური ქართველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურა, სამეცნიერო მუშაობისათვის აუცილებელი, თითქმის არ მოიპოვებოდა. ამიტომ მეორე, უფრო კარგად აღჭურვილი ექსპედიციის საჭიროება მაშინვე ნათელი გახდა.

1994 წლის შემოდგომაზე წმ. ეკატერინეს მონასტერს ეწვია მეორე ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ზ.ალექსიძე, მ.ქავთარია, ხელნაწერთა ინსტიტუტის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი ლილი ხევსურიანი, უფროსი რესტავრატორი ლიანა ქუთათელაძე, რესტავრატორები ნანა თარგამაძე, დარეჯან გოგაშვილი, ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ირაკლი იაკობაშვილი და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი თამარ მესხი, რომელიც თარჯიმნობას ეწეოდა. ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ თამარ მესხმა, რომელიც ხანგრძლივი მივლინებით იმყოფებოდა საბერძნეთში და მუდმივი კონტაქტები ჰქონდა სინის მონასტრის წარმომადგენლებთან, დიდი როლი ითამაშა მეორე და მესამე ექსპედიციების რეალიზაციასა და წარმატებით განხორციელებაში.

მეორე ექსპედიციის მუშაობის დროს რესტავრატორებმა გაწმინდეს და დაამუშავეს 77 ხელნაწერის ასობით ფურცელი, დაარბილეს და ფურცელ-ფურცელ დახსნეს გაქვავებული ხელნაწერები (ეტრატები: Sin.Geo.N.5,7,15,16,18,34,47,53,54,55,56,63,77,78, ქაღალდის ხელნაწერი №1). მაგრამ დროის სიმცირის გამო სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების სრულად ჩატარება მაინც ვერ მოესწრო და მათი შესრულება კვლავ სამომავლო ამოცანად დარჩა.

ექსპედიციის სხვა მონაწილეებმა შეაჯერეს წინა ექსპედიციის მიერ შედგენილი პირველადი კატალოგი ახალ კოლექციასთან, მოახდინეს შედარებით უკეთ შენახული ფრაგმენტების ინვენტარიზაცია და ზოგიერთი მათგანი კიდევ ჩართეს კატალოგში; აღწერეს ხელნაწერები, რომლებზეც მუშაობა მათ რესტავრაციამდე შეუძლებელი იყო.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ექსპედიციის იმ წევრებმა, რომელნიც აღწერილობაზე მუშაობდნენ, განაგრძეს მათ მიერ შეკრებილი მასალის შემდგომი შესწავლა. ამ დროს მათ შეუერთდა პროფ. მზექალა შანიძე — ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი. უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი უმთავრესი დაბრკოლება აღწერილობაზე მუშაობისათვის იყო (და ახლაც არის) ხელნაწერთა ფოტოების უქონლობა (მცირე გამონაკლისის გარდა). ვისაც კი საქმე ჰქონია ხელნაწერებთან, ადვილად მიხვდება, თუ რამდენად ძნელია მხოლოდ საკუთარი ჩანაწერებისა და ჩანიშნული მასალის საფუძველზე სრულყოფილი აღწერილობის შედგენა, როდესაც აღმწერელი ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხისა თუ დეტალის შემოწმების საშუალებას არის მოკლებული და იძულებულია „ბრმად“ იმუშაოს. ამიტომ იყო, რომ კიდევ ერთი ექსპედიციის საჭიროება იმთავითვე გარკვეული გახდა.

მესამე ექსპედიცია (ზ.ალექსიძე, მ.ქავთარია, ლ.ხევსურიანი, მზ.შანიძე, ლ.ქუთათელაძე, ნ.თარგამაძე, თ.მესხი) სინის მთაზე იმყოფებოდა ერთი თვე: 1996 წლის 22 ნოემბრიდან 22 დეკემბრამდე. ამჯერად მუშაობის პირობები უკეთესი იყო — ექსპედიციის წევრებს წიგნთსაცავის გვერდით გამოუყვეს ცალკე ოთახები, სადაც მათ შეეძლოთ ყოფნა ისე, რომ სამონასტრო ცხოვრების განრიგით არ ყოფილიყვნენ შეზღუდული დღის განმავლობაში და შაბათ-კვირასაც შესძლებოდათ მუშაობა. მონასტრის მესვეურებმა, და უპირველეს ყოვლისა სინის მთავარეპისკოპოსმა დამიანემ, უდიდესი დახმარება გაუწიეს ქართველ მეცნიერებს. მასპინძლებმა ჩასულებს ბინა მიუჩინეს და ეხმარებოდნენ მათ ყოველდღიური პრობლემების მოგვარებაში. ექსპედიციის წევრები ერთად და ერთმანეთის დახმარებით მუშაობდნენ, თუმცა ფუნქციები მათ შორის ძირითადად თითოეულის მეცნიერული ინტერესების შესაბამისად იყო დანაწილებული: ისტორიულ წიგნებსა და ანდერძ-მინაწერებს უმთავრესად სწავლობდა ზ. ალექსიძე, ლიტურგიკულ წიგნებს, რომლებიც ახალი კოლექციის დიდ ნაწილს შეადგენს — ლ. ხევსურიანი და მ. ქავთარია; ბიბლიურ, ასკეტიკურ და ჰომილეტიკურ ლიტერატურას ამუშავებდა მზ. შანიძე. ლ. ქუთათელაძემ და ნ. თარგამაძემ განაგრძეს წინა ექსპედიციაში დაწყებული სამუშაო — ხელნაწერთა გაწმენდა, დარბილება და რესტავრაცია. თ.მესხმა, ექსპედიციის დაუღალავმა თარჯიმანმა, ხელი მოჰკიდა აღწერილობის ბერძნულად თარგმნას.

2002 წელს (25 ნოემბრიდან 19 დეკემბრამდე) მონასტერში იყვნენ ზ. ალექსიძე და დ. ცხადაძე (ოპტიკური კვლევისა და სამეცნიერო ფიქსაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი). მათ შეარჩიეს და ფოტოგრაფიულად გადაიღეს ხელნაწერთა ცალკეული ნიმუშები აღწერილობაში საილუსტრაციო მასალის ჩასართავად.

2002 წლის ნოემბერში მზ. შანიძე და ლ. ხევსურიანი კვლავ იყვნენ წმ. ეკატერინეს მონასტერში; ამ დროს დაზუსტდა აღწერილობის ზოგიერთი დეტალი.

სრულიად ბუნებრივია, რომ 1975 წელს აღმოჩენილ ხელნაწერებს შეერქვათ „ახალი“, ხოლო იმ კოლექციამ, რომელიც აქამდე იყო ცნობილი, „ძველის“ სახელი მიიღო.

აღწერილ ხელნაწერებში ფურცელთა მთლიანი რაოდენობა 4000-ზე მეტია; მართლაც ეს ფაქტიც საკმარისია, რომ გვიჩვენოს ახლად აღმოჩენილ ხელნაწერთა მნიშვნელობა. ზოგიერთი მათგანი თითქმის მთლიანი ხელნაწერია, რომელშიც ფურცელთა რაოდენობა 100-ზე მეტია (Sin.Geo.N.7, 12,13,15,17,21,50,51,56,57,60,67; ქალაქის ხელნაწერებიდან Sin.Geo.N.1p და Sin.Geo.N.2p). Sin.Geo.N.26 და Sin.Geo.N.53 თითოეული შეიცავს 200 ფურცელზე მეტს. დანარჩენი უმეტესად არის ცალკეულ ხელნაწერთა ნაწილები ფურცელთა სხვადასხვა რაოდენობით, რაც, რა თქმა უნდა, მათ მეცნიერულ ღირებულებას არ ამცირებს. ხშირად ხდებოდა, რომ მცირე ფრაგმენტები, რომელშიც სულ ორიოდ ფურცელი იყო, შეიცავდა სრულიად ახალ და მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ახალი კოლექცია, როგორც მოსალოდნელი იყო, უმთავრესად ქრონოლოგიურად ძველ ხელნაწერებს შეიცავს. მათგან ყველაზე ადრეულია Sin.Geo.N.89. ეს ორი ფურცელი ზემოთ ნახსენები სინური მრავალთავის ნაწილია და ზუსტად ჯდება ხელნაწერის ამჟამინდელი ნუმერაციის 84-85 ფურცლებს შუა (ხელნაწერი Sin.Geo.O.32-57-33 ჟ. გარიტის კატალოგის მიხედვით). შესაბამისად, ისინიც გადაწერილია, როგორც სინური მრავალთავი მთლიანად, 864 წელს. ზოგიერთი ხელნაწერის გადაწერის თარიღი ანდერძშია ნაჩვენები: Sin.Geo.N.19 გადაწერილია 980 წელს, Sin.Geo.N.20-986 წელს, Sin.Geo.N.12-1075 წელს. Sin.Geo.N.67 გადაწერილია 967 წლამდე, როდესაც იგი აიკინძა. ხელნაწერთა უმეტესი ნაწილი კი დათარიღებულია კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული თავისებურებების მიხედვით. ეტრატის ხელნაწერთა უმეტესობა გადაწერილია X საუკუნეში, რამდენიმე შეიძლება მეცხრე საუკუნით დათარიღდეს (მაგ., Sin.Geo.N.10 – იერუსალიმური ლექციონარის ფრაგმენტები); ზოგიერთი ეკუთვნის XI საუკუნეს; არც ერთი ეტრატის ხელნაწერი მეცამეტე საუკუნეზე გვიანდელი არ არის, Sin.Geo.N.92 ხელნაწერის გარდა, რომელიც კერძო წერილი უნდა იყოს. ქალაქის ხელნაწერები უმეტესად მეთორმეტე ან მეცამეტე საუკუნეებისაა; ყველაზე გვიანი შესაძლო თარიღი რამდენიმესათვის მეთექვსმეტე საუკუნე უნდა იყოს.

თავიდანვე ცხადი გახდა, რომ „ძველი“ და „ახალი“ კოლექციები ოდესღაც ერთ მთლიანობას შეადგენდა. ამას უპირველესად ყოვლისა, ის ადასტურებს, რომ ახალი ხელნაწერები ხშირ შემთხვევაში ძველის ნაწილი აღმოჩნდა და ძველის დანაკლისი შეავსო. ამის კარგი ნიმუშია Sin.Geo.N.18, რომელიც თვენის ნაწილს შეიცავს. ამ ხელნაწერში შედის იანვარ-თებერვლისა და მაის-ივნისის საგალობლები; იგი ნაწილია დიდი ხელნაწერისა, რომელიც

თავდაპირველად ორ ნაწილად ყოფილა შეკრული, შემდეგ კი ოთხ ნაწილად გაუყვიათ. Sin.Geo.N.18 ხელნაწერის 159 ფურცელი თითქმის მთლიანად ავსებს მთელი საეკლესიო წლის ციკლს, რომელსაც თავდაპირველად შეიცავდა ხელნაწერი, ამჟამად დანაწევრებული ძველი კოლექციის ოთხ ხელნაწერად (Sin.Geo.O.7, Sin.Geo.O.2, Sin.Geo.O.9, Sin.Geo.O.56). მსგავსი შემთხვევები სხვაც არის (6. Sin.Geo.N.1, Sin.Geo.N.5, Sin.Geo.N.8, Sin.Geo.N.12, Sin.Geo.N.14 და სხვა.). ყველა შემთხვევაში, როდესაც ახლად აღმოჩენილი ხელნაწერი ძველი კოლექციის რომელიმე ნუსხის ნაწილია, ეს გარემოება წინამდებარე კატალოგში თავ-თავის ადგილზე არის აღნიშნული.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ახლად აღმოჩენილ ხელნაწერთა შესწავლამ ზოგ შემთხვევაში ძველი კოლექციის ნუსხებს მოჰფინა ნათელი, ზოგჯერ კი ახალი პრობლემებიც წარმოაჩინა. მაგალითისათვის შესაძლოა დავასახელოთ Sin.Geo.N.20, რომელიც ალექსანდრე კვიპრელის ჯვრის გამოჩინების საკითხავის დასაწყის ნაწილს შეიცავს. იგი გადაწერილია იოანე-ზოსიმეს მიერ, რომლის ხელი კარგად არის ცნობილი ყველასათვის, ვისაც კი სინურ ხელნაწერებზე უმუშავია. Sin.Geo.N.20 ხელნაწერის 23 ფურცელი, ანუ პირველი სამი რვეული, რომელიც ამჟამად სინის მთაზეა, გამოდგა იმ ხელნაწერის დასაწყისი, რომელიც ა.ცაგარელმა თავის დროზე აღწერა 93-ე ნომრად თავის კატალოგში. ეს ხელნაწერი ნ.მარსა და ი.ჯავახიშვილს 1902 წელს სინაზე აღარ დახვედრიათ. იგი ამჟამად (მრავალი თავგადასავლის გადატანის შემდეგ) ამერიკაშია, პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ამგვარად, თავნაკლული „ამერიკული“ ხელნაწერის დასაწყისი სინაზე აღმოჩნდა; მაგრამ მას აკლია (და ა. ცაგარლის აღწერილობაშიც აკლდა) ბოლოც, სადაც ანდერძი იყო მოსალოდნელი; ამიტომ სინაზე ნახული ხელნაწერის დასაწყისი ნაწილის ზუსტი დათარიღებაც ჭირდა. შემდგომი ძიების პროცესში ხელნაწერის ბოლო ნაწილს მივაკვლიეთ გერმანიაში, გეტინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ამ ფურცლების შესწავლამ ცხადყო, რომ ისინი წარმოადგენენ თითქმის მთლიანად იმ ხელნაწერს, რომელიც ა.ცაგარელმა შეცდომით აღწერა ცალკე ნომრად (№92) და რომელიც დღემდე დაკარგულად ითვლებოდა. შესაბამისად, შესაძლო გახდა ახლად ნაპოვნი სინური ხელნაწერის ზუსტი დათარიღება, რადგან მისი გადაწერის დრო იოანე-ზოსიმეს აღნიშნული აქვს (№92 ხელნაწერის ბოლოს) – ეს არის 986 წელი.

ამრიგად, ახალი კოლექციის ხელნაწერები ძველი კოლექციისათვის მეტად საყურადღებოა მრავალ შემთხვევაში. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ახალი კოლექციის მნიშვნელობა მხოლოდ ამით განისაზღვრება. ახალ კოლექციაში აღმოჩნდა მრავალი აქამდე სრულიად უცნობი ხელნაწერი (ან მისი ნაწილი); ამთავითვე ცხადია, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა და კულტურის მრავალი პრობლემის კვლევა ამიერიდან სრულიად

შეუძლებელი იქნება ამ ახალ აღმოჩენათა გათვალისწინების გარეშე.

ახალი კოლექციის ხელნაწერები ახალ საბუთებს გვაწვდის იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველ ბერებს მუდმივი სამკვიდრებელი ადგილი ჰქონდათ მონასტერში. მონასტერში გადაწერილ ან მონასტრისათვის შეწირულ ხელნაწერთა ანდერძები და მინაწერები მხოლოდ მათ სარწმუნოებრივ თავდადებას როდი მოწმობენ; ხშირ შემთხვევაში ანდერძ-მინაწერებში დაცულია მნიშვნელოვანი ცნობები ქართველ მოღვაწეთა საქმიანობის შესახებაც. გადამწერი კვირიკე თავის ანდერძში (Sin.Geo.N.2) გვამცნობს, რომ მას სინაზე თავისი ცხოვრების მეტი ნაწილი გაუტარებია და აუშენებია საგანგებო სახლი მომსვლელთა საყოფელად; ამასთან ერთად, ამ ანდერძში ჩამოთვლილია ის წიგნებიც, რომლებიც მას მონასტრისათვის შეუწირავს.

სინური ხელნაწერები (როგორც ძველი, ისე ახალი კოლექციისა) შინაარსეულად მრავალფეროვანია; მათი ნაირგვარობა აშკარად გვიჩვენებს, რომ მონასტრის მკვიდრ ქართველ ბერებს სამონასტრო ცხოვრებისათვის აუცილებელი ყველა წიგნი ჰქონდათ.

ახალ კოლექციაში შედის ბიბლიური წიგნები, ლექციონარები, ჰაგიოგრაფიული, ჰომილეტიკური, ასკეტიკური ლიტერატურა; სხვადასხვა სახის ლიტურგიკული წიგნები.

ახალი აღთქმა, ქართული ტრადიციის შესაბამისად, ძველ ხელნაწერებში ჩვეულებრივ ორ ნაწილად არის ხოლმე გაყოფილი; ესენია ოთხთავი და სამოციქულო. ახალ კოლექციაში არის ოთხთავის ნუსხა Sin.Geo.N.12, გადაწერილი 1075 წელს. მისივე გადამწერის შესრულებულია Sin.Geo.O.19, გადაწერილი ერთი წლით ადრე, 1074 წელს. ორივე ხელნაწერის ანდერძი გვამცნობს, რომ იგი გადაწერილია „ახალთარგმნილისაგან“ და რომ „ამათ ძუელთა სახარებათა ზოგი რაჲმე სიტყუად არა ეწამების“. ამრიგად, Sin.Geo.N.12 (ისევე, როგორც Sin.Geo.O.19) არის ერთ-ერთი ყველაზე ძველი თარიღიანი ხელნაწერი, რომელიც გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ოთხთავს შეიცავს. ეს ორი ხელნაწერი მნიშვნელოვანია სხვა მხრივაც: ისინი აშკარად ადასტურებენ იმ მკვიდრო კავშირს, რომელიც არსებობდა წმ.ეკატერინეს მონასტერსა და სხვა ძველ სამონასტრო მწიგნობრულ კერებს შორის: გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ნუსხების გამოჩენა სინის მთაზე ქრონოლოგიურად ძალზე ახლოა ამ რედაქციის შესრულების დროსთან. ამავე დროს, სამოციქულოს ნუსხები, რომლებიც სინის მთაზეა დაცული (Sin.Geo.N.8 და 9), ტექსტუალურად ძალზე ახლოა ძველ ვერსიებთან. Sin.Geo.N.8 წარმოადგენს ნაწილს 977 წელს გადაწერილი ნუსხისა (Sin.Geo.O.58-31-60), რომელიც უ.გარიტის გამოცემისათვის ძირითად ხელნაწერს წარმოადგენდა.

ახალ კოლექციაში ფსალმუნის რამდენიმე ხელნაწერია: Sin.Geo.N.15, Sin.Geo.N.21, Sin.Geo.N.51. ეს ხელნაწერები, რამდენადაც შესაძლებელია

ვივარაუდოთ მათი წინასწარი შესწავლის საფუძველზე, ძველი, წინარეათონური ტიპის ტექსტს შეიცავს. მრავალი ძალზე სპეციფიკური იკითხვისი განასხვავებს ამ ნუსხათა ტექსტს გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის შემცველ ხელნაწერთა ტექსტისაგან. მუხლობრივი სათვალავი და კანონებად დაყოფის ძველი სისტემა, ქრისტოლოგიური ინტერპრეტაციები ტექსტის სათაურებში და ზოგიერთი სხვა ნიშანიც აშკარად მიუთითებს ძველ ტრადიციებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ფსალმუნის კრიტიკულ გამოცემაში (1960 წ.) ძველ, წინარეათონურ რედაქციათა ნუსხები ძირითადად სწორედ სინური იყო (Sin.Geo.O.22, Sin.Geo.O.29, Sin.Geo.O.42). ახლად აღმოჩენილი ნუსხები მხარს უჭერს ვარაუდს, რომ ამგვარი ნუსხები იყო საყოველთაოდ ხმარებული ადრე საქართველოში და რომ „ქართული დავითნი“ სწორედ ამ ტიპის ტექსტს გულისხმობს. მეორე მხრივ, Sin.Geo.N.2p (XII-XIII სს.) მეტად მნიშვნელოვანია, რადგან იგი შეიცავს გიორგი მთაწმიდლისეული ფსალმუნის ერთ-ერთ ადრეულ ნუსხას. რა თქმა უნდა, ყველა ეს ვარაუდი ახალი სინური კოლექციის ბიბლიურ წიგნთა შესახებ ჯერ-ჯერობით მხოლოდ წინასწარი ხასიათისაა, და ეს ტექსტები, როგორც ყველა სხვა ახლად აღმოჩენილი, დაწვრილებით შესწავლას საჭიროებს; მაგრამ ზემოთქმული საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ამ ხელნაწერებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ბიბლიური შტუდიებისათვის.

ჰაგიოგრაფიულ მასალას შეიცავს Sin.Geo.N.27 (იოანე ღმრთისმეტყველის ცხოვრება), Sin.Geo.N.28 და 43 (წმ.ეპიფანეს ცხოვრება), Sin.Geo.N.60 (იოანე მოწყალის ცხოვრება), Sin.Geo.N.94 (წმ.ეფთვიმის ცხოვრება), აგრეთვე ჰაგიოგრაფიული კრებულები Sin.Geo.N.3 და Sin.Geo.N.17. Sin.Geo.N.13 შეიცავს ასკეტიკურ და ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს: ანტონი დიდის ცხოვრებას, ანტონისა და ამონას ეპისტოლეებსა და სხვ. მთლიანად მისი შედგენილობა უახლოვდება Sin.Geo.O.35 ხელნაწერს, რომელიც, შესაძლოა, მისი ერთ-ერთი წყაროც იყო. ეს ხელნაწერი პალიმფსესტია და გადაწერილია არაპროფესიონალი გადამწერის მიერ (რასაც მისი ხელი ადასტურებს). მიუხედავად ამისა, Sin.Geo.N.13, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ახალი კოლექციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხელნაწერია.

ახალ კოლექციაში მხოლოდ ორი ხელნაწერი შეიცავს ორიგინალურ ქართულ თხზულებებს, მაგრამ მათი მნიშვნელობა დიდად სჭარბობს მათ მცირერიცხოვანებას.

ერთი მათგანი არის Sin.Geo.N.48, თოთხმეტფურცლიანი ნაშთი ბევრად უფრო დიდი მოცულობის ხელნაწერისა; მეორეა Sin.Geo.N.50 (105 ფ.). ორივე მეათე საუკუნეშია გადაწერილი. ორივე შეიცავს „ქართლის მოქცევის“ ახალ ვერსიას. დღემდე ცნობილი იყო ამ ისტორიული წყაროს მხოლოდ ორი ნუსხა – შატბერდული და ჭელიშური რედაქციების შემცველი („შატბერდის კრებული“ X ს-ისა და H-600, გვიანდელი, XIV ს-ისა). აქამდე ცნობილი

ორი ვერსია მნიშვნელოვან სხვაობებს იძლევა, ამავე დროს, არც ერთ მათგანში შემონახული არ არის თავდაპირველი ადრეული ტექსტი. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ძირითადი წყაროა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდისათვის, რომელიც რამდენიმე საუკუნეს მოიცავს; ამიტომ ეს ორი ვერსია ინტენსიური კვლევის საგანია იმის შემდეგ, რაც შატბერდული კრებული აღმოჩნდა XIX საუკუნის ბოლოს. აზრთა სხვაობა ამ ნარატიული წყაროს წარმომავლობის, დაწერის დროის, ავტორობისა და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტად დიდია; ბიბლიოგრაფია „ქართლის მოქცევისა“ ვრცელია; უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტექსტის მთლიანი თუ ნაწილობრივი თარგმანები არსებობს რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზეც. „ქართლის მოქცევის“ ტექსტის შემცველი ორი ახალი ხელნაწერის აღმოჩენა მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია და მომავალი კვლევის სრულიად ახალ პერსპექტივას წარმოაჩენს. Sin.Geo.N.48 ხელნაწერი, რომელიც შეიცავს თხზულების პირველ ნაწილს (ქართლის მოქცევიდან მეექვსე საუკუნის ბოლომდე), მნიშვნელოვან რედაქციულ სხვაობას ავლენს აქამდე ცნობილ ტექსტებთან შედარებით. ამავე დროს ტექსტის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ვერსიები საერთო არქეტიპიდან მომდინარეობს. მეორე ხელნაწერი, Sin.Geo.N.50, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. მეათე საუკუნის პირველ ნახევარში გადაწერილი ნუსხა შეიცავს „ქართლის მოქცევის“ დიდ ნაწილს და ორი სირიელი მამის ცხოვრებას. თავნაკლული ხელნაწერი იწყება დაახლოებით იქ, სადაც წყდება Sin.Geo.N.48, თუმცა სავსებით ცხადია, რომ Sin.Geo.N.48 და Sin.Geo.N.50 სრულიად სხვადასხვა ორი ხელნაწერია. კიდევ მეტი: მეორე ექსპედიციის მუშაობის დროს აღმოჩნდა ორი ფურცელი Sin.Geo.N.50-ის ხელნაწერის დასაწყისი ნაწილიდან. მათი ტექსტი შეესაბამება Sin.Geo.N.48 ხელნაწერის დამასრულებელი ფურცლების ტექსტს. შედარება გვიჩვენებს, რომ გამოვლინდა კიდევ ერთი ახალი ვერსია, რომელსაც ამავე დროს აქვს აქამდე ცნობილ ტექსტებთან საერთო იკითხვისები. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ მისი ტექსტი უკეთესად არის გამართული: იკითხვისები ხშირად უფრო ნათელია, ვიდრე შესაბამის ადგილებში აქამდე ცნობილ ნუსხებში, რომელთაგან ზოგიერთი ისტორიკოსთა და ტექსტოლოგთა შორის დღემდე სადავოა.

ყველა ეს მოსაზრება შესაძლებელს ხდის ვამტკიცოთ, რომ მეათე საუკუნის დასაწყისში უკვე არსებობდა „ქართლის მოქცევის“ ოთხი სხვადასხვა ვერსია. ამიტომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ვერსიები ჩამოყალიბდა მხოლოდ მეცხრე საუკუნეში, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს. ასეთი მოკლე დროის განმავლობაში შეუძლებელი იქნებოდა ამდენი სხვადასხვა რედაქციის შექმნა.

იოანე ზედაზნელისა და აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებათა ტექსტი აგრეთვე მეტად საყურადღებოა. სირიელი მამები საქართველოში მოღვაწეობდნენ

მეექვსე საუკუნეში; მათ ჩაუყარეს საფუძველი სამონასტრო ცხოვრებას. ცნობები, რომლებიც შენახულია ტექსტში, შუქს ჰფენს ქართლის ისტორიის იმ პერიოდს, რომლის შესახებაც ისტორიული დოკუმენტაცია საკმაოდ მწირია (VI-VIII საუკუნეები).

ახლად აღმოჩენილმა ხელნაწერებმა კიდევ ერთი მოულოდნელი სიახლე გამოავლინა. Sin.Geo.N.13, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პალიმფსესტია. ხელნაწერის ქვედა ტექსტი, რომელიც ეტრატის 107 ფურცელს შეიცავს, ქართული არ არის. მისი ერთი ნაწილი სომხურია, მაგრამ უდიდესი ნაწილი ქვედა ტექსტისა კავკასიური ალბანურია. ალბანეთი იყო ქრისტიანული სახელმწიფო ამიერკავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთით; იგი არაბობის შემდეგ გაქრა. ალბანეთს ხშირად ახსენებენ საშუალო საუკუნეთა ისტორიკოსები, განსაკუთრებით სომეხი ქრონისტები. მათი თხზულებებიდან ირკვევა, რომ ალბანელებს ჰქონდათ საკუთარი ენა და დამწერლობა, მაგრამ დღესდღეობით ორივე დაკარგულია. ერთ-ერთი კავკასიური ენა, სახელდობრ, უდიური (ან: უდური), რომელზედაც დღეს ლაპარაკობს მცირერიცხოვანი მოსახლეობა საქართველოსა და აზერბაიჯანის სამიოდე სოფელში, მიჩნეულია ძველი ალბანურის ჩამომავალ ენად ან მის მონათესავედ.

ალბანური ანბანი აღმოაჩინა ილია აბულაძემ 1937 წელს მატენადარანის ერთ-ერთ ხელნაწერში, რომელშიც რამდენიმე სხვადასხვა დამწერლობის ნიმუში იყო ნაჩვენები. გაჩნდა ვარაუდი, რომ ანბანის ასოები მრავალგზისი გადაწერის პროცესში ენის არმცოდნე გადამწერთა მიერ დამახინჯებული იყო (სხვა კარგად ცნობილი დამწერლობის ნიმუშებიც ასევე იყო შერყვნილი).

1948-1952 წლების არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამოავლინა ახალი მასალები – ლაპიდარული წარწერები, რომლებიც მთლიანად ამოშიფრული დღემდე არ არის. ალბანურით დაინტერესებული იყო აკაკი შანიძეც; მან ამ ენის შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაწერა.

Sin.Geo.N.13 და Sin.Geo.N.55 პირველი ხელნაწერებია, რომლებშიც აღმოჩნდა ალბანურ ენაზე ნაწერი ტექსტი. ორივე ხელნაწერის ზედა ტექსტი ერთი გადამწერისაა. როგორც ჩანს, მან ძველი ალბანური წიგნის ფურცლები გამოიყენა ორივე ხელნაწერის მასალად. ალბანური ქვედა ტექსტი აშკარად გამოცდილი და დახელოვნებული გადამწერის ნამუშევარია: იგი ორ სვეტად არის ნაწერი ლამაზი მსხვილი ასოებით, ტექსტში არის პუნქტუაციისა და ქარაგმათა ნიშნები. ალბანური ტექსტის შინაარსი ჯერ მთლიანად ამოკითხული არ არის, მაგრამ ზ. ალექსიძემ გაარკვია, რომ ეს არის ლექციონარი, რომელიც შეიცავს საკითხავებს ახალი აღთქმიდან. სავსებით აშკარაა, რომ სინური პალიმფსესტების აღმოჩენა სრულიად ახალი პერსპექტივის მაჩვენებელია ალბანური შტუდიებისათვის.

ახალი კოლექციის ხელნაწერთა დიდი ნაწილი სხვადასხვა დანიშნულებისა და შედგენილობის ლიტურგიკული წიგნებია. ამ მასალას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიისათვის, მაგრამ მისი აღმოჩენა ამავე დროს ახალ მასალას იძლევა მთლიანად მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტურგიკის ისტორიის შესასწავლად. ცნობილია, რომ ქართული ეკლესია თავისი არსებობის დასაწყის ეტაპზე ვიდრე X ს-ის დასასრულამდე ღვთისმსახურების იერუსალიმურ წესს მისდევდა, ხოლო X ს-ის დასასრულს ღვთისმსახურების ბიზანტიურ წესზე გადავიდა. ეს ცვლილება ყველაზე ნათლად სწორედ ლიტურგიკული ხასიათის ძეგლებში აისახა და მათი შინაარსობრივი და ფანოზობრივი მრავალფეროვნება განაპირობა. სინური კოლექციის მნიშვნელობის შეფასებისას განსაკუთრებულად უნდა გაეხსენებინათ იმ ფაქტს, რომ ამ კოლექციაში გადარჩა IX-X საუკუნეებით დათარიღებული, ღვთისმსახურების იერუსალიმური წესისათვის განკუთვნილი მრავალი ძეგლი, რომლებიც კიდევ უფრო ძველ ტრადიციებს ასახავს. ამ ხელნაწერთა ერთი ნაწილი საბაწმიდური წარმოშობისაა. ისინი სინაზე თან მოიტანეს X საუკუნის 70-80-იან წლებში საბაწმიდიდან გადმოსულმა ბერებმა; ბევრმა მათგანმა სინას მიაშურა მაშინ, როდესაც პალესტინაში მუსლიმანთა თავდასხმებმა მათ ძველი სავანეები დაატოვებინა. მათ შეავსეს ახალი ნუსხებით სინაზე არსებული წიგნთსაცავი. ეს კარგად ჩანს ახალი კოლექციის შედგენილობიდანაც. იერუსალიმური ლექციონარის ქართული ვერსია, – უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკული ძეგლი, რომლის სხვადასხვა რედაქციაში ასახულია ამ თავისებური ტიპიკონის განვითარება V-VIII საუკუნეების მანძილზე – ახალ კოლექციაში წარმოდგენილია IX-X ს-ის ფრაგმენტებით: Sin.Geo.N.10,11,77,88. ძეგლი კარგად არის ცნობილი კ.კეკელიძისა და მ.თარხნიშვილის გამოცემებით.

X ს-ის დასასრულამდე ქართული ეკლესია იყენებდა წირვის იმ წესს, რომელიც იაკობ მოციქულის სახელითაა ცნობილი. ჟამისწირვის ამ რედაქციის ოთხიოდე სინური ნუსხა იყო აქამდე ცნობილი და გამოცემული. ახალ კოლექციაში კი ამგვარ ნუსხათა საკმაოდ დიდი რაოდენობა აღმოჩნდა. ზოგიერთი მათგანი შეიცავს მხოლოდ ჟამისწირვის ტექსტს (Sin.Geo.N.33,63, 65,70,79,81,83), ხელნაწერების გარკვეულ ნაწილში კი კონკრეტული დღესასწაულების ჟამისწირვისათვის განკუთვნილი მასალაც არის შეტანილი: კვერეხები, ერის განტევებები, ახალი აღთქმის საკითხავები, ფსალმუნები და მცირე ფორმის საგალობლები ლექციონარიდან (Sin.Geo.N.22,26,31,35). ხელნაწერთა ერთი ნაწილი წარმოადგენს ბერძნული ევქოლოგიონის თავისებურ ტიპს და ჟამისწირვასთან ერთად შეიცავს კურთხევანსაც (Sin.Geo.N.53,58). ახალი კოლექციის ნუსხები გამოირჩევა ტექსტობრივი მრავალფეროვნებით და იძლევა მნიშვნელოვან მასალას ძეგლის განვითარების კვლევისათვის. ახალ კოლექციაში გამოვლენილია აგრეთვე ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის

ჟამისწირვათა თარგმანების უძველესი, X ს-ის ნუსხები (Sin.Geo.N.54,66).
 ახალ კოლექციაში აღმოჩნდა იადგარის სახელწოდებით ცნობილი კრებულის რამდენიმე სხვადასხვა რედაქცია. იადგარი უნივერსალური ტიპის ჰიმნოგრაფიული კრებულია, რომელშიც ერთად არის თავმოყრილი საეკლესიო წელიწადის სხვადასხვა ნაწილებისათვის (კალენდარული დღესასწაულების, მოძრავი ციკლებისა და ოქტობოსისათვის) განკუთვნილი საგალობლები. იადგარს დიდი ხნის რთული ისტორია აქვს. მისი უძველესი რედაქცია მხოლოდ პალესტინური ხელნაწერებითაა მოღწეული და მათი დიდი ნაწილი სინის ძველ კოლექციაშია დაცული. ეს რედაქცია შეიცავს წინარებიზანტიური, პალესტინური ლიტურგიკული პოეზიის უძველეს ნიმუშებს ვიდრე VIII ს-მდე და წარმოადგენს იერუსალიმური ლექციონარის ჰიმნოგრაფიულ დამატებას. იგი ასახავს მონოსტროფული პოეზიიდან მრავალსტროფიან და მრავალკომპონენტთან საგალობლებზე – სტიქარონებსა და ჰიმნოგრაფიულ კანონზე – გადასვლის ადრეულ ეტაპს. საგალობლების ეს ფონდი ბერძნულ ენაზე თითქმის მთლიანად დაკარგულია. ახალ კოლექციაში აღმოჩნდა აქამდე ცნობილი თუ უცნობი ნუსხების რამდენიმე ფრაგმენტი (Sin.Geo.N.29,36, 37,38,74,96). Sin.Geo.N.56 კი წარმოადგენს ახალ, მნიშვნელოვან ნუსხას: იგი ზოგიერთი ისეთი მასალითაა შევსებული, რომელიც სხვა ხელნაწერების მიხედვით უცნობია.

IX ს-ის ბოლოდან დაიწყო იადგარის ახალი რედაქციის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც X ს.-ის განმავლობაში გაგრძელდა. ახალი იადგარის შექმნა იყო შედეგი VIII ს.-ში საბაწმიდის მონასტერში საეკლესიო მუსიკაში განხორციელებული რეფორმებისა, რომელთაც იოანე დამასკელსა და კოზმა იერუსალიმელს მიაწერენ. დიდი იადგარის ძირითად პლასტს სწორედ იოანე დამასკელის, კოზმა იერუსალიმელის, ანდრია კრიტელის, ელია იერუსალიმის პატრიარქისა და სხვათა კანონებისა და სტიქარონების თარგმანები შეადგენს. დიდ იადგარში უძველესი იადგარის რეპერტუარი მთლიანად განახლდა და შეიცვალა. პირველ რიგში შეიქმნა საგალობელთა მუსიკალურ-რიტმული საზომების – ირმოლოგიონის ქართული კრებულები, რომელთა მიხედვით ხდებოდა ახალ კანონთა და სტიქარონთა თარგმნა. ამგვარი კრებულების (ქართული ირმოლოგიონების) ორი გამოცემა ამჟამად უკვე არსებობს. X ს.-ის 80-იანი წლებისათვის ჩამოყალიბდა დიდი იადგარის ვრცელი კრებულები (Sin.Geo.O.64-65 და მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილი იადგარი), რომელთა შემადგენლობაში ასეულობით კანონი და სტიქარონია თავმოყრილი, თარგმნილი და ორიგინალური. იგი უნივერსალურ კრებულს წარმოადგენს მსგავსად უძველესი იადგარისა. მის შემადგენლობაში აუცილებელ ნაწილად შეტანილია ძლისპირთა კრებულიც. არსებობს ირმოლოგიონის ცალკე კრებულებიც (Sin.Geo.N.64,69). ახალ კოლექციაში ათზე მეტი ერთეული შეიცავს მნიშვნელოვან ფრაგმენტებს დიდი იადგარის აქამდე ცნობილი თუ

უცნობი ნუსხებიდან (Sin.Geo.N.2,5,34,39,46,73,87,95,97), მათგან დიდი მნიშვნელობისაა Sin.Geo.N.2, რომელმაც შემოინახა Sin.Geo.O.64-65 იადგარის ვრცელი ანდერძები. ასევე მნიშვნელოვანია იოანე-ზოსიმეს ხელით დაწერილი Sin.Geo.N.19, რომელიც თითქმის სრული სახით არის მოღწეული და შეიცავს პარაკლიტონის ერთი ხმის საგალობლებს საინტერესო ანდერძებითა და განმარტებებით.

როგორც უკვე ითქვა, ქართული ეკლესიის გადასვლამ ღვთისმსახურების ბიზანტიურ წესზე მოითხოვა ლიტურგიკული წიგნების საფუძვლიანი განახლება. X ს.-ის ბოლოს კონსტანტინოპოლური ტიპიკონის მოკლე რედაქციის თარგმანი საფუძვლად დაედო ბიზანტიური ტიპის ლიტურგიკული წიგნების შედგენას. ამ ეტაპზე ყველაზე გამოკვეთილად ჩანს ახალი ტიპის ჰიმნოგრაფიული კრებულების – თვენის, ტრიოდონისა და პარაკლიტონის – ჩამოყალიბება. ეს კრებულები დაეფუძნა ძირითადად დიდი იადგარის რეპერტუარს, რომელიც ბიზანტიურ საღვთისმსახურო სისტემას მოარგეს და ახალი მასალით შეავსეს. ამის გამო კრებულები თავისი შედგენილობით პალესტინური ტრადიციის მრავალ ნიშანს ატარებს, რის გამოც ისინი გარდამავალი ტიპის კრებულებად იწოდებიან. ისინი მხოლოდ სინისა და იერუსალიმის კოლექციებმა შემოინახეს. ახალ კოლექციაში აღმოჩნდა პარაკლიტონის აქამდე უცნობი რამდენიმე ნუსხის (Sin.Geo.N.25,40,76) და თვენის ერთი ნუსხის (Sin.Geo.N.41) ფრაგმენტები. აქვე დაცულია ამავე რედაქციის პარაკლიტონის თავისებური ხელნაწერი (Sin.Geo.N.57), რომელიც შავ მთაზე სვიმეონ საკვირველთმოქმედის ლავრაში ჩანს გადაწერილი. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი მოღვაწის, იოანე-მელის, მიერ 980 წელს კონსტანტინოპოლში გადაწერილი ჟამნის უცნობი რედაქცია (Sin.Geo.N.23).

XI ს.-ის 40-60-იან წლებში გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ გიორგი მთაწმიდელმა, რომელიც ძირითადად შავი მთისა და ათონის მონასტრებში ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობას, ბიზანტიური ბერძნული ლიტურგიკული წიგნების სხვადასხვა ტრადიციის ხელნაწერების საფუძველზე შეადგინა ქართული ლიტურგიკული წიგნების მთლიანი კორპუსი, რომელიც გამოირჩევა თავისი ვრცელი შედგენილობით; ამავე დროს ლიტურგიკული ტექსტების თარგმანები მხატვრული თვალსაზრისითაც სანიმუშოა. ძველი და ახალი სინური კოლექციები გვიჩვენებენ, რომ სინის წიგნთსაცავში თითქმის სრულად იყო წარმოდგენილი გიორგი მთაწმიდლის რედაქციის წიგნები: დიდი სვინაქსარი ანუ კონსტანტინოპოლური ტიპიკონი, თვენების სრული კორპუსი, დიდი პარაკლიტონი, ზატიკნი, სტიქარონ-წარდგომათა კრებულები, საწინასწარმეტყველო, აპრაკოსის ტიპის სახარება და სამოციქულო, ჟამნი, კურთხევანი. ახალი კოლექციის თერთმეტი ერთეული გიორგი მთაწმიდლის რედაქციის ხელნაწერებს წარმოადგენს, მათგან მნიშვნელოვანია ზემოთ

უკვე ნახსენები Sin.Geo.N.18, რომელიც თვენის სრულ ციკლს ავსებს; საყურადღებოა აგრეთვე Sin.Geo.N.1, რომელიც დიდი სვინაქსრის მოზრდილ ნაწილს შეიცავს; Sin.Geo.N.6 და Sin.Geo.N.8p საწინასწარმეტყველოს ორი უცნობი ხელნაწერის ფრაგმენტებია; Sin.Geo.N.52,61,80, Sin.Geo.N.15p, 29p ჟამნის რამდენიმე ნუსხის ვრცელ თუ მცირე ფრაგმენტებს წარმოადგენს; Sin.Geo.N.72 კი კურთხევანია. ახალი კოლექციის მასალა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გიორგი მთაწმიდლის მოღვაწეობის წარმოსაჩენად ლიტურგიკული წიგნების თარგმნის საქმეში.

წინამდებარე კატალოგში აღწერილია 99 ეტრატის ხელნაწერი, 33 ქალაქზე ნაწერი და 10 გრაგნილი (ეტრატზე და ქალაქზე ნაწერი). ამგვარი დანაწილება ხელნაწერთა პირველადი გარჩევისას ჩაუტარებიათ მონასტრის ბიბლიოთეკაში და აღმწერლებს იგი აღარ შეუცვლიათ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ასაწერი მასალა თემატურად დალაგებული არ არის და ერთი და იმავე შინაარსის ხელნაწერები სხვადასხვა ადგილას არის მოხვედრილი კატალოგში. შესაბამისად, ხელნაწერთა ნუმერაციაც ცალცალკეა, მასალის მიხედვით. ეტრატის ხელნაწერებს ნომრის წინ მიუძღვით შემდეგი აღნიშვნა: Sin.Geo.N., ქალაქისას – Sin.Geo.N.p, გრაგნილებს – Sin.Geo.N.s. ძველი კოლექციის ხელნაწერები, რომლებიც ხშირად არის დამოწმებული აღწერილობაში, აღნიშნულია ასე: Sin.Geo.O. წინამდებარე აღწერილობაში შესული არ არის მრავალრიცხოვანი მცირე ფრაგმენტები (დაახლოებით 1800); ასეთი მოკლე დროის განმავლობაში მათი შესწავლა და აღწერა შეუძლებელი იყო, ამიტომ ფრაგმენტებზე მუშაობა კვლავ მომავლის საქმედ რჩება.

კატალოგი შედგენილია ძირითადად იმ ხანაწერების მიხედვით, რომლებიც შეადგინეს აღმწერლებმა მონასტერში ყოფნის დროს (1994 და 1996 წლებში). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ავტორებს შემდგომი მუშაობისას ფოტოები ან სხვა სახის ვიზუალური მასალა ხელთ არ ჰქონიათ. ამიტომ არც თუ იშვიათად ჩვენ არ შეგვეძლო მუშაობის პროცესში წამოჭრილ ამა თუ იმ მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხის გაცემა; ჭირდა აგრეთვე მრავალი დეტალის შემოწმებაც. ამის გამო ზოგიერთი ტექნიკური დეტალი კატალოგში შესაძლოა სათანადო სიზუსტით არ იყოს გადმოცემული.

ხელნაწერები აღწერილია საყოველთაოდ მიღებული წესების შესაბამისად, ტექნიკური მონაცემების ჩვენებით. ხელნაწერთა ზომების ჩვენებისას, რამდენადაც ფურცლები ხშირად დაზიანებულია (დახეული და კიდევებშემოცვეთილი) აღნიშნულია თავდაპირველი (სავარაუდო) ზომები. თუ ხელნაწერს ზუსტი თარიღი არა აქვს, დათარიღება ხდება ძირითადად პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში თარიღი ტექნიკურ აღწერილობაში კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული. აღწერილობის ბოლოში ტაბულებში ნაჩვენებია

(ტექნიკური მიზეზებით გამოწვეული ორიოდე გამონაკლისის გარდა) ყოველი ხელნაწერის თითო (ზოგჯერ მეტიც) ფურცლის ფოტო, როგორც ნიმუში. ფოტოები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმეტესად აღწერილობის შედგენის შემდეგ არის გადაღებული.

ახალი ხელნაწერები, როგორც უკვე ნათქვამია, ძველად მონასტრის კუთვნილ ერთიან კოლექციაში შედიოდა. ამიტომ, ყველგან, სადაც კი გაირკვა, რომ ახალი კოლექციის ხელნაწერი ძველი კოლექციის რომელიმე ნუსხის ნაწილს წარმოადგენდა, ეს გარემოება აღწერილობაში საგანგებოდ არის მითითებული. აგრეთვე შეძლებისდაგვარად ნაჩვენებია ასაწერ ხელნაწერთა ტექსტის მიმართება სხვა ნუსხებთან, პირველ რიგში ისევ სინური კოლექციის ხელნაწერებთან. ვფიქრობთ, ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ორივე – ძველი და ახალი – კოლექციის მთლიანობაში წარმოდგენას.

სამწუხაროდ, აღწერილობის ავტორებს საშუალება არ მიეცათ ტექსტების ნიმუშები (დასაწყისები და დაბოლოებები) წარმოედგინათ საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკის შესაბამისად. ხელნაწერთა ანდერძები კი, რომელთაც დიდი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა აქვთ, სრულად არის კატალოგში მოცემული.

კატალოგის შედგენა სამ ენაზე აგრეთვე გარკვეულ ტექნიკურ სირთულეს წარმოადგენდა (საძიებელთა შედგენა და სხვ.). ავტორები შეეცადნენ, რამდენადაც შესაძლებელი იყო, თავი გაერთვათ ამ სიძნელეებისათვის.

აღწერილობის ძირითადი ტექსტი ქართულია. იმისათვის, რომ ოთხი ავტორის ნამუშევარს ერთიანი სახე ჰქონოდა, მთლიანი აღწერილობა შეამოწმა და გამართა მზექალა შანიძემ. ბერძნული და ინგლისური თარგმანები სრულად შეესაბამება ქართულ ტექსტს. ბერძნულ ენაზე აღწერილობა თარგმნა თამარ მესხმა, ინგლისურზე – მზექალა შანიძემ. ხელნაწერთა ფოტოები შესრულებულია დავით ცხადაძის მიერ. ქართული და ინგლისური ტექსტი კომპიუტერზე ააწყვეს დალი ჩიტუნაშვილმა, მზია ებანოიძემ, ალა მოშიაშვილმა და ნიკოლოზ ხუციშვილმა. ბერძნული ტექსტი აიწყო წმ. ეკატერინეს მონასტრის ქ. იანენას და ათენის მეტოქებში. ანაწყოები შეამოწმა თ. მესხმა.

იმედი გვაქვს, რომ კატალოგი მისი დღევანდელი სახითაც სასარგებლო იქნება მკითხველთათვის. როდესაც ახალი კოლექციის ხელნაწერთა მთლიანი პირები ხელმისაწვდომი გახდება, ამ კოლექციის აღწერილობა (ჯერჯერობით შეუსწავლელი ფრაგმენტების ჩათვლით) უფრო ვრცელ და დაზუსტებულ სახეს მიიღებს.

ეტიკეტის ხელნაწერები

Sin.Geo.N.1 ს306აქსარი. XI

18 ფ; 29×18,5; ეტიკეტი; რვეულობრივი სათვალავის მიხედვით, შეიცავს ხელნაწერის ლა და ლბ რვეულებს სრულად და ლგ რვეულის მეორე და მეშვიდე ფურცლებს; ფურცლები აკინძულია, ცალკეა მხოლოდ ლა რვეულის პირველი და ლგ რვეულის ორი ფურცელი; ბოლო ორი ფურცელი ნაწილობრივ დაზიანებულია; ნუსხური; შავი მელანი; კალენდარული მითითებანი და განგების სხვადასხვა ელემენტები გამოყოფილია სინგურით; [გადაწერი: *იოვანე*; XI ს.].

შინაარსი: სვინაქსარი 1r-18v.

ტექსტი წარმოადგენს *ფრავმენტს გიორგი მთაწმიდლის დიდი სვინაქსრიდან* (XI ს.), რომელიც შედგენილია კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის ტიპიკონის საფუძველზე; შეიცავს სვინაქსარულ ცხოვრებებს 8-28 აგვისტოსათვის და სვინაქსარში ზოგიერთ თარიღზე დამატებით შესატან მასალას; ხელნაწერი ნაწილობრივ ავსებს დანაკლისს ძველი სინური კოლექციის ორ ხელნაწერს შორის (Sin.Geo.O.4 და Sin.Geo.O.61) და ცხადყოფს, რომ სამივე თავდაპირველად ერთი მთლიანი ხელნაწერის ნაწილებს წარმოადგენდა: Sin.Geo.O.4 ხელნაწერი, რვეულობრივი სათვალავის მიხედვით, შეიცავს ა-კთ რვეულებს (ნაკლული სახით); ტექსტი იწყება პირველი სექტემბრის მასალით და წყდება 10 ივლისზე (Цагарели, Каталог, с.72 (№43); ჯავახიშვილი, სინა, გვ.12; სინური აღწერილობა, ტ.II, №4, გვ.131); Sin.Geo.O.61 ხელნაწერი, რომელიც *აკავარლის* აღწერილობაში უამნად არის მიჩნეული, შეიცავს ლდ-შ რვეულებს (Цагарели, Каталог, с.65 (№20); Март, Описание с.111; სინური აღწერილობა, ტ.II, №61, გვ.161).

გადაწერი *იოვანე* მითითებულია Sin.Geo.O.4 ხელნაწერის მიხედვით.

მინაწერი (ტექსტის ხელით): „სიმრავლეო წმიდათაო, მეოხ ეყვენით თეოდორე მოძღუარსა“ 17r. *იგივე თეოდორე მოძღუარი* (ანუ სამოთხელი) რამდენჯერმეა ნახსენები Sin.Geo.O.4 და Sin.Geo.O.61 ხელნაწერებში.

ქართული სვინაქსრის შესახებ იხ. Кекелидзе, Литургические памятники, с.483-506; ათონური აღწერილობა, I, გვ.87-92 (№30).

Sin.Geo.N.2

იაღვარი. X ს. (987 წ. შიშხი)

21ფ; 30,5×24,5; ეტრატი; დაფურცლული; ზოგიერთი ფურცელი ძლიერ დაზიანებულია; რვეულთა სათვალავის აღმნიშვნელი ასოების მიხედვით, ფფ.1-2 პირველი რვეულის დასაწყისი და ბოლო ფურცლებია, ფფ.3-9 კი მეორე რვეულის პირველი შვიდი; ფფ.10-13 ლა რვეულის პირველი, მეოთხე, მეხუთე და მერვე ფურცლებია, ფფ.14-21 ლზ რვეულს შეადგენენ; ფ.21, რომელიც ხელნაწერის დამამთავრებელი ფურცელია, ჩამოხეულია და მისი მხოლოდ ვიწრო ზოლიაა დარჩენილი; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები, ბერძნულ ძლისპირთა დასაწყისების ქართული ტრანსლიტერაციები და საზედაო ასოები სინგურით; ხელნაწერის მომგებელი: **კვირიკე მიძნაძორელი** (20v); გადამწერი: **იოვანე ხუცესმონაზონი** (20r); გადამწერის ადგილი: [სინაწმიდა; X ს. 987 წ. შემდეგ].

შინაარსი: **ჰიმნოგრაფიული კრებული „იაღვარი“** (X საუკუნის რედაქციისა) 1r-21v.

ფრაგმენტი წარმოადგენს Sin.Geo.O.65 ხელნაწერის ნაწყვეტს და ნაწილობრივ ავსებს მის დანაკლისს: ფფ.1-9 დასაწყისში პირველი ფურცლის წინ, ფფ.10-21 კი ხელნაწერის ბოლოში 220-ე ფურცლის შემდეგ (სინური აღწერილობა, ტ. I, №65, გვ.208). ფრაგმენტში შესულია:

1. **ნაწყვეტები იაღვრის ძლისპირთა კრებულიდან I, II და III ხმების ფარგლებში 1r-9v.** მიეკუთვნება ქართული OdO წყობის ძლისპირთა უძველეს რედაქციას (*მეტრეველი*, ძლისპირნი; გამოცემაში Sin.Geo.O.65 აღნიშნულია O ლიტერით).

2. **VIII ხმის აღდგომის დასდებლების ნაწყვეტი 10r.** შემორჩენილია კანონის VIII-IX ოდები და აქებდითსა.

3. **I, III, V-VIII ხმების საშაბათო დასდებლების ნაწყვეტები 10r-19r.** სრული შედგენილობით წარმოდგენილია მხოლოდ VII-VIII ხმების დასდებლები. საშაბათო დასდებელთა სრული კომპლექტი შეტანილია Sin.Geo.O.26 ხელნაწერში (სინური აღწერილობა, ტ. I, №26: VIII-1-8; გვ.91-92), აგრეთვე *მიქაელ მოდრეკილის* იაღვარში, რომლის მიხედვით გამოქვეყნებულია (*კვახარია*, ჰიმნები, II, გვ.525-536).

ანღერძები: 1. გადამწერისა (ნუსხურით): „სახელითა ღმრთისაჲთა, მე, *იოვანე*, ხუცესმონაზონმან სახელით ოდენ და ფრიაღითა ცოდვითა შებლალულმან, და[ვწერე] ესე იაღვარი—სრული საგალობე[ლი] წმიდათა მოწამე[თაჲ] — თავად, თუნერ სასყიდელისა, ბრძანებითა პ[ატრიოსნისა] მღვდელისა *კვირიკე მოძღურისაჲთა* და ეტრატითა ა[ხლითა] *კოსტანტი* ღმრთისმოყუარისა ერისკაცისა, რომელი იყო ნათ[ესავით] ბერძენი. და ერთი მცირე იაღვარი გამოკრებ[ული და] ერთი სხუაჲ მცირე მსგებსი ესე ოთხთი

(sic) თავი დამი[წერია] და სხუანი (?) ჩემნი მოგებულნი, მრგულითა კელითა წე[რილნი], სალოცველად სულისა ჩემისა და ყოველთა გარდაცვალებულ[თა] და ყოველთა ღმრთისმოყუარეთა *კვრიკესა, კოსტანტისა* და ვის[...]. გვედრები ყოველთა ღმრთისმოყუარეთა მღდელთა, რომელნი ღირ[ს იყვნეთ] მსახურებად წმიდასა ამას წიგნსა, მე, გლახაკი *იოვანე*, [ამის წიგ]ნისა მშრომელი, მწარედ ცოდვილი და ფრიად უღები, და ყოველნი შ[...]. და მშობელნი ჩემნი და ძმანი და დანი, რომელნი მიცვალებულ არიან, ლოცვასა წმიდასა თქუენსა მოგვკსენენით და თქუენცა უფალმან მოგანიჭენ შენდობად და წყალობად მისძიერი. ან. და მე შემინდვეთ ყოველი, რომელი და[მიკლია და] შეცთომილ ვიყო უგუნურებითა ჩემითა, ღმრთისა[თვს] და თქუენ გამოაგეთ, რომელნი შემძლებელ იყვნეთ.“ 20r.

2. **მომგებლისა** (ასომთავრულით და ნუსხურით): „[სახელი]თა ღმრთისაჲთა, მამისა, ძისა და სული[სა წმიდისაჲთა], მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, წმიდათა ან[გელოზთა და] მთავარანგელოზთაჲთა, მადლითა და მეოხებითა წმიდისა [*იოვანე*] ნათლისმცემელისაჲთა, ყოვლად ქებულთა წმიდათა მა[მათმთავართა] და წინაწარმეტყუელთაჲთა, წმიდათა მღდელთმოდღუართა, მოციქულთა და] წმიდათა მამათაჲთა, მადლითა და შეწევნითა წ[მიდისა მამისა ჩუენისა] და ღმრთისმხილველისა მოსწ წინაწარმეტყ[უელისა დიდისაჲთა მე, *კვრიკე მიძნადორელი* და თუაძსა ხუ[ცისა მოწაფს (შდრ. Garitte, Catalogue, pp.150,195), ცო]დვილი და უღებებით ცხორებული, მოცუხო ვიქმენ [ჩემით] ქუეყანით მრავალთა ცოდვათა ჩემთაგან. და ნებითა ღმრთისაჲთა [მოვედ] წინაშე წმიდასა ამას მთასა სულთა ნავთსაყუდელსა. [და მომმა]დლა ღმერთმან მსახურებად წმიდისა მთისა ეკლესიისაჲ [ცხორება(?)]სა ჩემსა სიჭაბუკითგან ვიდრე სიბერემდე დღეთა [მათ მსახურებისა ჩემისათა; და მომადლებითა ღმრთისაჲთა აღვაშწნე [მცირე] ეკლესიაჲ გარეგან კართა ზედა დიდისა ეკლესიისა და [კულავ აღვაშ]ენე სახლები სადგურად არ[ა]ბთათვს ლოცვად [სულისა ჩემი]სა. და პირველ სადგურად ღამე წმიდაჲ ეკლესიაჲ იყო [და იყო შეურ(?)]აცხად [წმიდა]დ (?) ეკლესიაჲ სიმერალისა მათისაგან, ხოლო მე [აწ უკუე] გარეგან ვყავ ღამს საყოფელი და სა[დ]გური მათი. [ბრძან]ებითა და შეწევნითა ღმრთისაჲთა მოუგე წმიდასა მთასა [...] წიგნები ჩემითა გულსმოდგინებითა და ღუაწლითა [საყუარე]ლთა ღმრთისმოყუარეთა და პატიოსანთა მღდელთა: სახარებაჲ სრული; პავლს და მოციქულთა ერთად [დაწე]რილი სრული; კანონი გამოკრებული; იადგარ[ი დიდი] სრული ორად თავად დაწერილი; და კუალად სხუად იადგარი მცირე, გამოკრებული; და ერთი მცირს მსგებსი [ოთხი თ]ავი ერთითა კელითა დაწერილი; და სხუად ერთი იადგარი დიდი წურილად წერილი; და კურთ[ხევანი] სრულნი; და ჟამისწირვანი; მცირე სახარებაჲ საცისკროდ [სალოცვე]ლად და შესავედრებელად სულისა ჩემისა ფრიად [ცოდვილის]ა და სულთა მშობელთა და ძმათა და ყოველთა ჩემეულთა

[გარდაცვა]ლებულთათვის; და ვისცა ვის უშრომია და შეუწევია, [ღმერთმან] ყოველთავე სასყიდელი მისმიერი მიანიჭენ. და...“ 20v. ამის შემდეგ ანდერძი გრძელდებოდა 21r ბოლომდე, მაგრამ ფურცელი ჩამოხეულია და თითოეული სტრიქონისა მხოლოდ თითო-ორი სიტყვა იკითხება.

გადამწერისა და მომგებლის ანდერძებში ნახსენები მცირე იადგარი არის Sin.Ge.O.20, გადაწერილი 987 წ. (სინური აღწერილობა, ტ.I, გვ.73-77), რომელშიც კვირიკე ნახსენებია, როგორც მომგებელი. შესაბამისად, ხელნაწერები Sin.Ge.O.64, Sin.Ge.O.65 და Sin.Ge.O.N.2 გადაწერილია 987 წლის შემდეგ.

Sin.Ge.O.N.3

ჰაბიტობრაფიული კრებული. X

14ფ; 30×23; ეტრატი; დაშლილი; რამდენიმე ფურცელი ძალზეა დაზიანებული; ამოჭმულია ფფ.1,4,5,8,9; მეათე ფურცლის პირველი სვეტის ნახევარი დამწვარია. ფურცლებში გამოიყოფა ორი ხელი, ორივე ნუსხური; პირველი ცხრა ფურცლის გადაწერია *იოვანე* (7v); შავი მელანი, სათაურები სინგურით; ნაწერია ორ სვეტად; 14v-ზე ზანდუკის ბოლოს იესუ ქრისტეს გამოსახულება მაკურთხეველი მარჯვენით, მეორე ხელში გრავნილით; [X ს.].

შინაარსი: ჰაგიოგრაფიული კრებული 1r-13v.

ხელნაწერში წარმოდგენილია რამდენიმე თხზულების ფრაგმენტები; ესენია: 1. *იოანე საბანისძე, აბოს წამება* (აბოს წამების ერთ-ერთი ძველი ნუსხა Sin.Ge.O.11, X საუკუნისა; Garitte, Catalogue, p.41; გამოცემა: ძეგლები, ტ.I, გვ.46-81; რუს.თარგმანი იხ.: კეკელიძე, ეტიუდები, XII, გვ.104-128; გერმანული: Schultze, Abo; ინგლისური: Lang, Lives, p.115-133); 2. *ფილოთეოსის წამება*; 3. *მამას წამება* (ერთ-ერთი ძველი ნუსხა X საუკუნისა არის Sin.Ge.O.52; Garitte, Catalogue, p.187; ნ. აგრეთვე *კეკელიძე*, ავტორები, გვ.132); 4. *ნეტარი პელაგია სსენება*; 5. *პეტრე ალექსანდრიელის წამება* (*იმნაიშვილი ი.*, ქრესტომათია, ტ.II, გვ.74-83; ტექსტი გამოცემულია Sin.Ge.O.11 ხელნაწერის მიხედვით; Garitte, Catalogue, p.34).

14rv წარმოადგენს ზანდუკს, რომელშიც ნაჩვენებია კრებულის თავდაპირველი შედგენილობის ნაწილი: ზანდუკში ჩამოთვლილ ცხოვრებათა და შესხმათა რიგითი ნომრები, რომლებითაც ისინი კრებულში ყოფილა შეტანილი, არის კბ-ძვ. ზანდუკში დასახელებულია: წმ.ანდრიანე და ნატალია; წმ.მამა; წმ.პელაგია; წმ.ევგენია; წმ.ქსენოფონტე; წმ.თეკლა; წმ.ევსტათი და ძენი მისნი; წმ.დიონისიოს; წმ.სერგი და ბაქოზ; წმ.ანასტასია; წმ.მენა და აბიბო; წმ.გურია, სამონა და აბიბოს; (ლღ-ლზ სათაურები არ იკითხება); წმ.ნიკოლოზ, წმ.ევსტრათი, ავქსენტი, ევგენი, ორესტი და მარდარი; წმ.ევნათი; წმ.ბიკტორ და სტეფანია; წმ.ტიმოთე მოციქული; წმ.მამანტი; წმ.მარიამ

მეგობრული; წმ.მარკოზ მახარებელი; წმ.არეთა და მისი კრებული.

გადამწერის ანდერძი: "ლოცვა ყავთ. ქრისტე, შეიწყალე იოვანე." 4v;
"ქრისტე, შეიწყალე იოვანე". 7v.

Sin.Geo.N.4

ანბანური პატერიკი. X

26 ფ; დაახლოებით 26,5×19; ეტრატი; ძალზეა დაზიანებული ფფ.1-15; ფფ.1,4,5,8-15 ფრაგმენტებია, ზოგი დამწვარია; შემორჩენილია ო რვეულის პირველი და ბოლო ფურცლები (ფფ.3-4), ო რვეულის პირველი ფურცელი (ფ.5), მეთორმეტე (იბ) რვეული მთლიანად (ფფ. 19-26); ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და ცალკეულ თხრობათა დასაწყისი ასოები ასომთავრულითა და სინგურით; საზედაო ასოები ტექსტში ასომთავრულით (შავი მელნით); გადამწერი: *გრიგოლ* (22v); [X ს.].

შინაარსი: ანბანური პატერიკი 1r-26v.

სათაურის ჩვეულებრივი ფორმაა: „მამისა აფფცსთჳს“ და ა.შ. ფრაგმენტი შეიცავს თხრობას თვრამეტი მამის შესახებ. ესენია: *აბრაჰამ, აფფე, აპოლო, გრიგოლ, გერვასი, დიოსკორე, ეტჳფანე, ევქარისტო, თეოფილე* მთავარეპისკოპოსი, *თევდორე ელევთეროპოლეელი, ზენონი, იოვანე მოკლე, ისიდორე, ისაკი, იოსებ, იაკობ, იოვანე* საჭურისი, *იოვანე*, რომელი იყო სენაკებსა შინა.

ფრაგმენტი დასაწყისი ნაწილია Sin.Geo.O.8 ხელნაწერისა, რომელიც ამჟამად იწყება მეცამეტე (ივ) რვეულით (Garitte, Catalogue, p.29); Sin.Geo.N.4 ნაწილობრივ ავსებს ძველი კოლექციის ხელნაწერის დანაკლისს. *ჟგართი* Sin.Geo.O.8 ხელნაწერს XI საუკუნისად მიიჩნევს. პალეოგრაფიული ნიშნებით ორივე ხელნაწერი (Sin.Geo.O.8 და Sin.Geo.N.4) შეიძლება დავათარილოთ X საუკუნით.

გადამწერის ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე *გრიგოლ*“. 20v. მსგავსი ანდერძები აქვს Sin.Geo.O.8 ხელნაწერსაც (Garitte, Catalogue, p.29); აქვე გვიანდელი ხელით: „ქრისტე, შეიწყალე *თევდორე ტფილეელი*“. 5r-ზე გვიანდელი ხელით მიწერილია ქართული ასომთავრული ანბანის ნაწილი (ა-მ).

ანბანური პატერიკის გამოცემაში გამოყენებულია Sin.Geo.O.8 და Sin.Geo.O.35 ხელნაწერთა ტექსტი: *დვალი*, ნოველები, II.

Sin.Geo.N.5

იაღბარი. X

42 ფ; 24,5×19; შეიცავს დასაწყისში ორ გადაბმულ ფურცელს (პირველი რვეულიდან) და ო, ე, ლჳ, ლთ და მზ რვეულებს სრულად; ფურცლები დაზიანებულია, პირველი ორი ფურცლის დიდი ნაწილი მოხეულია და

დაგლეჯილი, ლ^შ რვეულის ბოლო ორი ფურცელი ნესტისგან დაზიანებულია, ზემოდან 5-6 სტრ. ფარგლებში ტექსტი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასულია; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები, საგალობელთა დასახელებები, ბერძნულ ძლისპირთა დასაწყისების ქართული ტრანსლიტერაციები და საზედაო ასოები მეტწილად ასომთავრულით, სინგურით; [X ს.].

შინაარსი: **ჰიმნოგრაფიული კრებული „იადგარი“** (X საუკუნის რედაქციისა) 1r-42v.

ხელნაწერი წარმოადგენს Sin.Geo.O.59 ხელნაწერის ნაწილს. პირველი 18 ფურცელი ნაწილობრივ აკვებს ხელნაწერის დანაკლისს დასაწყისში, ფფ.19-42 კი ხელნაწერის ბოლოში, 226-ე ფურცლის შემდეგ (სინური აღწერილობა, ტ. I, გვ.186). ფრაგმენტში შედის:

1. **ნაწყვეტები იადგარის ძლისპირთა კრებულიდან I, IV-VIII** ხმების ფარგლებში 1r-18v. მიეკუთვნება OdO წყობის ძლისპირთა კრებულის უძველეს რედაქციას (*მეტრეველი*, ძლისპირნი).

2. **ოქტომბრისა და ნოემბრის ზოგიერთ ხსენებათა საგალობლები** (სტიქარონები და კანონები) 19r-34v. ეს საგალობლები ყველა შეტანილია Sin.Geo.O.65 ხელნაწერში შესაბამის დღეებზე (სინური აღწერილობა, ტ. I, №65: III, 56,57,58,60,61,62,64,65,67,72,73, გვ.217-219).

3. **რამდენიმე ხსენების გამორჩენილი თუ ახლად მოპოვებული საგალობლები** (*სოფიასი* და *ასულთა მისთა* 24 ოქტ.; *გელასისი* 12 დეკ.; *თეოდონიასი* 10 თებ.; ორმოცდახუთი მოწამისა 10 ივლ.; *იოანეს* თავისკვეთისა 28 აგვ.) 35r-39v.

4. **საშაბათოდ განკუთვნილი უფალო დაღადაყვთა რვახმიანი რიგი** სათაურით: **"დასდებელნი წმიდათანი"** 39v-42v. იგივე დასდებლები ცნობილია Sin.Geo.O.34 ხელნაწერიდან (სინური აღწერილობა, ტ. I, №34: XXVI, 1-2, 11-17, გვ.127-130).

1r-სა და 9v-ზე ფურცლის თავზე დახაზულ ჩარჩოებში იკითხება: "ქრისტე, შეიწყალე *კერძე* და *იოვანე*. ლოცვა ყავთ." სავარაუდებელია, რომ ამავე პირებს ეკუთვნის Sin.Geo.N.2 ხელნაწერის ანდერძები.

Sin.Geo.N.6

საწინასწარმეტყველო. XII-XIII

3 ფ; სამივე ფურცელი შემოჭრილია, ამიტომ მათი ზომები განსხვავებულია: 25×15; 23,3×14; 23×14; ეტრატი; ფ.1 წარმოადგენს ორმოცდამეთოთხმეტე (წდ) რვეულის დასაწყის ფურცელს; ნუსხური; შავი მელანი; საკითხავთა დასახელებანი სინგურით; [XII-XIII].

შინაარსი: **საწინასწარმეტყველო** 1r-3v.

ფრაგმენტში შედის:

I. დიდი შაბათის მწუხრის საკითხავები:

[დ]. იონასი (4,10-11) 1r; ე. ისუ ნავესი (5,10-15) 1r; ვ. გამოსლვათა (13,20-14,10) 1rv; [იე]. დანიელის (3,15-34) 2rv.

II. ამაღლების მესამე საკითხავი: ზაქარიასი (14,9-11) 3r.

III. ზატიკის მეშვიდე (წმიდათა მამათა ნიკიელთა) კვირის საკითხავები: დაბადებისა (14,14-20) 3r; მეორე სჯულისა ზ (1,8-17) 3rv; მეორე სჯულისა ვ (10,14-17) 3v.

ფრაგმენტში წარმოდგენილია ტექსტი, რომელიც კონსტანტინოპოლური საწინასწარმეტყველოს საფუძველზე თარგმნა გიორგი მთაწმიდელმა XI ს-ის პირველ ნახევარში.

Sin.Geo.N.7

საგალობელთა კრებული. XIII

154 ფ; 24×18,5; ეტრატი; შეკერილია რვეულებად; უყდო; თავბოლონაკლული; პირველი რვეულიდან მოღწეულია 4 ძლიერ დაზიანებული ფურცელი; ზ-ით რვეულები სრულია; ლ-ზ და ი-ზ რვეულები ექვსფურცლიანია, თ, თ-შვიდფურცლიანი, დანარჩენები რვაფურცლიანი. მეოცე (კ) რვეულისა მოღწეულია 2 ფურცელი, დანარჩენი ექვსი და კა რვეულის ყველა ფურცელი მოხეულია ისე, რომ დარჩენილია მხოლოდ ტექსტის მცირე ფრაგმენტები ყუის მხარეს ზედა კუთხეში. ხელნაწერის ფურცლები, გარდა რამდენიმესი, პალიმფესტია; ქვედა ტექსტი ქართულია, ნუსხურით დაწერილი (IX-X სს.), ზედა ტექსტი ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; საზედაო ასოები ასომთავრულით; 89v დაუწერელია; [XIII ს.].

შინაარსი: საგალობელთა კრებული 1r-154v. ხელნაწერში შედის:

1. კალენდარულ დღეთა ოხითები, იბაკოები (კონდაკები) და იკოსები 1r-64r.

დასაწყისში ფურცელთა კლებისა და ძლიერი დაზიანების გამო ტექსტი შემორჩენილია ფრაგმენტულად (1,6,13,14 სექტემბრისა) 1r-4v. 5r-დან ტექსტი გრძელდება უდანაკლისოდ 16 სექტემბრიდან 29 აგვისტომდე. მისდევს კონსტანტინოპოლური ტიპის კალენდარს. კრებული მოკლე რედაქციისაა. ამ დანიშნულების ორი კომპლექტი ცნობილია Sin.Geo.O.76 ხელნაწერიდან (იხ. სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.132-145). წინამდებარე კრებული მათგან საგრძნობლად განსხვავდება. იბაკო-იკოსები ჩვეულებრივ ქართული ჟამნის ხელნაწერებშია შეტანილი ან ჩართულია თვენებში, შესატყვის ჰიმნოგრაფიულ კანონებში.

2. ნაწყვეტი პარაკლიტონიდან – I ხმის შვიდეულის საგალობლები ორშაბათიდან შაბათამდე 64v-154v.

ფურცელთა დაზიანების გამო შაბათის საგალობელთა ერთი ნაწილის დადგენა ვერ ხერხდება. რედაქციულად მისდევს XI ს. II ნახევარში გიორგი

მთაწმიდლის მიერ ბერძნულის მიხედვით შედგენილ ვრცელ პარაკლიტონს, წარმოადგენს გამონაკრებს ამ პარაკლიტონიდან. თავისი შედგენილობით ავლენს სიახლოვეს Sin.Geo.O.96 ხელნაწერთან (მდრ.სინური აღწერილობა, ტ. II, №96: I, 2-7).

Sin.Geo.N.8

სამოციქულო. 977

13 ფ; 26×20; ეტრატი; დაშლილი; ფ.11 დაზიანებულია, მოხეული აქვს ქვედა მარჯვენა კუთხე; ფ.1 მეოთხე (დ) რვეულის ბოლო ფურცელია, შემორჩენილია მეხუთე (ე) რვეული მთლიანად; ფ.10 ოცდამეათე (ლ) რვეულის პირველი ფურცელია. ლამაზი ასომთავრული; შავი მელანი; საზედაო ასოები დიდი ზომის ასომთავრულით; ნაწერია ორ სვეტად; [მომგებელი: *კვრიკე მიძნაძორელი*; გადამწერი: *კვრიკე სოხასტრელი*; დაწერის ადგილი: *სინა*; 977 წ.]

შინაარსი: სამოციქულო 1r-13v.

ფრაგმენტში შედის: ა) *პავლეს ეპისტოლენი* (Iკორ. 7,4-10,16 ფარგლებში) 1r-9v.

ბ) *კათოლიკე ეპისტოლენი* (Iპეტ. 1,22-3,1 ფარგლებში) 10r-13v.

ხელნაწერის ფურცლები წარმოადგენს Sin.Geo.O.58-31-60 ხელნაწერის ნაწილებს. ფფ.1-9 ნაწილობრივ ავსებს დანაკლისს №58 ხელნაწერის დასაწყისში (იგი ამჟამად იწყება მეშუდე (ზ) რვეულის მესამე ფურცლით). ფფ.10-13 თავსდება №31 ხელნაწერის ბოლოს; იგი ამჟამად წყდება კო რვეულის პირველ ფურცელზე (Garitte, Catalogue, p.194).

ხელნაწერის დათარიღება, მომგებლისა და გადამწერის ვინაობის აღნიშვნა ემყარება Sin.Geo.O.58-31-60 ხელნაწერის ანდერძთა ჩვენებას: „...ღირს ვიქმენ მოგებად წმიდასა ამას წიგნსა პავლესა და მოციქულთასა მე კვრიკე მთისა ხუცესი და შევწირე წმიდასა მთასა სინასა ... მოვიწიე წმიდასა ამას მთასა სინასა მე, *კვრიკე* ცოდვილი *სოხასტრელი* ... და დაუწერე წმიდაჲ ესე წიგნი კელითა ჩემითა ფრიად ცოდვილითა ძმასა ჩემსა სულიერსა *კვრიკეს მიძნაძორელსა* და *თუადსა* ხუცესსა, რომელი იყო დეკანოზად მთასა ამას წმიდასა *სინასა*... დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ხფჰა და ქრონიკონი იყო რჟხ...” (Garitte, Catalogue, p.195-196).

Sin.Geo.O.58-31-60 გამოყენებულია როგორც ძველი B რედაქციის ტექსტის შემცველი ერთ-ერთი ნუსხა პავლეს ეპისტოლეთა გამოცემაში (*ძიწენიძე, დანელია, პავლენი*). კათოლიკე ეპისტოლეთა გამოცემაში გამოყენებულია Sin.Geo.O.39 (974წ.), რომელშიც ტექსტი სრულია (Garitte, Catalogue, p.152) და Sin.Geo.O.58-31-60, რომლის ერთი ნაწილი ძველი რედაქციის ტექსტის ფრაგმენტს შეიცავს (*ლორთქიფანიძე, კათოლიკენი, გვ.07-037*).

Sin.Geo.N.9

საქმე მოციქულთა. XI

19 ფ; 28×21,5; ეტრატი; დაშლილი, ძალზე დაზიანებული; ზოგიერთი ფურცლებისა (ფფ.1,14-16) დარჩენილია მხოლოდ ნახევარი; ფფ.7-13 ყუის მხარეს დამწვარია და ტექსტი თითქმის არ იკითხება, ფურცლები ამოჭმულია და გახვეებული; ასომთავრული; შავი მელანი; საკითხავების დასაწყისი, საზედაო ასოები და საკითხავების სათვალავი სინგურით; ნაწერია ორ სვეტად; 7r-ს ქვედა აშიაზე მსხვილი ასომთავრულით და სინგურით გამოყვანილია ქართული ანბანის პირველი რვა ასო; [XI ს.].

შინაარსი: საქმე მოციქულთა (7,23-26,3) 1r-19v.

ხელნაწერის დაზიანების გამო ტექსტს შიგნით აკლია. 1r (მარცხენა შენარჩუნებული სვეტი): 7,23-25; 1v-6v: 7,33-8,37; ფ.7r-ზე დამწვარი ნაწილის სავარაუდო დასაწყისია 9,8; ფფ.7r-13v-ზე ტექსტი გრძელდება და წყდება 10,48-ზე; 14r-ზე დასაწყისია 19,19; 15r: 19,31; 16r: 20,3; ფფ.17-18: 20,11-20,37; ფ.19: 25,16-26,3.

ტექსტი გამოცემულია Sin.Geo.O.58-31-60 (977წ.) და Sin.Geo.O.39 (974წ.) ნუსხათა მიხედვით (Garitte, Actes). Sin.Geo.N.9 ხელნაწერის ტექსტი ძირითადად მისდევს ამ ნუსხათა ტექსტს ზოგიერთი სხვაობით. შდრ.აგრეთვე *აბულაძე*, საქმე.

Sin.Geo.N.10

იერუსალიმური ლექციონარი. IX

9 ფ; თავდაპირველი ზომები უნდა ყოფილიყო 31×24; ამჟამად ყველა ფურცელი სხვადასხვა ზომისაა, რადგან შემოჭრილი აქვს აშიები: 21×18,5; 22×16; 21,5×20,5; 22,5×20,5; 22×18; 24,5×19,5; 22×18,5; 23×19; 31×17,5; მოთეთრო ეტრატი, ადგილ-ადგილ სინესტისაგან გაყვითლებული; პირველი ფურცლის ნაწილი დაახლოებით ათი სტრიქონის ფარგლებში ამოჭმულია; მესამე ფურცელი შუა ნაწილში გახეულია; მეხუთე ფურცლის ნაწილი მოხეულია და ტექსტი დაკარგულია; მეექვსე ფურცლის ბოლო ორი სტრიქონის ტექსტიც ნაწილობრივ დაკარგულია; ასომთავრული, დიდი ზომის მრგვლოვანი ასოები; ერთ სვეტად, შავი მელნით; სტრიქონთა რაოდენობა ყოველ გვერდზე 20; [IX ს.].

შინაარსი: იერუსალიმური ლექციონარი 1r-9v.

ფრაგმენტი შეიცავს იერუსალიმური ლექციონარის ქართული ვრცელი ვერსიიდან გამოკრებილი სახარების საკითხავებს: ბზობის, დიდი ხუთშაბათისა და დიდი პარასკევისათვის. (შდრ. Tarchnischvili, *Lectionnaire*, Nos.581,644, 647,686,690,694).

Sin.Geo.N.11

იერუსალიმური ლექციონარი. X

7ფ. + 3 მცირე ფრაგმენტი; თეთრი ეტრატი, ადგილ-ადგილ ნესტისაგან გაყვითლებულ-გამუქებული; ძლიერ დაზიანებული, რის გამოც ფურცლები სხვადასხვა ზომისაა: 31×25; 33×27; 25×27; 24×26,5; 23,5×27 (2ფ); 20,5×12,3; მხოლოდ მეორე ფურცელს აქვს შენარჩუნებული თავდაპირველი ზომები (33×27); თითქმის ყველა ფურცელს მოხეული აქვს ნაწილები, ფფ.5-6 გადაბმულია და ერთმანეთს მისდევს, დანარჩენი ფურცლები ერთმანეთს არ მისდევს; ასომთავრული მოძსხო ასოები; შავი მელანი; საკითხავთა და საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით; ნაწერია ორ სვეტად, სრულად მოღწეულ ფურცელზე სტრიქონთა რაოდენობა 30; თითქმის არ ახასიათებს დაქარაგმება [X ს].

შინაარსი: იერუსალიმური ლექციონარი 1r-7v.

ხელნაწერი შეიცავს ნაწყვეტებს იერუსალიმური ლექციონარის ვრცელი ვერსიიდან: დიდი პარასკევისა და შაბათის, ზატიკთა პირველი ორშაბათისა და სამშაბათის, აგრეთვე ზოგადი ხასიათის ზოგიერთ დღესასწაულთა ძველი და ახალი აღთქმის საკითხავებს, ფსალმუნებსა და ჟამისწირვის ტროპარებს; საკითხავების ჯგუფს იერემიას წინაწარმეტყველებიდან (მდრ. Tarchnischvili, Lectionnaire, Nos.683,684, 698-701, 732, 735, 738,739,757,758,1521-1527, სქოლიო B-F, 1587). ახასიათებს ზოგიერთი განსხვავება გამოცემასთან შედარებით.

მცირე ფრაგმენტების ტექსტის დადგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

Sin.Geo.N.12

ოთხთა 80. 1075

196 ფ; 19,2×14; ეტრატი; უყლო; ძლიერ დაზიანებულია თავსა და ბოლოში; ფფ.1-17 ფრაგმენტულია; ფფ.161-167, 170-196 დაზიანებულია; თავბოლონაკლული, აკლია შიგნითაც; დაშლილია რვეულებად; დარჩენილია ა-გ რვეულთა მცირე ფრაგმენტები, ა-გ რვეულის ბოლო ფურცელი; დ-ვ, თ, ია, იგ-კშ რვეულები სრულია (თითოეულში 8-8 ფურცელი); იშ და ით რვეულებს აკლია ბოლოში თითო-თითო ფურცელი; ლ რვეულისა შემორჩენილია 4ფ.; დაკარგულია ზ, შ, ი, იბ რვეულები მთლიანად; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები ასომთავრულით და სინგურით; ამონიოსის თავები, ევსევის კანონები და საკითხავების სათვალავი მითითებულია ასომთავრულით; ევსევის კანონთა მაჩვენებელი წარმოადგენს ვარსკვლავისებურ ნიშანს მარცხენა აშიაზე შიგ ჩაწერილი სათვალავით; საკითხავების დასაწყისს აჩვენებს ქანწილი მარცხენა აშიაზე, დასასრულს-ჯვარი მარჯვენაზე; მათეს, მარკოზისა და იოანეს თავების დასაწყისში გამოსახულია დიდი ზომის (16

სმ.) აყვავებული ჯვარი (1r,45v,137v); მათეს თავთან ჯვრის გამოსახულება დაზიანებულია, შემორჩენილია მხოლოდ მისი ნაწილი; ჯვრებში ჩაწერილია: “წმიდად ჯუარი, ძლევაჲ ქრისტესი” (45v,137v). თავების დასასრულთან ტექსტში დასმულია მცირე ზომის (3-4 სმ.) ჯვრები (44v,69v,137r,187v); დაუწერელია 45r. გადამწერი: *მიქაელ* (69v,137r,188r); დაწერის ადგილი: *სინა* (188r); 1075წ. (188r).

შინაარსი: I. *ოთხთავი* 1r-187v. შიგ შედის:

1. *მათეს სახარება* 1v-44v. ხელნაწერის დაზიანების გამო 1-17 ფურცლებზე ტექსტი შემორჩენილია ფრაგმენტულად 1,1-11,23 ფარგლებში. გაბმული ტექსტის დასაწყისია: მათე 12,27.

2. *მარკოზის სახარება* 46r-69v. შემორჩენილია ტექსტი: მარკ.1,1-3,10; 6,28-9,34; 12,35-16,20.

3. *ლუკას სახარება* 70r-137r. შემორჩენილია ტექსტი: ლ.1,1-12,24; 12,39-15,15; 15,29-24,53.

4. *იოანეს სახარება* 138r-187v. ფურცლების დაზიანების გამო ი.20,14-ის შემდეგ ტექსტი ფრაგმენტულია.

თითოეულ თავს მოსდევს ტექსტის ხელით ნაწერი *ანდერძი გადამწერისა*:

1. (მათეს თავის ბოლოს): “დაიწერა წმიდად სახარებაჲ მათეს [თავი მე-^ჴ წელსა შემდგომად ამაღლებისა უფლისა ჩუენისა [იესუ ქრისტესა ზეცად]. ქრისტე, შეიწყალე მოძღუარი *დავით* [და *მიქაელ მხრეკალი*] და *მოსე* და *მიქაელ*, *ჭიტად* და *ს[კ]მიონ და..* მშობელნი და ძმანი მათნი. ან. ლოცვა ყავთ, ღმრთი[სათუს...] შემინდევით.” 44v.

2. (მარკოზის თავის ბოლოს): „დიდებაჲ შენდა, ღმერთო. სახარებაჲ მარკოზის თავი აღიწერა წელსა მე-^ია შემდგომად ამაღლებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა ზეცად. (ამის შემდეგ წვრილად, მუქი მელნით) ქრისტე, შეიწყალე სული გლახ *მიქაელ* უცბად მხრეკალისა და მშობელთა და ძმათა მისთა. ან. ლოცვა ყავთ ღმრთისა სიყუარულისათუს“. 69v.

3. (ლუკას თავის ბოლოს): „აღიწერა სახარებაჲ ლუკასი წელსა ი^ე შემდგომად ამაღლებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი ზეცად. ქრისტე, შეიწყალე მოძღუარი ჩუენი *დავით* და *მიქაელ* უცბად მხრეკალი, და *მოსე* და *მიქაელ* და *ჭიტად* და *სკმიონ* (ს^ნ) და *ჯერასიმე* და *გრიგოლ* და მშობელნი და ძმანი მათნი. ან.

წმიდანო მამანო, ვინ ღირს იქმნეთ შემდგომად ჩუენსა კმარებად წმიდასა ამას სახარებასა, ლოცვა ყავთ ღმრთისა სიყუარულისათუს და რომელი დამეკლოს, შემინდევით. ახალ თარგმნილისაგან დაგვწერია და დედად დიად მართალ არს“. 137r.

4. (იოანეს თავის ბოლოს) "აღიწერა წმიდად ს[ახარებაჲ იოვანსს] თავი ლ^ბ წელსა შემდგომად ამაღლებისა [უფლისა ჩუენისა] იესუ ქრისტესა ზეცად. საყუარელნო [წმიდანო მამ]ანო და ძმანო, ვის თანაცა მოიწი[ოს.....]

უცბად ჩხრეკილი ესე წმიდად სახარებად, [ლოცვა ყავთ ჩემთვის] და ნუ მწყევთ. წერად ჰაის[თენ (მდრ. Garitte, Catalogue, p.58)...] სა ოდე[ნ] ვიც[ოდე]. და სხუად არა ვი[ნ ი]ყო [გარეშე ჩ]ემსა. ხოლო დაიწერა მთასა წმიდასა *სინასა*, საყოფელსა წმიდისა და წინაწარმეტყუელისა და ღმრთისა მხილველისა *მოსედსა*. ქრისტე, შეიწყალე მოძღუარი ჩუენი *დავით* და *მიქაელ* მჩხრეკალი და *მოსე* და *მიქაელ* და *ჭიტად* და *სკშიონ* და *ჯერასიმე* და *კრივოლ* და მშობელნი და ძმანი მათნი. ან.

ახალ თარგმნილისაგან დაგვწერია და დედად დიად მართალ არს. ხოლო ესე ჭეშმარიტებით იცოდეთ, რომელ მახარებელთა თქუმული ესთენ არს, რამეთუ *კოსტანტიპოლეს* (ასეა!) შინა დამარხულ არს წმიდათა მახარებელთა კელითავე აღწერილი წმიდად სახარებად ძელისა ცხორებისასა თანა სამეფოსა საგანძურსა შინა და მისგან თარგმნილ არს. ამათ ძუელთა სახარებათა ზოგი რადმე სიტყუად არა ეწამების. მას ფამსა ქრონიკონი იყო სჟე. დედად საუდაბნოდ დაწერილი იყო და ქუეგარესა კერძოსა რიცხუნი იგი შესაერთებელნი არა ეწერნეს." 188r (მდრ. Garitte, Catalogue, pp.256-257).

ანდერძებიდან ჩანს, რომ ხელნაწერი გადმოწერილია "ახალ თარგმნილისაგან", ანუ *გიორგი მთაწმიდლის* ნარედაქციევი ტექსტიდან. გიორგისეული ტექსტისათვის იხ. *იმნაიშვილი ი.*, ოთხთავი.

II. სახარების საწელიწდო საკითხავთა განგება 189r-196v.

სათაური გამოწერილია სინგურით: „განგებად ს[ახარებისა]დ ბერძუ[ლს]სა წესსა [ხედა, საძიებელი რიცხვთა უ[ცთო]მელი საწელიწდოდ, [ყოველნი] დღენი სრულიად და [მარ]ხვათა შაბათ-კვრიაკენი და დღენი. და ყოველსა სახარებისა თავსა და ბოლოსა აჩინებს: სადა თავი იყოს სახარებისა, ესე ქანწილი ზის სინგურითა (ნაჩვენებია ქანწილის გამოსახულება); და ბოლოსა, სადა დასრულდებოდის სახარებად, ესე ჯუარი ზის სინგურითავე (ნაჩვენებია ჯვრის გამოსახულება)“. სათაური თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა Sin.Geo.O.19 ხელნაწერის განგების სათაურს (Garitte, Catalogue, p.54). განგება ბოლონაკლულია, წყდება დიდმარხვის მეოთხე კვირიაკეზე.

188v-ზე ცალკეა გამოწერილი აღდგომის ცისკრის სახარებები. ფურცლის ქვედა ნაწილში სინგურით: „ქრისტე, შეიწყალე გლახაკი *მიქაელ მჩხრეკალი*“.

ანდერძებში დასახელებული ზოგიერთი პირი ნახსენებია Sin.Geo.O.19 ხელნაწერშიც, რომელიც 1074 წელს გადაუწერია იმავე *მიქაელს* (Garitte, Catalogue, p.53-58). ამ ორ ხელნაწერს მრავალი საერთო ნიშანი აქვს. ანდერძების შინაარსის მიხედვით, ეს ხელნაწერი მსგავსებას იჩენს ძველი სინური კოლექციის კიდევ ერთ ხელნაწერთან: – Sin.Geo.O.81; ეს არის XII-XIII სს. გადაწერილი ოთხთავი, რომლის ერთ-ერთ ანდერძში განმეორებულია Sin.Geo.N.12-ის გადაწერის თარიღი: ქრონიკონი სჟე (=1075 წ.; Garitte, Catalogue, p.255-256).

Sin.Geo.N.13

ასკეტიკური და ჰაგიოგრაფიული კრებული. X

107ფ; 23×15; ეტრატი; უყდო; დაშლილი; მეტ-ნაკლებად დაზიანებულია ფფ.40,41,69,74,75,93-95,102,103,107; 104-106 ფრაგმენტებია; თავბოლონაკლული, ბევრი აკლია შიგნითაც; ფურცელთა ამჟამინდელი სათვალავი სწორი არ არის, უნდა იყოს შემდეგი: 1-39, 103, 106, 105, 74-78, 40-68, 70-73, 69, 107, 96-101, 79-94 (გასარკვევია ფფ.95,102,104 ადგილი). რვეულები (ერთის გარდა) რვა-რვა ფურცლიანია. რვეულის დასაწყისი აღნიშნული არ არის, დასასრული ნაჩვენებია მისი ბოლო ფურცლის უკანა მხარის ზედა აშიაზე; თავში აკლია 4 რვეული მთლიანად და მეხუთის პირველი ფურცელი; რვეულთა შედგენილობა: რვეული ო: ფფ.1-7 (აკლია პირველი); ო: 8-15; ო: 16-23; ო: 24-31; ო: 32-39; ო: 103,106, შემდეგ აკლია 4ფ., 105, აკლია რვეულის ბოლო ფ.; ო: პირველი ფ. აკლია, 74-78, აკლია ბოლო 2ფ.; ო: 40-47; ო: 48-58 (ამ რვეულში 11 ფურცელია; 58v დაუწერელია, აქვს მხოლოდ სათვალავის აღნიშვნა რვეულის ბოლოს); ო: 59-66; ო: 67-68, 70-73, 69, აკლია ბოლო ფ.; ო: 107, 96-101, აკლია ბოლო ფ.; ო-კა რვეულები აკლია მთლიანად, კა რვეულისა დარჩენილია ბოლო, 79-ე ფ.; კა: 80-87; კა: 88-94, აკლია ბოლო ფურცელი. არ ჩანს, რამდენი აკლია ხელნაწერს ბოლოში. ხელნაწერი წარმოადგენს პალიმფსესტს: ქვედა გადარეცხილი ტექსტი, რომელიც ზედას პერპენდიკულარულია, ნაწერია მოყავისფრო მელნით და კარგად ჩანს ზედა ნაწერისაგან თავისუფალ აშეებზე; ქვედა ტექსტის დიდი ნაწილი კავკასიური ალბანურია, არის სომხურიც; ზედა ნაწერი ნუსხური, შავი მელანი; სათაურები ასომთავრულით; დაწერილია ულაზათო ხელით, გადამწერი: *მიქაელ* (7v,16r); დაუწერელია 58v; [X ს.]

შინაარსი: **ასკეტიკური და ჰაგიოგრაფიული კრებული** 1r-107v. ხელნაწერში შეტანილია:

1) **ათანასი ალექსანდრიელი, ანტონი დიდის ცხოვრება** 1r-9v, 11v-16v. თხზულება თავნაკლულია, ტექსტი წარმოადგენს ვრცელ კიმენურ რედაქციას, რომელიც დღემდე ცნობილი იყო მხოლოდ ერთი ნუსხით (ბრიტანეთის მუზეუმისა, XI ს., Add.11281. *იმნაიშვილი ვ.*, მამათა ცხოვრებანი. ანტონის ცხოვრება, გვ.7-53). ხელნაწერის 1r-7v შეესაბამება ბრიტ.მუზ. 23v-28v; 8r-9v: ბრიტ.მუზ.33v-37r. ვრცელი რედაქცია ანტონის ცხოვრებისა ცალკეც არის გამოცემული მოკლე რედაქციის ორ ხელნაწერთან ერთად (*იმნაიშვილი ვ.* ანტონი; სინური ხელნაწერის მონაკვეთთა შესაბამისი ტექსტია გვ.39,10-43,20; 47,25-48,31). ხელნაწერის ტექსტში 9v-11r-ზე მოიპოვება ჩანართი, რომლის თავი და ბოლო აღნიშნულია აშიაზე დასმული ჯვრისმაგვარი ნიშნით. 11r-ზე გრძელდება ანტონის ცხოვრება თხზულების ბოლომდე (ბრიტ.მუზ.51r-54v; *იმნაიშვილი ვ.* ანტონი, 77,3-83,40). 16v-ს დასაწყისში

სინგურით: „ცხოვრებად ნეტარისა ანტონისი, აიწერა ათანასი ალექსანდრიელ ეპისკოპოსისაგან“. ხელნაწერში შერჩევითაა შეტანილი თხზულების სხვადასხვა ნაწილები, მაგრამ გამოკრებილი ეპიზოდები ტექსტობრივ ბრიტ.მუზეუმის ხელნაწერისას მისდევს; 7v-ს ბოლოში გადამწერი იძლევა ცნობას თავისი გადანაწერის შესახებ (ნ.ქვემოთ).

2) ანტონის ეპისტოლენი I: 16v-23v; II: 23v-27r; III: 27r-31r; IV: 31r-39v (IV,1-83), 103rv (IV,83-95), 106rv (IV,96-103); V: 105rv (V,29-37), 74rv (V,61-ბოლომდე); VI: 74r-78v; VII: (VII,1-6) 78v.

ანტონის ეპისტოლენი გვხვდება სინური ძველი კოლექციის ხელნაწერებში: ეპისტ.I-VI. Sin.Geo.O.35 ხელნაწერში (907 წ.; თარიღისათვის: დვალი, ჯღამაია, ფრაგმენტი, გვ.72; Garitte, Catalogue, p.97); ეპისტ.VII და III შეტანილია Sin.Geo.O.25 ხელნაწერში (Garitte, Catalogue, p.61). ტექსტი გამოქვეყნებულია ამ ორი ხელნაწერის მიხედვით (Garitte, Antoine, p.267); გამოცემაში ეპისტ.I თავნაკლულია: აკლია I,1-12 (რომელიც არ არის Sin.Geo.O.35-ში, რადგან პირველი ფურცელი დაკარგულია); Sin.Geo.N.13 ამ დანაკლისს ავსებს. ეპისტ.VII ცალკეა გამოცემული Sin.Geo.O.25 ხელნაწერის მიხედვით (ჯავახიშვილი, სინა, გვ.236-237).

40r-ზე-თავნაკლული თხრობა ანტონის შესახებ.

3) მაკარი დიდის ეპისტოლე I 40v-58v.

თხზულების ტექსტი შემონახულია Sin.Geo.O.35 და Sin.Geo.O.25 ხელნაწერებში, რომელთა მიხედვით გამოქვეყნებულია (ნინუა, ფსევდონაკარი, გვ.106-136).

ხელნაწერში ტექსტი დაუმთავრებელია, წყდება 58r-ზე, ხოლო 58v დაუწერელია. ტექსტის ბოლო შეესაბამება გამოცემის გვ. 127, 19.

4) ამონას ეპისტოლენი I: 59r-60v; II: 61r-63v; III: 63v-65r; IV: 65r-67r; V: 67r-68r; VI: 68rv, 70r; VII: 70rv, 71rv; XV: 71v-73v, 69rv (ამის შემდეგ აკლია 1ფ.), 107rv, 96r-101r; XVI: 101v (დასაწყისი).

ამონას ეპისტოლენი შემონახულია ძველი სინური კოლექციის ხელნაწერებში: ეპისტ.I-XVI: Sin.Geo.O.35 (Garitte, Catalogue, p.103), ეპისტ.III, XIII, XV: Sin.Geo.O.25 (Garitte, Catalogue, p.62).

ეპისტ.II (= ბერძ.VI, სირ.III) გამოქვეყნებულია Sin.Geo.O.35 ხელნაწერის მიხედვით. (Garitte, Ammonas, p.123-131). ქართული ნუმერაცია სხვაგანაც განსხვავებულია: ქართულის I ეპისტოლე ბერძნული და სირიული სათვალავით არის II; III-I და XII; IV-III და IV; IX-IV და IX; X-V და XI; XI-VII და XIII; V-VIII (იმავე სათვალავით სირ.); XII (X სირ.) და XIV (I სირ.) ბერძნულად არ არის; XIII, XV, XVI დაკავშირებულია ამა ისაიას სახელთან (Garitte, Catalogue, p.103-108).

5) იოანე ოქროპირი, სინანულისათვის, ქალწულებისა და მოთმინებისათვის 79r-93v.

თხზულებას აკლია სათაური და დასაწყისი ნაწილი (დაახლოებით ნახევარი). სრული ტექსტი შემონახულია Sin.Geo.O.25 ხელნაწერში, 137v-194v (Garitte, Catalogue, p.64). ტექსტი Sin.Geo.N.13-ში შეესაბამება Sin.Geo.O.25 ხელნაწერისას 166r-დან. იგივე თხზულება არის კიდევ მეორე სინურ ხელნაწერში: Sin.Geo.O.78, XI ს., 204v-223r (*ჯავახიშვილი*, სინა, გვ.129; Garitte, Catalogue, p.230).

6) აპოლოსათვის 93v-94v.

ტექსტი განსხვავებულია თხრობათაგან, რომლებიც გვხვდება Sin.Geo.O.25 (137v, ნ. Garitte, Catalogue, p.64) და Sin.Geo.O.35 (Garitte, Catalogue, p.118) ხელნაწერებში.

95-ე ფურცლის ვერსო შეიცავს დაზიანებულ ტექსტს, რომელშიც ნახსენებია *პატერმუთიონ*.

ხელნაწერის ქვედა, გადარეცხილი ტექსტის ერთი ნაწილი შესრულებულია კავკასიური ალბანური დამწერლობით; მისი ნიმუშები დღემდე ცნობილი იყო მხოლოდ მცირერიცხოვანი ეპიგრაფიკული მასალით, რომლის მთლიანი ამოკითხვა და გაშიფვრა დღემდე ჯერჯერობით არ ხერხდება. ალბანური დამწერლობით არის შესრულებული აგრეთვე Sin.Geo.N.55 პალიმფსესტური ხელნაწერის ქვედა ტექსტის ერთი ნაწილი. პალიმფსესტის ტექსტი, რომელიც ნაწილობრივ ამოკითხა ზ. ალექსიძემ, შეიცავს “ლექციონარის” ფრაგმენტებს (კავკასიური ალბანურის შესახებ ნ. Абуладзе, Открытие; Абуладзе, Сведения; Шанидзе А., Алфавит; Шанидзе А., Албанцы; ალექსიძე, ალბანური; Алексидзе, Новые памятники; ალექსიძე, ალბანური ენა; Aleksidze, Albanian Language).

ანდერძები და მინაწერები: „სასწაული და ვითარ ცხონდებოდა ვერ დავწერე. ესე სწავლად ოდენ დავწერე. მიქაელ“ 7v. „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ“ 16v.

ხელის მიხედვით ამავე პირის გადაწერილია Sin.Geo.N.55. შესაძლოა, საწერ მასალად გამოყენებული გადარეცხილი ფურცლებიც Sin.Geo.N.13 და Sin.Geo.N.55 პალიმფსესტურ ხელნაწერებში ერთი ძველი ხელნაწერისა იყოს.

Sin.Geo.N.14

პარაკლიტო60. 1044

16 ფ; 19×13,5; ეტრატი; დაშლილი; ფურცლები ორ რვეულს (შ-თ) შეადგენს; დაზიანებულია, განსაკუთრებით ფფ.3-5; ნუსხური, ყავისფერი ძელანი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით; საგალობელთა რიტმული დაყოფისათვის გამოყენებულია წითელი მსხვილი წერტილი; [მომგებელი: *პეტრე*; გადაწერის ადგილი: *გეთსიმანის* მონასტერი; 1044 წ.].

შინაარსი: პარაკლიტონი 1r-16v.

ფრაგმენტი შეიცავს პირველი ხმის სამშაბათ-შაბათისა და მეორე ხმის კვირადღის საგალობლებს. ხელის, ფურცელთა ზომის, შედგენილობისა და სხვა მონაცემების მიხედვით, წარმოადგენს Sin.Geo.O.13 ხელნაწერის ნაწყვეტს, ნაწილობრივ ავსებს მის დანაკლისს დასაწყის ნაწილში (შდრ.სინური აღწერილობა, ტ. II, გვ. 79-82). ცნობები ფრაგმენტის მომგებლის, გადაწერის ადგილისა და დროის შესახებ მითითებულია Sin.Geo.O.13 ხელნაწერის მიხედვით. პარაკლიტონის ამ რედაქციას, რომელიც ჩამოყალიბებული და გავრცელებული ჩანს XI ს. პირველ ნახევარში, მიეკუთვნება ძველი სინური კოლექციის კიდევ რამდენიმე ხელნაწერი: Sin.Geo.O.3, 17, 21 (სინური აღწერილობა, ტ. II, გვ. 58-79, 82-96), აგრეთვე ახალი კოლექციის ხელნაწერები: Sin.Geo.N.25, Sin.Geo.N.40, Sin.Geo.N.76.

Sin.Geo.N.15

ფსალმუნთა X

115 ფ; 17,5×15,5; ეტრატი; უყლო, თავბოლონაკლული, ბევრი აკლია შიგნითაც; ქვედა გარეთა კუთხის კიდეები შემომწვარია; სათვალავში აღნიშნულია მხოლოდ რვეულთა დასაწყისები ფურცელთა ზემო აშიებზე. შემორჩენილია შემდეგი აღნიშვნები: Ⴀ: 7r; Ⴁ: 15r; Ⴃ: 23r; Ⴄ: 31r; Ⴅ: 39r; Ⴆ: 47r; Ⴇ: 56r; Ⴈ: 71r; Ⴉ: 78r; Ⴊ: 98r; ნუსხური; სათაურები, საზედაო ასოები და ზოგიერთი სტრიქონი ტექსტში ასომთავრულით; 35v მთლიანად ასომთავრულით; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; გადაწერი: *იოვანე ოშკელი* (39r, 68r, 115v); მომგებელი: *მიქაელ დეკანოზი* (11v, 79v, 95r, 101v, 115v); [X ს.].

შინაარსი: 1. ფსალმუნი (ფს. 30, 19-144, 20, შიგადაშიგ აკლია) 1r-113v.

2. გალობები (ფრაგმენტულია: გლბ. 2, 17 (=II სჯ. 32, 17) – გლბ. 9, 12 (=ლკ. 1, 79-მდე) 114r-115r.

ფსალმუნთა სათაურებში თითო-ორიოლა შემთხვევაში (ფს. 77, 85 და სხვ.) შეტანილია ქრისტოლოგიური ინტერპრეტაციები; ფსალმუნთა რიგითი სათვალავი ყოველთვის არ არის მითითებული; ზოგიერთი ფსალმუნის შემდეგ აღნიშნულია მასში შემავალ მუხლთა რაოდენობა ძველი "ქართული" სათვალავის მიხედვით, რომელიც გატარებულია ფსალმუნის ძველ, წინარეათონურ რედაქციებში (*შანიძე ძ.*, თარგმანები, გვ. 40 და შემდ.). ხელნაწერი ტექსტობრივ ახლოა ძველი კოლექციის იმ ნუსხებთან, რომლებიც გამოყენებული იყო გამოცემაში. ესენია: Sin.Geo.O.22, 29, 42 (Garitte, Catalogue, pp. 58, 66, 156) და გრაციის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი № 2058/3, რომელიც წარმოშობით სინურია (*ა. ცაგარლის კატალოგის* № 2; Цагарели, Каталог, с. 54; *შანიძე ა.*, გრაცი გვ. 343).

გამოცემა: *შანიძე მ.*, ფსალმუნნი; (ნ.აგრეთვე: *შანიძე მ.*, თარგმანები).

ანდერძები: 1 (მომგებლისა): "სახელითა მამისადათა, ძისადათა და სულისა წმიდისადათა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისადათა, ძლიერებითა ცხოველს-მყოფელი[სა] პატრონისა ჯუარისადათა, წმიდისა *იოვანე ნათლისმცემელისადათა*, წმიდათა მოციქულთა, წინაწარმეტყუელთა და წმიდათა მღვდელთმოდღუართა და სხუთა წმიდათა მადლითა, და წმიდისა და დიდებულისა *ძოსე* წინაწარმეტყუელისა მადლითა ღირს ვიქმენ და მოვიგენ წმიდანი ესე დავითნი, საგალობელნი სალოცველად სულისა ჩემისათჳს მე, გლახაკმან *მიქაელ დეკანოზმან*. და აწ გვედრებით ყოველთა ღმრთისა საყუარელთა: წმიდანო ღმრთისანო, ვინ იმსახურებდეთ წმიდათა ამათ დავითთა, მოიკსენეთ სული ჩემი, სული მშობელთა და ძმათა ჩემთადა, და ყოველთა თჳსთა ჩემთადა წმიდათა შინა ლოცვათა თქუენტა; და თქუენცა უფალმან სასყიდელი ზეცისადა მოგანიჭოს. ამენ.

ქრისტე, შეიწყალე *მიქაელ*, და *მიქაელ ბერი* და *სტეფანე* და *ესაია* და *ელია* და ყოველნი ძმანი სინელნი ერთობით. ამენ, იყავნ.“ 115rv.

2 (გადამწერისა, ასომთავრულით): „დაიწერა წმიდადა ესე დავითი მთასა *სინასა*, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, კელითა ჩემ ცოდვილისა *იოვანე ოშკელისადათა*. წმიდანო ღმრთისანო, მომიკსენეთ წმიდასა ლოცვასა თქუენსა ღმრთისათჳს, და რომელი დამიკლია, შემინდვეთ.“ 115v.

მინაწერები ტექსტის ხელით, სინგურითა და მთავრულით: „ქრისტე, შეიწყალე *იოვანე*“ 39r; ქრისტე, შეიწყალე გლახაკი *იოვანე*“ 68r; „ქრისტე, შეიწყალე *მიქაელ*“ 11v, 95r; „ქრისტე, შეიწყალე *მიქაელ*, აწ“ 79v; „ქრისტე, შეიწყალე *მიქაელ მოძღუარი*“ 101v.

Sin.Geo.N.16

ს ა ბ ა ლ ო ბ ლ ე ბ ი . XII

2 ფ; 15,5×12; ეტრატი; ფურცლები, რომლებიც გადაბმულია, გაყვითლებულია და ძლიერ დაზიანებული; ორივე ფურცლის ტექსტის დიდი ნაწილი ზემოდან 12 სტრიქონის ფარგლებში ამოჭმულია; ტექსტი დაზიანებულია სინესტისგანაც და ადგილ-ადგილ არ იკითხება; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; [XII ს.].

შინაარსი: **საგალობლები** 1r-2v. შიგ შედის:

1. ფრაგმენტი კვირიაკეთა ღამისთევისათვის განკუთვნილი ღვთისმშობლის იბაკოთა კომპლექტიდან 1r-v. (შდრ.აღწერილობა A. II/1, №417:9, გვ.40)

2. კვირადღის ტროპარების ჯგუფი სათაურით: „[ნეტარარიანთ]ა ზედა ღამისთევისა“ 1v.

ტექსტი ნაკლულია. ეს ტროპარები სრულდება 118-ე ფსალმუნთან ერთად. სრული სახით შესულია გიორგი *მთაწმიდლის* რედაქციის

პარაკლიტონის ავტოგრაფულ ხელნაწერში (1057-1060 წწ.) სათაურით: „დასდებლნი ადგომისანი, რომელნი ითქუმიან კურიაკესა ღამისთევასა ნეტარარიანთა ზედა *საბაწმიდას*“ (Ath.45, 248r. *რბლეიკის* აღწერილობაში ხელნაწერის შედგენილობა ნაჩვენები არ არის. შდრ.Blake, Iviron, III, p.238). შესულია გვიანდელ ჟამნებშიც (შდრ.აღწერილობა A. II/1, №417:9, გვ.40; №430:14, გვ.92).

3. ფრაგმენტი დასდებლების კომპლექტიდან: „იბაკონი სულისანი“ 2r.

სრული სახით დაცულია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ფონდის №5 ხელნაწერში (221r-222v), რომელიც *გიორგი ძთაწმიდლის* მარხვანს შეიცავს.

ფრაგმენტი შესაძლებელია პარაკლიტონის ან ჟამნის ნაწილი იყოს.

Sin.Geo.N.17

ჰაბიტობრაფიული კრებული. X

132 ფ; 18×14; ეტრატი; უყდო; დაშლილი; დაზიანებული და დალაქავებული; განსაკუთრებით დაზიანებულია ფფ.1,6,12,114,115,119; ზოგი ფურცელი დახეულია ან ჭიისაგან შეჭმული; ზოგი გახევებულია; თავბოლონაკლული, აკლია შუაშიც; შემონახულია რვეულების აღმნიშვნელი სათვალავი შ-იზ, იზ, კ, კ ზ, კვ-კვ, ლზ რვეულებისათვის; ნუსხური; შავი მელანი; დასაწყისი ასოები ასომთავრულით, სათაურები სინგურით; [X ს.].

შინაარსი: **ჰაგიოგრაფიული კრებული 1r-132v.**

კრებულში შედის: 1. **ხარიტონის ცხოვრება** 1r-13v. (შდრ.*იმნაიშვილი ვ.*, ცხოვრებანი, გვ.126-142); 2. **თეკლას წამება** 13v-49v (შდრ. *აბულაძე*, თეკლა, I, გვ.25-138); 3. **ბარბარეს წამება**, 50r-65r (სინურ ხელნაწერთაგან გვხვდება XIV ს. Sin.Geo.O.91-ში: Garitte, Catalogue, p.269; ნ.აგრეთვე *კეკელიძე*, ავტორები, გვ.121); 4. **კირილე სკვითოპოლელი, თევდოსი დიდის ცხოვრება** 65v-91v (*იმნაიშვილი ვ.*, ცხოვრებანი, გვ.184-197); 5. **ამბა ჰაველესა და ანტონის ცხოვრება** 91v-106r; (ტექსტის დასაწყისი ემთხვევა A-95 ხელნაწერში მოთავსებული საკითხავისას, მაგრამ სათაური განსხვავებულია. ნ. აღწ.A 1/1, გვ.372); 6. **ივლიტას და კვირიკეს წამება** 106r-113v (შდრ.*ჩუბინაშვილი*, კვირიკე, გვ.100-104); 7. **კირილე სკვითოპოლელი, იონანე შეყენებულის ცხოვრება** 114r-127v (*კეკელიძე*, კიმენი, I, გვ.15-27; *იმნაიშვილი ვ.*, ცხოვრებანი, გვ.273-284). 128r-132v შეიცავს დაუდგენელი თხზულების ნაწილს.

Sin.Geo.N.18

თ3360. XI-XII

154 ფ; 25×20; აკინძულია (შეკერილია) სამ ნაწილად: 93+34+27ფ; თითოეულ ნაწილს აქვს თავისი პაგინაცია; თავბოლონაკლული, აკლია შიგნითაც; ეტრატი; ფურცლები დაზიანებულია: პირველ ნაწილში ამოჭმულია ფფ.1,3,14-18,85,92,93; მეორე ნაწილში ძლიერაა დაზიანებული ფფ.1-13; ფფ.14-27 ზედა ნაწილი (დაახლოებით 11სტრ.) ამოჭმულია; ხელნაწერის მეორე ნაწილს შემორჩენილი აქვს 1 სმ. სისქის ფიცრის ტყავადაკრული ყდა, ხელმეორედ დაფარული ტყავით, რომელსაც არა აქვს დეკორი; ყდას აქვს ჩასაკეტები. პირველი ნაწილი შეიცავს ხელნაწერის ლზ-შვ რვეულებს ნაკლული სახით (სულ აკლია 26ფ.). მეორე ნაწილში, რვეულობრივი სათვალავის მიხედვით, შედის იზ-კა რვეულები (აგრეთვე ნაკლული სახით); ამ ნაწილის ბოლო ფ.34r დაუწერელია (იგი ყდის საცავი ფურცელი უნდა იყოს). მესამე ნაწილი შეიცავს ხელნაწერის კზ-კე რვეულებს, უკანასკნელს აკლია ბოლო ფურცელი; მესამე ნაწილი 2r-დან ზუსტად აგრძელებს მეორე ნაწილის ტექსტს, ხოლო ფ.1 ჩამატებული ჩანს. ამ ფურცლის წინა მხარეზე მსხვილი ასომთავრულით სწერია: „ივნისი, ივლისი, აგვისტო“; უკანა მხარეზე მეორდება 1 ივნისის ხსენების პირველი ორი სტიქარონი, რომლებიც 33v-ზეა მოთავსებული. ნუსხური; I და II ნაწილები ნაწერია წვრილი კალიგრაფიული ნუსხურით. III ნაწილი შესრულებულია სხვა ხელით; შავი მელანი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით; [XI-XII სს.].

შინაარსი: თვენი 1r-154v.

ხელნაწერი შეიცავს იანვარ-თებერვლისა და მაის-ივნისის საგალობლებს თვენის იმ რედაქციიდან, რომელიც XI ს.შუა წლებში შეიმუშავა *გიორგი მთაწმიდელმა* ბერძნული თვენების საფუძველზე. Sin.Geo.N.18 თითქმის მთლიანად ავსებს ძველი სინური კოლექციის თვენის კომპლექტს, რომლის ნაწილებია Sin.Geo.O.7 (სექტემბერ-ოქტომბერი), Sin.Geo.O.2 (ნოემბერ-დეკემბერი), Sin.Geo.O.9 (მარტი-აპრილი, წყდება 17 აპრილზე), და Sin.Geo.O.56 (ივნისი-აგვისტო, წყდება 11 აგვისტოზე. იხ.სინური აღწერილობა, ტ. II, გვ.162-223). Sin.Geo.N.18 ხელნაწერის პირველი ნაწილი (94ფ.) უშუალოდ აგრძელებს Sin.Geo.O.2 ხელნაწერს; II და III ნაწილთა ფურცლები თავსდება Sin.Geo.O.9 და Sin.Geo.O.56 ხელნაწერთა შორის, ამასთან III ნაწილის პირდაპირი გაგრძელება გვაქვს Sin.Geo.O.56 ხელნაწერში.

თვენის მთლიანი კორპუსი თავდაპირველად ორ ტომად უნდა ყოფილიყო აკინძული (სექტემბერ-თებერვალი და მარტი-აგვისტო, თითოეული ტომის ცალკე რვეულობრივი სათვალავით). Sin.Geo.N.18 ხელნაწერის დასაწყისი ნაწილი (94ფ.) პირვანდელი ორტომეულის I ტომის ბოლო ნაწილია,

დანარჩენი კი (34ფ. და 27ფ.) II ტომში შედიოდა. ამას შესაბამისი ნაწილების რვეულთა სათვალავიც ადასტურებს. შემდგომში ეს ორი ტომი უფრო მცირე მონაკვეთებად (სავარაუდებელია, ოთხ ნაწილად) დაუშლიათ. ამას მოწმობს ყდის ნაშთი და ჩამატებული ფურცელი თვენის ბოლო სამი თვის აღნიშვნით.

თვენის ამ რედაქციის შესახებ იხ. *კეკელიძე*, ლიტერატურა, I, გვ.226-228.

Sin.Geo.N.19

იაფბარო. 980

61ფ; ფ.62 ფრაგმენტია, რომელზეც ჩანს სირიული ტექსტი; შესაძლოა იგი ყდის საცავი ფურცელი იყოს. 20,5×18; ეტრატი; უყდო; ბოლონაკლული; დასაწყისში შემორჩენილია პირველი ფურცლის ნახევარი, რომელზედაც დარჩენილია არაბული წარწერის კვალი; აქვს რვეულობრივი სათვალავი რვა რვეულის ფარგლებში, მერვე რვეული ბოლონაკლულია; ფურცლები ძირითადად სხვადასხვა, ერთმანეთზე გადაკერებული ეტრატის ნაკუწებით არის შედგენილი; ხშირ შემთხვევაში პალიმფსესტია, ქვედა ტექსტი ბერძნულია, აქა-იქ არის სირიული და კობტური; ნუსხური, ალაგ-ალაგ გაცხოველებული; შავი მელანი, სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურშემოვლებული შავი მელნით; კრებულის შემდგენელი და გადამწერი: *იოვანე-ზოსიმე* (50rv); გადაწერის ადგილი: *სინაწმიდა* (50rv); 980წ. (50rv).

შინაარსი: *ჰიმნოგრაფიული კრებული „იაფგარი“* (X ს. რედაქციისა, მოკლე შედგენილობისა) 2r-61v. შიგ შედის:

1. *ძლისპირთა მცირე კრებული*, რომელშიც ასახულია ამ კრებულში შეტანილი IV ხმის კანონების ძლისპირები და ღმრთისმშობლისები 1r-7v. ძლისპირები მიეკუთვნება ქართული ირმოლოგიონის უძველეს ფენას (შდრ. *მეტრეველი*, ძლისპირნი).

2. *IV ხმის საკვირაო საგალობლები* (სტიქარონები და კანონები) პარაკლიტონიდან 8r-12v.

3. *IV ხმის ორშაბათ-პარასკევის საგალობლები* (სტიქარონები და კანონები) პარაკლიტონიდან 13r-49r.

ანდერძის მიხედვით (50r), საგალობელთა ამ კომპლექტის ქართული თარგმანი პალესტინის ქართულ კერებში კვიპროსიდან გავრცელდა, რის გამოც მას გადამწერი იოანე-ზოსიმე „კუპრულს“ უწოდებს. ეს კომპლექტი შეტანილია იოვანე-ზოსიმეს უფრო ადრეულ ხელნაწერებში, Sin.Geo.O.34-სა და Sin.Geo.O.26-ში (იხ.სინური აღწერილობა, ტ.I, №34: III, 1-9, გვ.97-99; №26: IV, 1-11, გვ.86-88).

4. ცისკრად შესასრულებელი სამების ტროპარების რვახმიანი რიგი

და მათი შესრულების წესი 51r-55r. იმავე ტროპარების რვახმიანი რიგი და მათი შესრულების წესი შეტანილია ძველი კოლექციის №34 ხელნაწერში (იხ.სინური აღწერილობა, ტ. I, №34: XII, XXIV, გვ.126-127; №34 (დამატება): X, 1-2, გვ.136; იხ. აგრეთვე Sin.Geo.N.76:2).

5. I ხმის მომიჯსენენი და მათი შესრულების წესი 55v-58v.

6. IV ხმის საშაბათო დასდებლები (უფალო დადადყავსა და კანონი) 58v-61v. მოღწეულია ნაკლულად, რადგან ხელნაწერს ფურცლები აკლია. სრულად ეს დასდებლები შეტანილია ძველი კოლექციის იადგრებში (იხ.სინური აღწერილობა, ტ. I, №26: VIII, 4, გვ.91-92; №34: XXVI, 6, 12; გვ.128, 129; №34 (დამატება): VII, გვ.135).

ანდერძი (გადამწერისა): “ქ.კურიელისონ. სახელითა მამისადათა და ძისადათა და სულისა წმიდისადათა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისადათა და წმიდათა მთავარანგელოზთადათა და წმიდისა *იოანე ნათლისმცემლისადათა*, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატრონისა ჯუარისადათა და მეოხებითა წმიდისა მოსე დიდისა წინაწარმეტყუელისადათა და ყოველთა წინაწარმეტყუელთა, მოციქულთა, მახარებელთა, მოძღუართა, მამათა მართალთა და მარტულთადათა და წმიდათა ყოველთა მეოხებითა და მადლითა და ლოცვითა მომემაღლა მე, ფრიად ცოდვილსა *იოვანეს* და დავჩხრიკე წმიდად ესე წიგნი იადგარი—მსგებსი ახალი, რომელი ახლად გამოვიდა ჩუენდა ენად *კჳპრით*, ამას უნდოსა და შებღარჯულსა ეტრატსა ზედა სადედედ კელითა ჩემითა ფრიად ცოდვილისადათა დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებულ[ობისა] ჩემისათა *სინაწმიდას*. და შევწირე მუნვე *სინაწმიდას* სალოცველად და მოსაკსენებელად თავისა და სულისა ჩემისა შენდობად, და მშობელთა და ძმათა ჩემთა, და ყოველთავე ჩემეულთა, ცოცხალთა და გარდაცვალებულთათჳს, სულიერთა და ჳორციელთათჳს.

აწ გვედრები თქუენ ყოველთა, ღმრთისმოყუარეთა მამათა და ძმათა ჩემთა, გვედიეთ წმიდასა ლოცვასა თქუენსა მე, ფრიად ცოდვილი *იოვანე*, მჩხრეკალი ამისი, და ყოველნივე ზემოდთ წერილნი. რამეთუ მე ფრიად მრწამს თქუენი ლოცვაჲ. და ყოველი დაკლებულებაჲ ჩემი შემინდვეთ ღმრთისათჳს და თქუენცა ქრისტემან შევინდვენ და შევიწყალენ ღმერთმან. და ნუმცა ვის კელეწიფების ამისი *სინაწმიდით* გამოკუებად ნურარადათა მიზეზითა. ოდეს ესე დაიწერა *სინაწმიდას*, დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ქართულად ხფჳდ და ქრონიკონი იყო Խ. და ბერძულად წელნი ხჳობ და ქრონიკონი იყო 33.

ქრისტე, შეიწყალე *გაბრიელ, გიორგი, მიქაელ, კჳრიკე, იოანე-ზოსიმე* და ყოველნი ძმანი და ყოველნი ქრისტეანენი, ამენ.

ლოცვა ყავთ ჩუენთჳს, წმიდანო მამანო, ლოცვა ყავთ, ამენ“. 50rv.

Sin.Geo.N.20

ალექსანდრე კვიპრელი, ჯვრის პოვნის საკითხავი. 986

23 ფ; 15×12; ეტრატი; ბოლონაკლული; ფურცლები წარმოადგენს ხელნაწერის პირველ სამ (ა, ბ, გ) რვეულს; ერთი ფურცელი აკლია ფფ.16-17 შუა; შემორჩენილია ტყავგადაკრული ყდის ზედა ფრთა; ყდის საცავ ფურცლად გამოყენებულია კოპტური ხელნაწერის ფურცელი; 1r-ზე-ერთული დეკორის მქონე კვადრატში ჩასმული ჯვარი, რომლის ბოლოებში დასმული ასოები იკითხება ასე: "ლოცვა ყავთ"; ასომთავრულით ნაწერია ფ.2r-6r, დანარჩენი-ნუსხურით; შავი მელანი, სათაური სინგურით; [გადამწერი: *იოანე-ზოსიმე*; გადაწერის ადგილი: *სინა*; 986 წ.].

შინაარსი: **ალექსანდრე კვიპრელი, ჯვრის პოვნის საკითხავი 2r-23v.**

ტექსტის სათაურია: „თქმული პოვნისათვის ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისად და ქებად შესხმისად, აღწერა ალექსანდროზ მონაზონმან კვპრელმან, რომელი იყო ქალაქისა ამათონტონისად, რომლისათვის ევედრნეს მრავალგზის წმიდანი მამანი“.

ფურცლები წარმოადგენს *ა.ცაგარლის* მიერ 93-ე ნომრით აღწერილი სინური ხელნაწერის (შდრ. Цагарели, Каталог, с.97) დასაწყისს. ტექსტის ბოლო სიტყვებს 23v-ზე უშუალოდ აგრძელებს №93 ხელნაწერის პირველი ფურცლის დასაწყისი სიტყვები, რომლებსაც იმოწმებს *ა.ცაგარელი*. ეს ფურცელი დღეს დაკარგულად ითვლება, მისი მოძღვენო (ე.ი. ო რვეულის მეორე ფ.) *ბირმინგემშია* (Garitte, Aventures, p.557), ხოლო ძველი სინური კოლექციის №93 ხელნაწერი, რომელშიც ამჟამად 99 ფურცელია (*ა.ცაგარლის* აღწერილობის მიხედვით იგი 109 ფურცელს შეიცავდა), დაცულია ამერიკაში, *პრინსტონის* უნივერსიტეტში. ეს ხელნაწერი (ფოტოპირის მიხედვით) იწყება ო რვეულის მესამე ფურცლით. იგი ძირითად ნუსხად არის გამოყენებული ტექსტის გამოცემაში (*მგალობლიშვილი*, ქრონიკა). სინაზე ყოფნის დროსვე №93 ხელნაწერი ბოლონაკლულად იყო მიჩნეული *ა.ცაგარლის* მიერ; მაგრამ მისი ბოლო ნაწილი, რომელიც მან შეცდომით ცალკე ნომრად (№92, 29ფ.) აღწერა და რომელიც დღემდე დაკარგულად ითვლებოდა, ამჟამად მიკვლეულია გერმანიაში *ი.ასფალგის* და *ჟ.გარიტის* შრომებში მოდიებულ მინიშნებათა საფუძველზე (Assfalg, Syrische Handschriften, S.184-194; Assfalg, Georgische Handschriften, S.29-34; Garitte, Aventures, p.558). გეტინგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან მიღებული პირების შესწავლამ ცხადყო, რომ გერმანიაში მოხვედრილი 30 სირიულ-ქართული პალიმფსესტური ფურცლიდან 7ფ. *ა.ცაგარლის* კატალოგის №93 ხელნაწერისა არის, 23 კი №92 ხელნაწერისა. 4 ფურცელი სრულად ავსებს დანაკლისს ი რვეულში (პრინსტ.ხელნაწ. 88-89 ფფ. შუა); პრინსტონის ხელნაწერი წყდება ი რვეულის პირველ ფურცელზე, გეტინგენში კი დაცულია ამავე

რვეულის კიდევ 3ფ. (მეორე, მეოთხე და მეშვიდე), რომელთაგან უკანასკნელი მთავრდება *ა.ცაგარლის* მიერ №93 ხელნაწერის ბოლოს დამოწმებული ტექსტით. სირიულ-ქართული პალიმფსესტების 23ფ., დალაგებული ქართული ტექსტის თანმიმდევრობის შესაბამისად, წარმოადგენს იწ რვეულის 6 ფურცელს (პირველი და მეექვსე აკლია), ით და კ რვეულებს სრულად, კა რვეულის პირველ ფურცელს და შეიცავს ჯვრის გამოჩინების საკითხავის ბოლოს თითქმის სრული სახით (ხელნაწერს აკლია ბოლოში ტექსტის ორი ფ. და ანდერძი). ამ ნაწილის დასაწყისი (იწ რვ. მეორე ფ.) ზუსტად ემთხვევა *ა.ცაგარლის* მიერ №92 ხელნაწერის დასაწყისად დამოწმებულ ტექსტს. ამრიგად, ირკვევა *ა.ცაგარლის* კატალოგის №92 ხელნაწერის ადგილსამყოფელი. დასტურდება ისიც, რომ №92 იყო არა ცალკე მთლიანი ხელნაწერი, არამედ №93 ხელნაწერის ბოლო ნაწილი. ტექსტის მიმდევრობა, რვეულთა სათვალავი, აგრეთვე ზომების, ხელისა და პალიმფსესტური საწერი მასალის იდენტურობა გვიჩვენებს, რომ Sin.Geo.N.20, ბირმინგემის 1ფ., პრინსტონის ხელნაწერი და გეტინგენის სირიულ-ქართული პალიმფსესტური ფურცლები იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილი ერთი ხელნაწერის ნაწილებია (*შანიძე მ.*, ხელნაწერის კვალდაკვალ, გვ.113).

შესაბამისად, Sin.Geo.N.20 ხელნაწერი დათარიღებულია *იოანე-ზოსიმეს* იმ ანდერძით, რომელიც №92 ხელნაწერს ერთვოდა (იგი ამჟამად გეტინგენის ფურცლებში არ ჩანს და მისი ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია); ანდერძი დამოწმებულია *ა.ცაგარლის* აღწერილობაში: „ოდეს ესე წიგნი დაიწერა და განსრულდა და შეიმოსა კელითა იოანე ფრიად ცოდვილისადთა *სინაწმიდასა*, დასაბამითგან წელნი იყვნეს ქართულად ხფჟ და ქრონიკონი იყო სწ; და ბერძულად წელნი იყვნეს ხფთი (ასეა! უნდა ყოფილიყო ხწოწ ან ხწოთ) და ქრონიკონი ჟდ. ინდიკტიონი იყო იდ. ქრისტე, შეიწყალე *გაბრიელ, გიორგი, მიქაელ, კკრიკე* (გამოცემაში *კკრილე*), *მიქაელ, იოანე, ბასილი* და ყოველნი ძმანი და ყოველნი ქრისტიანენი, აწ“ (Цагарели, Каталог, с.98).

Sin.Geo.N.20 ხელნაწერის ტექსტი, რომელიც თხზულების დასაწყისს შეიცავს, შეესაბამება გამოცემის 34,1-40,12 გვერდებს.

Sin.Geo.N.21

ფსალმუნთ. X

113ფ; 6,5×4,5; ეტრატი; უყლო; თაუნაკლოლი, აკლია ბოლოშიც; პირველ რვეულს აკლია თავში 3ფ., ზ-იღ რვეულები სრულია, იე რვეულისა დარჩენილია 3ფ.; რვეულთა დასაწყისები არ არის აღნიშნული, ნაჩვენებია ზოგიერთის დასასრული ფურცლის უკანა მხრის ზედა კიდეზე (ზ-ე, თ). რვეულები რეაფურცლიანია, მხოლოდ ზ რვეული არის ცხრაფურცლიანი; ფურცლები დაზიანებულია და დალაქავებული, კიდეები შემოჭმულია; ასომთავრული; შავი

მელანი; სათაურები სინგურით; რამდენიმე ადგილას ფურცლების გასამაგრებლად გამოყენებულია არაბულად ნაწერი ფურცლის ნაჭრები; [X ს.].

შინაარსი: **ფსალმუნი** (1,1-80,8) 3r-113v.

ხელნაწერს ძველი წინათონური რედაქციების ნიშნები აქვს: ფსალმუნთა სათაურებში შეტანილია ქრისტოლოგიური ინტერპრეტაციები, რომლებიც სინურ ხელნაწერებში გვხვდება. ესენია: Sin.Geo.O. Nos.22,29,42 (Garitte, Catalogue, p.58,66,156); გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი №2058/3, რომელიც წარმოშობით სინურია (*ა.ცაგარლის კატალოგი* №2; Цагарели, Каталог, с.54; *შანიძე ა.*, გრაცი, გვ.343). დასათაურებანი, რომლებიც ძირითადად ევსევი კესარიელის Ὑποθῆσις-ს მისდევს (*შანიძე მ.*, თარგმანები, გვ.29-40), სინურ ხელნაწერებში ერთმანეთისაგან ხშირად სხვაობს, რაც გამოცემულ ტექსტშიც ჩანს (*შანიძე მ.*, ფსალმუნნი; გამოცემაში გამოყენებულია ყველა შემოთდასახელებული სინური ხელნაწერი). Sin.Geo.N.21 ხელნაწერში ზედაწარწერილები ამ ხელნაწერებთან შედარებით ზოგ სხვაობას გვიჩვენებს. ზოგიერთი ფსალმუნის შემდეგ ნაჩვენებია მასში შემავალ მუხლთა რაოდენობა ძველი „ქართული“ სათვალავის მიხედვით. (ნ.ტექსტის გამოცემა). 1r-2v შეიცავს მსჯელობას ფსალმუნის ხუთ წიგნად დაყოფის შესახებ და “ღიაფსალმის” განმარტებას. მსგავსი “დანართები” აგრეთვე გვხვდება ძველი რედაქციის ერთ-ერთ ხელნაწერში (“მცხეთის დავითნში” – *შანიძე მ.*, ფსალმუნნი, გვ.458-460, 470; Garitte, Édition du Psautier, p.345). იოვანე-ზოსიმეს შედგენილი და ნარედაქციევი ლიტურგიკული კრებულის (Sin.Geo.O.34) იმ ფურცლებში, რომლებიც ამჟამად პეტერბურგის ეროვნულ ბიბლიოთეკას ეკუთვნის, აგრეთვე არის მსგავსი მასალა (სინური აღწერილობა, ტ.I, Sin.Geo.O.34, (დამატება): XIV, გვ.138).

Sin.Geo.N.22

ლიტურგიკული კრებული. X

79ფ; 16×14; ეტრატი; ფურცლების ნაწილი თხელი და თეთრი ეტრატია, ნაწილი კი სქელი და ყვითელი; უყდო; თავბოლონაკლული; აკლია შიგადაშიგაც. დაზიანებულია ფფ.4,7; მეხუთე და მეექვსე ფურცლებისა ნაკუწებილია შემორჩენილი; რვეულობრივი სათვალავი არა აქვს; სამი ხელი: ნუსხური 1r-19r; ასომთავრული 21r-78v; ნუსხური 79rv; შავი მელანი; სათაურები სინგურით; დაუწერელია 19v და 20rv; [X ს.].

შინაარსი: **ლიტურგიკული კრებული** 1r-79v. შიგ შედის:

1. **იაკობის ჟამისწირვა** 1r-19r.

ტექსტი თავნაკლულია, მოკლე რედაქციისა. იაკობის ჟამისწირვის შესახებ იხ. Sin.Geo.N.26.

2. ზოგად დღესასწაულთა ჟამისწირვათა ფსალმუნები და საკითხავები სამოციქულოდან და სახარებიდან 21r-79v.

განკუთვნილია იერუსალიმური საღვთისმსახურო პრაქტიკისათვის (შდრ. Tarchnischvili, Lectionnaire, Nos. 1437-1559). ამავე დანიშნულებისაა ფსალმუნები და საკითხავები: Sin. Geo. N. 54, 109r-129v, Sin. Geo. N. 58, 47r-58v და Sin. Geo. O. 12, 284r-286r (სინური აღწერილობა, ტ. III, № 12, გვ. 45-46). ეს ხელნაწერები უჩვენებენ გარკვეულ სხვაობებს დღესასწაულთა რიგისა და ფსალმუნებისა და საკითხავების შერჩევის თვალსაზრისით.

Sin. Geo. N. 23

ჟამი 986

54ფ; 15,5×12; ეტრატი; უყდო; აქვს რვეულობრივი სათვალავი; რვეულები 8-8 ფურცლიანია. დასაწყისში აკლია 11 რვეული მთლიანად, იბ-იზ რვეულები სრულია. მომდევნო 6 ფურცლის ადგილი გაურკვეველია; ფფ. 43-48 მცირედ დაზიანებულია; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; **გადამწერი: იოვანე-მელი** (54r); **გადაწერის ადგილი: კონსტანტინოპოლი** (54r); **986წ.** (54r).

შინაარსი: **ჟამნი** 1r-53v.

ხელნაწერი ამჟამად შეიცავს ღამის თორმეტი ჟამის ტექსტს. ანდერძის მიხედვით, თავიდან შეიცავდა ოცდაოთხივე ჟამს. უნდა წარმოადგენდეს კონსტანტინოპოლური ტრადიციის ადრეული ჟამნის თარგმანს, რომელიც გავრცელებული ჩანს ქართულ სამონასტრო პრაქტიკაში X ს. მეორე ნახევარში. ამ რედაქციის ქართული ჟამნი აქამდე გამოვლენილი არ ყოფილა. ხელნაწერი გადაწერილია *ათონის* მთის ქართველთა მონასტერში მოღვაწე პირის *იოვანე-მელის* მიერ, რომელიც იოანე და ეფთვიმი მთაწმიდელთა თანამედროვე იყო (მენაბდე, კერები, II, გვ. 204). ხელნაწერის ტექსტი რედაქციულად საგრძნობლად განსხვავდება ჟამნის უძველესი ქართული ტექსტისაგან, რომელიც გვხვდება Sin. Geo. O. 34 ხელნაწერში (შდრ. სინური აღწერილობა, ტ. I, № 34: I, გვ. 94-96; № 34 (დამატება): I, 1-3, გვ. 131-133). ასევე, სრულიად განსხვავდება იგი XI ს. მეორე ნახევარში ბერძნულის საფუძველზე შემუშავებული რედაქციისაგან, რომელიც *გიორგი მთაწმიდელს* მიეწერება (შდრ. Jer. 127, რომლის აღწერილობაში *რ. ბლეიკს* ტექნიკური აღწერილობის შემდეგ მხოლოდ სათაური აქვს ნაჩვენები: Blake, Jerusalem, IV, p. 136).

ანდერძი (გადამწერისა, ნუსხურით, დასაწყისი დაზიანებულია): „მოეც, უფალო, პოვ [... და წყალო]ბად შენი მას დ[ღ]ესა შ[... ს]ულსა გლახ ჩემ ცოდვილისასა *იოვანე-მელის*სა, რომელმან დავწერენ წმიდანი ესე ჟამნი ოცდაოთხნი სრულნი ყოვლითა განგებითა უცთომელად. წმიდანო ღმრთისანო, მღდელნო და დიაკონნო, რომელნი იკითხვიდეთ, ღმრთისა სიყუარულისათვის,

შურომისათვის ლოცვა ყავთ; და ზომად წერისათვის და, თუ და-რად-მეკლოს, შენდობა ყავთ. ჭირთა ვერ დავკლევ, ვითარისა დედისაგან დამიწერიან, ღმერთმან იცის“. (ლამაზი ასომთავრულით): „დაიწერნეს წმიდანი ესე ჟამნი ქალაქსა შინა დიდსა კოსტანტიპოლის, ქრონიკონი იყო სვ“ 54r.

54v-ზე გვიანდელი მინაწერია.

Sin.Geo.N.24

თ8მ60. XI

ნფ; 17×12, ეტრატი; ფურცლები, რომლებიც ერთი რვეულისაა, და-შლილია; ფურცლები შუაში ამოჭმულია; ნუსხური; ყავისფერი მელანი; საგალობელთა დასახელებები და დასაწყისები სინგურით; რიტმული პუნქტუაციისათვის გამოყენებულია ორი წერტილი, შავი და წითელი მელნით გამოყვანილი; [XI ს.].

შინაარსი: თვენი 1r-6v.

ფრაგმენტი შეიცავს წმ.საბა განწმდილის ხსენებისათვის (5 დეკ.) განკუთვნილ საგალობლებს (სტიქარონებსა და კანონს). ტექსტი თავბოლონაკლულია. ფრაგმენტი ამჟამად უცნობი ხელნაწერისა უნდა იყოს; იგი ტექსტობრივ მისდევს ამავე დანიშნულების საგალობლებს თვენის XI საუკუნის I ნახევარში ჩამოყალიბებული რედაქციის ცნობილ ხელნაწერში (20r-27v), რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა და ამჟამად დაცულია ამერიკაში, *დუმბარტონ ოქსში*. იხ. აქვე, Sin.Geo.N.41.

Sin.Geo.N.25

პარაკლიტონი. XI

48ფ; 17×12; ეტრატი; თავბოლონაკლული, იწყება კზ რვეულით და წყდება ლზ რვეულზე; რვეულები 8-8 ფურცლიანია; დაზიანებულია განსაკუთრებით ფფ. 1,2,46-48, რომლებიც ნაწილობრივ მოხეულია და დალაქავებული; ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და საგალობელთა სახელწოდებები სინგურით; განკვეთის ნიშნებად გამოყენებულია შავი და წითელი წერტილები; [XI ს.].

შინაარსი: პარაკლიტონი 1r-48v.

ფრაგმენტი შეიცავს მეშვიდე-მერვე ხმათა საგალობლებს. იწყება მეშვიდე ხმის საკვირაო დასდებლებით და წყდება მერვე ხმის ხუთშაბათის დასდებლებზე. მისდევს XI ს. პირველი ნახევრის რედაქციის ტექსტს, იგივე რედაქცია არის Sin.Geo.O. Nos. 3,13,17,21 პარაკლიტონებსა (შდრ. სინური აღწერილობა, ტ. II, გვ. 58-96) და Sin.Geo.N. Nos. 14,40,76 ფრაგმენტებში. Sin.Geo.N.25 შედარებით მოკლე შედგენილობისაა.

Sin.Geo.N.26

ლიტურგიკული კრებული. IX-X

213ფ+1 ფრაგმენტი ბოლოში; 12,5×14; სქელი, უხეში, შეყვითლებული ეტრატი; ბოლო ფურცლები ცოტათი დაზიანებულია; ბოლონაკლული; შემონახულია ა-კზ რვეულები; პირველ რვეულში შვიდი ფურცელია, დანარჩენებში რვა-რვა; კზ რვეულს ბოლო ფურცელი აკლია, დარჩენილია მხოლოდ მისი მცირე ფრაგმენტი; შემორჩენილია საკმაოდ სქელი ფიცრის ტყავგადაკრული ყდა, ზედ ამოტვიფრული ორნამენტით; ასომთავრული, აქა-იქ გამოყენებულია ნუსხური; ყდის საცავ ფურცლად ნახმარია ბერძნულად ნაწერი ეტრატი (*წმ.ეკატერინეს* მონასტრის ბიბლიოთეკის გამგის, მამა დიმიტრიოსის აზრით, ბერძნული ტექსტი VIII საუკუნის ხელითაა შესრულებული); შავი მელანი; სათაურები სინგურით; [IX-X სს.]

შინაარსი: **ლიტურგიკული კრებული** 1r-213v. კრებულში შეტანილია:

1. **იაკობის ჟამისწირვა** 1r-53v.

ჟამისწირვის ტექსტი ხელნაწერში სრულია. 31v-ზე მოთავსებულია ცოცხალთა მოსახსენებელი: „აქა ცოცხალი, ვინ გინდეს, მოიკსენე.“ (აქამდე სინგურით; შემდგომი ტექსტი ახალი სტრიქონიდან): „მოიკსენე, უფალო, კკრიკე, გაბრიელ (გზრ), იოვანე, სუმბატ, კკრიკე, იოვანე, მიქაელ“. 36v-ზე გარდაცვლილთა მოსახსენებელი: „აქა შესუენებული მოიკსენე. მოიკსენე, უფალო, სული სუმბატისი, ხაზუმისი, ზაქარიაისი (შემდეგ ამოშლილია და ნაწერია სხვა ხელით), კახტანგისი, ფარმანდუხტისი, ბაკურისი“.

იაკობის ჟამისწირვის ტექსტები დღეს არსებულ ხელნაწერებში და შესაბამისად გამოცემებშიც იდენტური არ არის: ნ. ა) Кекелидзе, Архиретикон, გვ.1-141 (ხელნ. A-86 (Xს.) და A-81 (XVIIIს.) მიხედვით); თარგმანები: Кекелидзе, Литургические Памятники, გვ.6-32; Conybeare and Wardrop, Liturgy, pp.1-31. Tarchnischvili, Liturgiae, pp.1-33 (გრაჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის №2058/4 (X ს.) ნუსხის მიხედვით. ეს ხელნაწერი სინური წარმოშობისაა, იგი არის *ა.ცაგარლის* კატალოგის №31, ოღონდ ამჟამად მას პირველი რვეული აკლია (Цагарели, Каталог, с.68 და *შანიძე* ა., გრაჯი, გვ.345). პირველი რვეულის 6 ფურცელი, რომელიც პრალაში მოხვდა, გამოცემულია (ქართული ტექსტი ლათინური თარგმანით), ნ. Jedlička, Präger Fragment გვ.183-196. ლათინური თარგმანი: Tarchnischvili, Liturgiae (Lat) გვ.1-25; ნ. აგრეთვე Tarchnischvili, Jacobus Liturgiae, გვ.57-82, სადაც გამოკვლევას მოსდევს ტექსტის გერმანული თარგმანი. ბ) მეორე ტექსტი გამოცემულია ვატიკანის ბიბლიოთეკის ხელნაწერის მიხედვით (Borgiano-Iberico, №7, XIII-XIV სს.): Tarchnischvili, Liturgiae, გვ.35-63.

ჟამისწირვის ტექსტები Sin.Geo.O.12,53,54 ხელნაწერებში (ნ. სინური აღწერილობა, ტ. III, გვ.33; 55-56; 58) მეტ სიახლოვეს იჩენენ გრაჯის №2058/4

(ე.ი. აკაკარლის სინური კატალოგის №31) ხელნაწერის ტექსტთან.

2. სიწმიდის განახლების წესი 53v-57v.

3. საუფლო და დიდი დღესასწაულების ჟამისწირვათათვის განკუთვნილი კვერეკსები 57v-70v.

დასაწყისში მოყვანილია დიდი კვერეკსის ტექსტი ("კვერეკსი კათოლიკედ დიდი"). შედგენილობით უფრო მოკლეა, ვიდრე Sin.Geo.O.12-ისა (სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.34-36) და Sin.Geo.N.53-ის (35v-85r) კვერეკსთა რიგი, განსხვავდება აგრეთვე Sin.Geo.O. №54 ხელნაწერის შესაბამისი კომპლექტისაგან (სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.59); იხ.აგრეთვე Sin.Geo.N.35, 1r-8v.

4. საუფლო და დიდი დღესასწაულების ჟამისწირვათათვის განკუთვნილი ერის განტევებანი 71r-97r. მსგავსი კომპლექტები შეტანილია Sin.Geo.O.12 (35r-90r) და Sin.Geo.O.54 (29r-56r) ხელნაწერებში (სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.36-38, 60). მათთან შედარებით Sin.Geo.N.26 ხელნაწერში ერის განტევებანი მოკლე შედგენილობისაა.

5. საუფლო და დიდ დღესასწაულთა ჟამისწირვებისათვის განკუთვნილი საკითხავები სამოციქულოდან და სახარებიდან, ფსალმუნები და საგალობლები 97r-213v.

საწელიწდო დღესასწაულთა ჟამისწირვათათვის განკუთვნილი ანალოგიური მასალა მოიპოვება Sin.Geo.O.12 ხელნაწერში, 191r-286r (სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.42-46); იგი არის აგრეთვე Sin.Geo.O.54 ხელნაწერში, 66r-175v (სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.61-67); იხ.აგრეთვე Sin.Geo.N.31, 60v-256v; Sin.Geo.N.54, 109r-129v.

Sin.Geo.N.27

პროზორე, იოანე ღვთისმეტყველის ცხოვრება. XI

53ფ; 14,5×10,5; ეტრატი; უყდო; დაშლილი, დაზიანებული, განსაკუთრებით ფფ. 5,6,52,53; უყდო; თავბოლონაკლული, აკლია შუაშიც; ფფ.12-51 წარმოადგენენ ვ-ი რვეულებს სრულად (თითოეულში რვა ფურცელია); ნუსხური, შავი მელანი; [XIს.].

შინაარსი: პროზორე, იოანე ღვთისმეტყველის ცხოვრება 1r-53v.

მთლიანი ტექსტი იოანე ღვთისმეტყველის ცხოვრებისა გამოცემულია 1074 წლის ათონური ხელნაწერის მიხედვით (ამჟამად თბილისის ხელნაწ. ინსტ. №A-558; იხ. ათონის კრებული, გვ. 117-175). თარგმნილია ეფთვიძე მთაწმიდლის მიერ (*კეკელიძე*, ავტორები, გვ. 107). ხელნაწერში ტექსტის დასაწყისს („ესე უკუე ჳმაღ...“) შეესაბამება გამოცემის 112,10.

Sin.Geo.N.28

პოლიბიოსი, ეპიფანეს ცხოვრება. XI

30ფ; 14,5×12,3; ეტრატი; უყდო; თავბოლონაკლული; ფ.7 მცირე ზომისაა, ნაწერია სხვა ხელით; შესაძლოა აგრეთვე სხვა ხელით იყოს ნაწერი 1r-4v; პირველი რვეული თავნაკლულია, სრულადაა შემორჩენილი ო, გ, დ რვეულები; ნუსხური; შავი მელანი; აბზაცების დასაწყისები საზედაო ასოებით; [XI ს.].

შინაარსი: პოლიბიოსი, ეპიფანეს ცხოვრება 1r-30v.

თხზულების ტექსტი გამოცემულია Sin.Geo.O.6 ხელნაწერის მიხედვით. (იმნაიშვილი ი., საკითხავი წიგნი, ტ. II, გვ.92-146; ნ.აგრეთვე Garitte, Catalogue, p.18).

Sin.Geo.N.29

იაღბარო. X

8ფ; 15×11; ეტრატი; გაყვითლებული, დალაქავებული; მერვე ფურცლისაგან დარჩენილია მხოლოდ ქვემო ნაწილი (10×6) მცირე ტექსტით; ფფ.1v-7r მსხვილი ნუსხურით, შავი მელნით; სტრიქონთა რაოდენობა გვერდზე 17; 7v და ფ.8 შედარებით წვრილი ასომთავრულით, შავი მელნით; სათაურები და საგალობელთა დასაწყისები სინგურით; პირველი 7ფ. ერთ სრულ (პირველ) რვეულს შეადგენს; 7v-ზე რვეულობრივი სათვალავის აღმნიშვნელი ო. 1r დაუწერელია; ზემო კუთხეში სწერია: ო, რაც რვეულის დასაწყისს უნდა აღნიშნავდეს; [X ს.].

შინაარსი: ჰიმნოგრაფიული კრებული "იაღბარი" (უძველესი რედაქციისა) 1v-8v.

ფრაგმენტი წარმოადგენს Sin.Geo.O.40 ხელნაწერის ნაწილს, თავსდება მის დასაწყისში (სინური აღწერილობა, ტ. I, გვ.143-152). შეიცავს ოქტოიხოსის პირველი ხმის საგალობლებს. ტექსტი მოკლე რედაქციისაა (შდრ. უძველესი იაღბარი, გვ.368-379).

Sin.Geo.N.30

პარაკლიტონი. XII

28ფ; 16×11,5; ეტრატი; დაფურცლული, ფურცლები ყოველთვის ერთმანეთს არ მისდევს; დალაქავებული და დაზიანებული, განსაკუთრებით ფფ.2,4,5,19,22; ფფ.14,18 და 28-ის ქვედა აშიებზე შემორჩენილია ივ, ით, კა რვეულთა დასასრულის აღმნიშვნელი ასოები; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საგალობელთა სახელწოდებები სინგურით; [XII ს.].

შინაარსი: პარაკლიტონი 1r-28v.

ფრაგმენტები შეიცავს პარაკლიტონის I ხმის კვირადლის, სამშაბათის, ოთხ-შაბათისა და ხუთშაბათის სტიქარონებსა და კანონებს, მეტწილად ნაწყვეტების სახით. წარმოადგენს გამონაკრებს *გიორგი მთაწმიდლის* რედაქციის ვრცელი პარაკლიტონიდან (შდრ. პარაკლიტონის ავტოგრაფული ხელნაწერი Ath.45, 8r-34r. ხელნაწერის შედგენილობა და შინაარსი *რ.ბლეიკის* აღწერილობაში ნაჩვენები არ არის. შდრ. Blake, Ivron, III, p.258). Sin.Geo.O.67 და Sin.Geo.O.96 აგრეთვე შეიცავს გამოკრებულ მასალას ვრცელი პარაკლიტონიდან, ოღონდ მათი შედგენილობა Sin.Geo.N.30 ხელნაწერის შედგენილობის იდენტური არ არის.

Sin.Geo.N.31

ლიტურგიკული კრებული. IX-X

256ფ; 13×11; ეტრატი; უყდო; თავბოლონაკლული, აკლია შუაშიც; რვეულობრივი სათვალავის მიხედვით შემორჩენილია (მთლიანად ან ნაწილობრივ) გ, ე-იღ, ივ-იშ, კგ-ლშ რვეულები; ფურცლები ძალზე გაუხეშებულია, ზოგიერთი მათგანი დაზიანებულია, განსაკუთრებით ფფ.95-97, 106, 129-136; ასომთავრული; ფფ.66v-67r, 76v-77r დაწერილია ნუსხურით; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [IX-X სს].

შინაარსი: **ლიტურგიკული კრებული** 1r-253v. კრებულში შედის:

1. **იაკობის ჟამისწირვა** 1r-60r. ტექსტი თავნაკლულია. 29r-ზე ტექსტში წმინდანთა მოსახსენებლებში შეტანილია სახელები: „, წდ აბო, წდ შუმანიკ“. ბიბლიოგრაფია იაკობის ჟამისწირვის შესახებ იხ. Sin.Geo.N.26.

2. **დღესასწაულთა ჟამისწირვების ფსალმუნები, საკითხავები სამოციქულოდან და სახარებიდან, პოეტური დასდებლები** 60r-256v.

ეს ნაწილი იწყება ხორციელი კვირიაკის განგებით. თითქმის მთლიანად თანხვედბა იერუსალიმური ლექციონარის შესაბამის მასალას (შდრ. Tarnischvili, Lectionnaire, №283-დან). მცირეოდენი განსხვავებებით მისდევს აგრეთვე Sin.Geo.O.12 და Sin.Geo.O.54 ხელნაწერთა შესაბამის ნაწილებს (იხ.სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.43,62-63). იხ. აგრეთვე Sin.Geo.N. 26, 97r-213v; Sin.Geo.N. 54, 109r-129v.

Sin.Geo.N.32

ეფრემ ასუბი, შებონებანი. X

12ფ; 21×14; ეტრატი; დაშლილი; დაზიანებული; ფურცელთა ქვედა ნაწილები გაცრეცილია ან მოხეული, ამიტომ თავდაპირველი ნაწერის 20 სტრიქონიდან 1-8 ფურცლებზე ქვედა სტრიქონები არ იკითხება; ფფ.1-8 წარმოადგენენ კბ რვეულს, ფფ.9-12 კგ რვეულის პირველი ოთხი ფურცელია; ასომთავრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [X ს.].

შინაარსი: **ფერემ ასური, შეგონებანი.** 1r-12v.

ფრაგმენტში ჩანს თხზულების შემდეგი ნაწილები: [თავი ივ. ჭეშმარიტებისათვის] 1r-v; [თავი იდ. სიცრუვისათვის] 1v-2r; [თავი იე. მორჩილებისათვის] 2r-v; [თავი ივ. ურჩებისათვის] 2v-3v; თავი იზ. უშურველობისათვის 4r-5r; თავი იწ. მოშურნეობისათვის 5r-6r; თავი ით. არმაგინებელთათვის 6r-8r; თავი კ. მაგინებელთათვის 8r-v; თავი კა. კრძალულებისათვის 8v-9r; თავი კბ. უკრძალაობისათვის 9r-12v.

იგივე თხზულება დაცულია Sin.Geo.O.36 ხელნაწერში (925 წ., Garitte, Catalogue, p.133), რომელიც ერთ-ერთ ნუსხად არის გამოყენებული ტექსტის გამოცემაში (*ახულაძე, სწავლანი*). ფრაგმენტის ტექსტი შეესაბამება გამოცემის 241,14-248,2 გვერდებს. გამოცემასთან შედარებით იძლევა უმნიშვნელო სხვაობებს.

Sin.Geo.N.33

იაკობის ჟამისწირვა. X

2ფ; 16×14; ეტრავტი; დაზიანებული, დალაქავებული; შემორჩენილი ფურცლები ერთი რვეულის პირველი და ბოლო ფურცლებია; ასომთავრული; შავი მელანი; ლიტურგიკული მითითებანი სინგურით; [X სს.].

შინაარსი: **იაკობის ჟამისწირვა:** 1r-2v.

ეს ორი ფურცელი ფრაგმენტია თავბოლონაკლული Sin.Geo.O.54 ხელნაწერისა და შეიცავს დაკარგული ტექსტის დასაწყისი ნაწილის ფრაგმენტს. ფრაგმენტის ტექსტი მიჰყვება Sin.Geo.N.26 ხელნაწერის ტექსტს 23v-ს მე-4 სტრიქონიდან.

ბიბლიოგრაფია იაკობის ჟამისწირვის შესახებ იხ. Sin.Geo.N. 26.

მინაწერი: „...ტიმოთე, ლიპარიტ, რატი, ივანე“ 2v.

Sin.Geo.N.34

იაღვარო. X

4ფ; 22(23)×15(17); ეტრავტი, ადგილ-ადგილ ძლიერ ჩაშავებული; კიდეები ძალიან დაზიანებულია და შემოცვეთილი, რის გამოც პირველი ფურცლის ტექსტი ქვემო ნაწილში ნაწილობრივ დაკარგულია; ფ.4 შუაშია გაკერილი; ფურცლები წარმოადგენენ რომელიღაც რვეულის მესამე-მეექვსე ფურცლებს; ნუსხური; შავი მელანი; [X ს.].

შინაარსი: **ჰიმნოგრაფიული კრებული „იაღვარი“** (X საუკუნის რედაქციისა) 1r-4v.

ფრაგმენტი შეიცავს VIII ხმის ჰიმნოგრაფიული კანონის VIII-IX გალობათა ძლისპირებსა და ღვთისმშობლისებს, რომლებიც ქართული OdO

ტიპის ირმოლოგიონის უძველეს ფენას მიეკუთვნებიან (შდრ. *მეტრეველი*, ძლისპირნი). ფრაგმენტი უნდა წარმოადგენდეს X ს. იადგრის უცნობი ნუსხის ნაწყვეტს.

4v-ზე არის მინაწერები, რომლებიც გადამწერს უნდა ეკუთვნოდეს:

1. (მთავრულით): „ქრისტე, შეიწყალე *იოვანე*“. 2. (უფრო წვრილი მთავრულით): „ვინ იმსახურებდეთ, ლოცვა ყავთ ღმრთისათვის და ყოველი დაკლებული შემინდვით, ამენ“.

Sin.Geo.N.35

ლიტურგიკული კრებული. X

8 ფ; 19×16,8; ეტრატი; ფურცლები შეადგენს ერთ რვეულს; რვეულს სათვალავი არა აქვს; აშიაზე მიწერილი ორ და ორ სათვალავს არ უნდა აღნიშნავდეს; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [X ს.]

შინაარსი: **ლიტურგიკული კრებული** 1r-8v.

ფრაგმენტი შეიცავს ნაწყვეტს საუფლო და დიდ დღესასწაულთა ჟამისწირვებისათვის განკუთვნილი კვერექსების კომპლექტიდან. შემორჩენილია სულ 14 კვერექსი. ტექსტობრივად ემთხვევა Sin.Geo.N.26 (57r-71v), Sin.Geo.N.53 (35r-85v), აგრეთვე Sin.Geo.O.12 და Sin.Geo.O.54 ხელნაწერებში შეტანილ ანალოგიურ მასალას (შდრ. სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.34-35, 59-60). ძველი კოლექციის ხელნაწერებთან შედარებით მოკლე რედაქციისაა, ახასიათებს მასალის სხვა თანმიმდევრობა.

ფრაგმენტი უნდა იყოს Sin.Geo.N.26 ხელნაწერის ტიპის ნუსხიდან, რომელშიც შეტანილი უნდა ყოფილიყო იაკობის ჟამისწირვა.

Sin.Geo.N.36

იაღბარი. X

8ფ; 16,2(16,5)×14,5; ეტრატი; ფფ.7-8 დაზიანებულია. 7r-ზე მეხუთე რვეულის დასაწყისის აღმნიშვნელი ე, 8r-ზე ოცდამერვე რვეულისა-კჴ; ასომთავრული; შავი მელანი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით; [X ს.]

შინაარსი: **ჰიმნოგრაფიული კრებული „იაღბარი“** (უძველესი რედაქციისა) 1r-8v.

ფურცელთა ზომების, ხელისა და სხვა მონაცემთა მიხედვით უნდა ეკუთვნოდეს Sin.Geo.O.41 ხელნაწერს (იხევე, როგორც Sin.Geo.N.74). პირველ შვიდ ფურცელზე შეიცავს ოქტოინოსის მეორე ხმის, ხოლო მერვე ფურცელზე ვნების შვიდეულის ორშაბათ-სამშაბათის საგალობლებს. თავსდება თავბოლონაკლული Sin.Geo.O.41-ის თავსა და ბოლოში (შდრ. სინური აღწერილობა, ტ.I, გვ.153-

156; უძველესი იადგარი, გვ.383-390, 178-179). ფრაგმენტი შეიცავს ზოგიერთი ისეთი საგალობლის ტექსტს, რომელიც გამოცემაში არ არის.

Sin.Geo.N.37

0ადგარი. X

1 ფ; 20×15; ეტრატი; ძალიან თხელი, მოყვითალო, ალაგ-ალაგ ამოვლევადი; ტექსტი დაზიანებული; ასომთავრული; ყავისფერი მელანი; საგალობელთა სახელწოდებები სინგურით; საგალობელთა დასაწყისებთან სხვადასხვა ფორმის ორნამენტები, შესრულებული სინგურითა და შავი მელნით [X ს.].

შინაარსი: ჰიმნოგრაფიული კრებული "იადგარი" (უძველესი რედაქციისა) 1rv.

ფრაგმენტი შეიცავს ხარების დღესასწაულის საგალობლების ნაწყვეტებს (შდრ. უძველესი იადგარი, გვ.8-9). მთლიანად ემთხვევა გამოცემის შესაბამის ტექსტებს, ფფ.8-9.

Sin.Geo.N.38

0ადგარი. X

6ფ; 20,2×14,5; ეტრატი; ყველა ფურცელი დალაქავებულია და ადგილადგილ ამოჭმული; რვეულობრივი სათვალავის მიხედვით შეადგენენ ლა რვეულის პირველ-მეექვსე ფურცლებს; ნუსხური, შავი მელანი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებანი და საზედაო ასოები სინგურით; [X ს.].

შინაარსი: ჰიმნოგრაფიული კრებული "იადგარი" (უძველესი რედაქციისა) 1r-6v.

ფრაგმენტი შეიცავს ოქტოიხოსის საგალობლებს VII-VIII ხმების ფარგლებში. ტექსტი ძირითადად მისდევს გამოქვეყნებულს (შდრ. უძველესი იადგარი, გვ.488-507).

Sin.Geo.N.39

0ადგარი. X

23 ფ; 15,5×13,5; ეტრატი; შემორჩენილია ია, იე და ივ რვეულები სრულად, თავსა და ბოლოში რვეულობრივი სათვალავის აღმნიშვნელი ასოებით; მეთერთმეტე რვეული შვიდფურცლიანია; ეტრატი დაზიანებულია, განსაკუთრებით ფფ.3-7; ფურცელთა ნაწილს (ფფ.8-15) შემოცვეთილი და შემოხეული აქვს კიდეები, რის გამოც ტექსტი დაზიანებულია; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით; [X ს.].

შინაარსი: ჰიმნოგრაფიული კრებული "იადგარი" (X ს. რედაქციისა) 1r-23v.

ფრაგმენტი შეიცავს სხვადასხვა ხსენებათა საგალობლებს (სტიქარონებსა

და კანონებს) იადგრის სათვეო ნაწილიდან. ფრაგმენტში დასახელებულია: ქართველთა განმანათლებელი, წმ.ნინო (14 იანვ.), პავლე განშორებული (18 იანვ.), იოანე ოქროპირი (26 იანვ.), ალათანგელოზ მოწამე (8 თებ.), წმ.მამა გერასიმე (9 თებ.), პორფირი ღაზელი ეპისკოპოსი (23 თებ.), ხარება (25 მარტი), მარიამ მეგკებელი (1 აპრილი), მოწამე ეპიმახოს ფარანელი (sic! 9 მაისი). საგალობელთა ნაწილი სრულად არ არის მოღწეული. თანხვდება Sin.Geo.O.59 და Sin.Geo.O.64 იადგრების შესაბამის ხსენებათა საგალობლებს, რომელთა მიხედვით შესაძლებელია ფრაგმენტის ნაკლები ტექსტების სრულად აღდგენა (შდრ.სინური აღწერილობა, ტ.I, №59:15,16,22ბ,26,27,29,38ბ,42,47, გვ.165; №64:II,29,32,49,50,53,58ბ,77,88; გვ.193). წმ.ნინოსადმი მიძღვნილი საგალობელი გამოქვეყნებულია Sin.Geo.O.59 ხელნაწერის მიხედვით (Мapp, Описание, с.103-106). ფრაგმენტში 3 თებერვალს მითითებულია სინაწმინდის წმიდა მაცვლოვანის ეკლესიის სატფურების დიდი დღესასწაული; ამ დღისათვის განკუთვნილი საგალობლების სრული ტექსტები იადგარში შეიძლება ინახოს 17 აგვისტოს ნიაწმინდის ღვთისმშობლის ეკლესიის სატფურების დღესასწაულზე (სინური აღწერილობა, ტ.I, №59:80, გვ.181; №65:II,15, გვ.211).

Sin.Geo.N.40

პარაკლიტონი XI

ნფ; 16,3×12,5; ეტრატი; ფურცლები დაზიანებულია, განსაკუთრებით ფ.1, შემორჩენილია ტექსტის მხოლოდ მცირე ფრაგმენტი ფურცლის ქვემო ნაწილში; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საგალობელთა სახელწოდებები სინგურით; განკვეთის ნიშნებად გამოყენებულია წითელი და შავი წერტილები; [XI ს.].

შინაარსი: პარაკლიტონი 1r-6v.

პარაკლიტონი XI ს. პირველი ნახევრის რედაქციისაა. ფრაგმენტი შეიცავს მეშვიდე-მერვე ხმათა საკვირაო საგალობელთა ნაწყვეტებს. რედაქციულად დგება Sin.Geo.O.3,13,17,21 პარაკლიტონებთან (შდრ. სინური აღწერილობა, ტ.II, გვ.58-96) და Sin.Geo.N.14,25,76 ფრაგმენტებთან.

Sin.Geo.N.41

თჰმეო XI

15ფ; 19,5(20)×17; ეტრატი; დალაქავებული; ფფ.1,2,3,10,11,13,14 ძლიერ დაზიანებული, დახეული; ფფ.12,13,15 ზედა აშიებზე ით,კ,ლ რვეულთა დასაწყისის აღმნიშვნელი ასოებია; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები ასომთავრულით, სინგურით; მეტრული პუნქტუაცია წითელი წერტილებით; [XI ს.].

შინაარსი: თვენი 1r-15v.

შეიცავს: *წმ.ნიკოლოზის* (6დეკ.), *წმ.ქალწულის ივლიანას* (21დეკ.), *წმ. ივლიანასა და თემიტოკლეს* (21 დეკ.), *ქრისტეშობის პირველმოსწავების* (უთარილო), *შობის* (25 დეკ.), *სტეფანე პირველმოწამის* (27 დეკ.), *წმ.მოწამის ბოას* (31 დეკ.), *ბასილი დიდისა* (1 იანვ.) და *მაქსიმე აღმსარებლის* (21 იანვ.) დღესასწაულთა და ხსენებათა საგალობლების ნაწყვეტებს. ქართული თვენის ეს რედაქცია ჩამოყალიბდა XI ს. I ნახევარში X საუკუნის იადგარის ბაზაზე ახალი შევსებებით; მას საფუძვლად უდევს კონსტანტინოპოლური კალენდარი. ფრაგმენტი მისდევს ცნობილ ხელნაწერს, რომელიც *იერუსალიმის ჯვრის* მონასტერს ეკუთვნოდა და ამჟამად დაცულია ამერიკაში, *დუმბარტონ ოქსში* (Blake, Menaion; Garitte, Le menée; *კეკელიძე*, უცნობი რედაქცია; ვლამაია, იოდასაფი). *წმ. ბოასადმი* მიძღვნილი საგალობლები დუმბარტონ ოქსის ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნებულია (*კეკელიძე*, უცნობი რედაქცია). ამავე რედაქციისაა Sin.Geo.N.24.

Sin.Geo.N.42

ითანე ოქროპირი, მარგალიტი. XI-XII

10ფ; 15×11,3; ეტრატი; რვეულობრივი სათვალავის მიხედვით, შემორჩენილია მეშვიდე რვეული სრულად და მერვე რვეულის პირველი და ბოლო ფურცლები შესაბამისი აღნიშვნებით (წ, წ); ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი, სათაურები სინგურით; [გადამწერი: *ჯოჯიკეული*; XI-XII ს.].

შინაარსი: *ითანე ოქროპირი, მარგალიტი* 1r-10v.

ხელნაწერი შეიცავს “მარგალიტის” შემდეგ ნაწილებს: თარგმანებისაგან დაბადებისა 1r; ჰელითქმულისათვის თქმულისაგან 1v; ევტროპიოსისათვის თქმულისაგან 2v; მღვდარებისათვის თქმულისაგან 3r; მისივე საუკუნოსა სასჯელისათვის 5r; თარგმანებისაგან სხვსა მის, ვითარმედ წარდგომად ვართ წინაშე ქრისტესა 6r; მშულობისა და სიწმიდისათვის 8v; მისივე სხუანი სათნოებისათვის და უკეთურებისა 10v. დაყოფა 20 თავად, რომელიც გატარებულია ზოგიერთ ხელნაწერში (შდრ. *კეკელიძე*, ავტორები, გვ.71), აქ არ გვხვდება (ტექსტი შეესაბამება IV-VI თავებს). სავარაუდებელია, რომ ეს ფრაგმენტი ნაწილია Sin.Geo.O.51 ხელნაწერისა, რომელიც ამჟამად იწყება მეცხრე რვეულით (ნ. Garitte, Catalogue, p.185): მის 1r-ზე გრძელდება VI თავის ის ნაწილი, რომელზეც წყდება Sin.Geo.N.42. 20 თავად დაყოფა არც Sin.Geo.O.51 ხელნაწერში ჩანს. ვარაუდს, რომ Sin.Geo.N.42 წარმოადგენს Sin.Geo.O.51 ხელნაწერის ნაწილს, მხარს უჭერს ამ ხელნაწერთა ზომების, ხელის, მელნის ფერის მსგავსებაც.

გადამწერი *ჯოჯიკეული* მოხსენიებულია Sin.Geo.O.51 ხელნაწერის ანდერძში. აქვეა დასახელებული თხზულების სათაური “მარგალიტი” (Garitte, Catalogue, p.185).

Sin.Geo.N.43

პოლიბიოსი, ეპიფანეს ცხოვრება. XI-XII

3ფ; 14,5×12; ეტრატი; ნუსხური; საზედაო ასოები ასომთავრულით; მუქი ყავისფერი მელანი; სათაურები სინგურით; [XI-XII სს.].

შინაარსი: ა) პოლიბიოსი, ეპიფანეს ცხოვრება 1r.

ბ) პოლიბიოსის ეპისტოლე საბინეს მიმართ 1r-2r.

გ) საბინეს ეპისტოლე პოლიბიოსის მიმართ 2v-3v.

ტექსტი გამოცემულია Sin.Geo.O.6 ხელნაწერის მიხედვით. (*იბრაჰიმი* ი., საკითხავი წიგნი, ტ. II, გვ.92-146; ნ.აგრეთვე Garitte, Catalogue, p.18.)

Sin.Geo.N.44

ფსალმუნისა და ლოცვანის ფრაგმენტები. X-XI

4+1+1ფ; პირველი სამის ზომაა 19×13,5, მეოთხისა 18×13, მეხუთისა 19,5×14,3, მეექვსისა—17,2×13,5; ეტრატი; დაშლილი, 2-3ფფ. გარდა, რომლებიც ერთი რვეულის გაშლილი ფურცლებია; მეოთხე ფ. სხვა ხელნაწერისაა, ნახევარი ჩამოხეული აქვს; მეხუთე და მეექვსე ფურცლებიც სხვა ხელნაწერებისაა; ნუსხური; შავი მელანი; გამოყენებულია სინგურიც; [X-XI სს.].

შინაარსი: 1. ბიბლიური გალობანი (გლბ.5,4-5; გლბ.6,1-4; გლბ.7,13-23) 1r-3v.

2. ლოცვა? 4r-v.

3. ფსალმუნი (ფს.24,5-20) 5r-v.

4. გალობა (გლბ.2,4-დან) 6r-v.

გალობათა ტექსტი ძველი, წინარეათონური რედაქციისაა; ფსალმუნის ტექსტში შესაძლოა *გიორგი მთაწმიდლის* რედაქცია იყოს წარმოდგენილი; მე-5 ფურცელს ახლავს კიდევ ფრაგმენტი, რომელზედაც ჩანს ფს.27-ის დასაწყისი რამდენიმე სიტყვა (*შანიძე მ.*, ფსალმუნნი; *შანიძე მ.*, თარგმანები.)

Sin.Geo.N.45

იბაკონი. XII

4ფ; 17×12,5; ეტრატი; ფფ.1-2 და 3-4 გადაბმულია; 4r-ზე 3v-ს ტექსტი გრძელდება; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [XII ს.].

შინაარსი: იბაკონი 1r-4v.

ფრაგმენტში შედის: 1. კვირიაკეთა ღამისთევისათვის განკუთვნილი ღვთისმშობლის იბაკონები 1r-3v; 2. ფრაგმენტი დასდებლების კომპლექტიდან “იბაკონი სულისანი” 3v-4v. დასდებელთა ამ კომპლექტის შესახებ იხ. Sin.Geo.N.16.

Sin.Geo.N.46

ოაღბაძი. X

8ფ; 15×13; ეტრატი; დაშლილი, დაფურცლული; თავბოლონაკლული; ფურცლები შეადგენენ ერთ სრულ რვეულს რვეულობრივი სათვალავის გარეშე; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საგალობელთა სახელწოდებები სინგურით; [X ს.].

შინაარსი: **ჰიმნოგრაფიული კრებული „იადგარი“** (X საუკუნის რედაქციისა) 1r-8v.

ფრაგმენტი შეიცავს ა) **წმ.მამის ანტონი რავახის ხსენების** (19 იანვ.) **საგალობლებს** 1r-4r (თავნაკლული); ბ) **ხარების დღესასწაულის** (25 მარტის) **საგალობლებს** 4v-8v (ბოლონაკლულია). საგალობლების ტექსტები თანხვდება Sin.Geo.O.59 და Sin.Geo.O.64 იადგარების შესაბამის დღესასწაულთა საგალობლების გვიანდელ ფენას (მდრ.სინური აღწერილობა, ტ. I, №59:17, 38ბ, გვ. 166,174; №64: II, 33,58ბ, გვ.193, 197).

Sin.Geo.N.47

იოანე ოქროპიძი, სწავლა წიგნისმკითხველთათვის. XI

8ფ; 16,5×13,5; ეტრატი; ძალზე დაზიანებული, განსაკუთრებით ფფ.1,2,3,7,8; ფურცლები შეადგენს მეორე რვეულს თავ-ბოლოში სათვალავის აღნიშვნით; ნუსხური; შავი მელანი; ზემოდან დაკრული აქვს ბერძნულენოვანი ფურცელი; კუთხეში მოჩანს აგრეთვე არაბულ ენაზე ნაწერი მიწებებული ქალაქის ნაშთი. [XI ს.].

შინაარსი: **იოანე ოქროპიძი, სწავლა წიგნისმკითხველთათვის** 1r-3r.

ხელნაწერი აღმოჩნდა გაქვავებულ მდგომარეობაში. დაშლის შემდეგ შესადლებელი გახდა ტექსტის ნაწილის ამოკითხვა. ტექსტი 1r-3v-ზე მისდევს *ილ.აბულაძის* მიერ გამოცემულ ერთ-ერთ “სწავლას” (*აბულაძე, სწავლანი*, გვ.18,21-19,24).

Sin.Geo.N.48

ქართლის მოქცევა. X

14ფ; 13,5×11,5; ფ.2 მცირე ფრაგმენტია; ეტრატი; თავბოლონაკლული; შემორჩენილია მესამე რვეული მთლიანად, რვეულის დასაწყისი აღნიშნულია 5r-ს ზედა აშიაზე; ნუსხური; შიგ შერეულია ასომთავრულიც: 2rv, 5rv, 6rv, 7v, 11v, 12v, 13v, 14r-ზე პირველი სტრიქონები, 8v-ზე პირველი ხუთი სტრიქონი, 9v-ზე ორი სტრიქონი (გვერდზე 16 სტრიქონია) ნაწერია ასომთავრულით; საზედაო ასოები ასომთავრულით; [X ს.]

შინაარსი: ქართლის მოქცევა 1r-14v.

"მოქცევა ქართლისაჲ" საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. მასში აღწერილია ქრისტიანობის გამოცხადება ქართლში სახელმწიფო სარწმუნოებად IV ს. დასაწყისში და მისი მომდევნო ისტორია VII ს-მდე. ხელნაწერმა შემოინახა ნაწყვეტი "ქართლის მოქცევის" "ქრონიკიდან"—წმ.ნინოს ქადაგება ქართლში ცამეტი სირიელი მამის მოსვლამდე. "მოქცევა ქართლისაჲ" დღემდე ცნობილია ორი რედაქციის მიხედვით. ერთი (ე.წ. შატბერდული რედაქცია) მოღწეულია X ს. 70-იან წლებში გადაწერილ "შატბერდის კრებულში" (აღწერილობა S-II, №1141, გვ.36). მეორე გადაწერილია XIV-XV სს. ხელნაწერში (ე.წ. "ჭელიშური რედაქცია", აღწერილობა H-II, №600, გვ.52). ორივე მათგანი, განსაკუთრებით კი ძველი შატბერდული, ინტენსიური კვლევის საგანს წარმოადგენს. ლიტერატურა ორივე ვარიანტის, განსაკუთრებით პირველის შესახებ, მეტად ვრცელია (*თაყაიშვილი*, სამი ქრონიკა (შატბერდული ვარიანტი); *თაყაიშვილი, ნინოს ცხოვრება* (შატბ.); *ჟორდანიას*, ქრონიკები, I (შატბ. ტექსტის ნაწილი); *Такайшвили, Описание*, II, 708-815 (ქართული ტექსტი, ორივე ვარიანტი); *აბულაძე, ძეგლები*, I, გვ.81-163 (ორივე ვარიანტი); *შატბერდის კრებული*, გვ.320-355 (შატბერდული რედაქცია, ნაკლული ადგილები შევსებულია ჭელიშურის მიხედვით); რუს.თარგმანი: *Такайшвили, Обращение Грузии*, გვ.1-116; ინგლის.თარგმანი: *M.Wardrop and O.Wardrop, Life of St. Nino*, p.1-88; *Lang, St.Nino*, გვ. 19-39; გერმ.თარგმანი: *Pätsch, Bekehrung*, p.288-337 და სხვა.

ახლად აღმოჩენილი Sin.Geo.N.48 ხელნაწერი, რომელიც ორივე აქამდე ცნობილ რედაქციათაგან განსხვავდება, მეტად მნიშვნელოვანია პროტორედაქციის აღსადგენად.

ნახ. ალექსიძე, ახალი რედაქცია, Aleksidze, New Version. Aleksidze, Neavau Manuscrit.

Sin.Geo.N.49

კურთხევა. XI-XII

16ფ; 13,5×10,5; ეტრათი; ფურცლები დაშლილია; ფფ.1,14,15,16 ძალზე დაზიანებული; გახვეებული; შემორჩენილია მეცხრე რვეულის მაჩვენებელი აღნიშვნა (10v); ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [XI-XII სს.].

შინაარსი: კურთხევა 1r-16v.

ფრაგმენტში ჩანს შემდეგი ნაწილები: ა) სქემის კურთხევის წესი 1r-14r; ბ) ლოცვა შევინებულ ჭურჭელზე 14rv; გ) კვერქსი ებაზზე და საბანელზე 15r-16v.

ფრაგმენტი რედაქციულად მისდევს Sin.Geo.O.73 ხელნაწერის შესაბამის ნაწილებს (სინური აღწერილობა, ტ.III, №73:15,49,53; გვ.96,100)

Sin.Geo.N.50

ისტორიული და ჰაბიოგრაფიული კრებული. X ს-ის I ნახ.

105 ფ.; 13,7×12,6; ეტრატი; უყდო; თავბოლონაკლული; აკინძულია, გარდა ძლიერ დაზიანებული ორი ფურცლისა დასაწყისში; შემორჩენილია ე-ნ-ვ რვეულთა მაჩვენებელი აღნიშვნები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშვნებში შეცდომები გვხვდება (გადამწერი ზოგჯერ მცდარად დაწერილ აღნიშვნებს შლის), ტექსტის შიგნით არა გვაქვს დანაკლისები. რვეულები რვაფურცლიანია, გარდა ე და ზ რვეულებისა, რომელთაგან პირველში ათი, ხოლო მეორეში ექვსი ფურცელია; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და რიცხვები შესრულებულია მთავრული ასოებით და სინგურით; 44r-ს ხუთი ბოლო სტრიქონი, 44v-45r და 102v-ზე 3-9 სტრიქონები სხვა ხელით არის ნაწერი. [X ს-ის I ნახ.].

შინაარსი: **ისტორიული და ჰაბიოგრაფიული კრებული 1r-105v.** შიგ შეტანილია:

1. ქართლის მოქცევა 1r-72r.

ხელნაწერის 1r-6r მოიცავს პირველი ქართული ორიგინალური საისტორიო ძეგლის (“მოქცევაჲ ქართლისაჲს”) პირველ ნაწილს (ე.წ. “ქრონიკას” VI ს-ის ბოლოდან VII ს-ის შუა ხანებამდე), რომელიც მთავრდება ერისთავთა და კათალიკოსთა სიით X ს-ის დამდეგამდე (შდრ. შატბერდის კრებული, გვ.326-327). 6v-71v შეიცავს წმინდა ნინოს ვრცელი ცხოვრების სრულ ტექსტს (შდრ. შატბერდის კრებული, გვ.327-355). “მოქცევაჲ ქართლისაჲს” ტექსტი ხელნაწერში აქამდე ცნობილი შატბერდული და ჭელიშური რედაქციებისაგან განსხვავებული რედაქციისაა. Sin.Geo.N.48.

2. იოვანე ზედაზნელის ცხოვრება 72v-92v.

აღწერილია მოღვაწეობა ქართლში მოსული ასურელი მამისა და მისი 12 მოწაფისა, რომლებმაც საფუძველი დაუდვეს საქართველოში სამონასტრო ცხოვრებას. რედაქციულად განსხვავდება დღემდე ცნობილი ტექსტებისგან (შდრ. *კაკაბაძე*, არქეტიპები, გვ.19-26; *ყუბანეიშვილი*, ქრესტომათია, I, გვ.157-169; *აბულაძე*, ასურელი მოღვაწენი, გვ.1-68; ძეგლები, I, გვ.191-217). ტექსტში ჩართულია *ზედაზნის* მამასახლისთა ქრონოლოგიური სია; *ზედაზნის, ჯვრისა და დავით გარეჯის* მონასტერთა საგანძურისა და ბიბლიოთეკების აღწერილობანი; არის აგრეთვე უნიკალური ცნობები IV-VII სს. ქართლის მეფეთა, ერისმთავართა და მათი ოჯახის წევრთა ეპიტაფიებისა და გენეალოგიის შესახებ.

3. აბიბოს ნეკრესელის წამება 92v-105r.

ტექსტი უფრო ახლოს არის თხზულების ე.წ. ვრცელ რედაქციასთან (Джанашвили, Описание, с.25-29; *კაკაბაძე*, არქეტიპები, გვ.42-46; *ყუბანეიშვილი*, ქრესტომათია, I, გვ.167-169; *აბულაძე*, ასურელი მოღვაწენი, გვ.1-68; ძეგლები, I, გვ.167-217). ნ. აგრეთვე ალექსიძე, აბიბოს.

ანდერძები: 1. (ნუსხური, წითელი მეღვინით): „სახელითა ღმრთისადათა ესე წიგნი ქართლის მოქცევისანი მე, არშუშა-ყოფილმან იოვანე შევწირენ წმიდასა მთასა სინასა სალოცველად შვილთა ჩემთა—*დემეტრი, ადრნესე* და *ნერსე*—დ[ა] საკსენებლად სულისა ჩემისათჳს. ლოცვა ყავთ, ამჴნ.“ 72r.

2. (ლამაზი ასომთავრულით, შავი მეღვინით): „ქრისტე, შეიწყალე *იოვანე*, ამჴნ.“ 72r. ამ მინაწერის ხელი ზუსტად ემთხვევა ე.წ. „ჭილ-ეტრატის იადგრის“ ანალოგიურ მინაწერს (ხელნაწ.ინსტ. H-2123, 1v).

Sin.Geo.N.51

ფსალმუნთ. X

199ფ; 12×9,5; ეტრათი; ხის ტყავადაკრული ყდა, რომელსაც შემორჩენილი აქვს ცალი შესაკრავი; ხელნაწერში 27 რვეულია; იე რვეული შვიდფურცლიანია, კზ—ორფურცლიანი; დანარჩენ რვეულებში თითოეულში 8 ან 6 ფურცელია; ნუსხური; შავი მეღვინით; სათაურები, ფსალმუნთა სათვალავი აშიებზე, მუხლთა რაოდენობა თითოეულ ფსალმუნში, განსუენებისა და კანონების აღნიშვნა — ასომთავრულით და სინგურით. მუხლების დასაწყისში საზედაო ასოები; დაუწერელია 199v, რომელზეც გამოყვანილია ნაწილობრივ გადარეცხილი პრიმიტიული ორნამენტი; გადამწერი: *გიორგი* დიაკონი (199r); [X ს.].

შინაარსი: 1. **ფსალმუნი** 1-150 1r-181v.

2. **გალობები** 1-9 182r-198v.

ფსალმუნისა და გალობათა ტექსტი ძველი წინარეათონური რედაქციისაა, ფსალმუნში მუხლთა რაოდენობა ნაჩვენებია ძველი „ქართული“ სათვალავის მიხედვით; კანონებად დაყოფა აგრეთვე ძველ სისტემას მისდევს (*შანიძე მ.*, თარგმანები, გვ.67). ზოგიერთ ზედაწარწერილში შეტანილია ქრისტოლოგიური ინტერპრეტაციები (მაგალითად: „ვედრებად მართლისად, წინაწარმეტყუელებად ქრისტჳსთჳს“ ფს.4). ყველა ამ ნიშნის მიხედვით ხელნაწერი უახლოვდება ძველი კოლექციის სინურ ხელნაწერთა ნუსხებს, რომლებიც გამოყენებულია ტექსტის გამოცემისათვის (Sin.Geo.O. Nos.22,29,42. Garitte, Catalogue, pp.58,66,156 და გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერი №2058/3, რომელიც წარმოშობით სინურია (*აცაგარლის* კატალოგის №2) Цагарели, Каталог, с.54; *შანიძე ა.*, გრაცი, გვ.343). გამოცემა: *შანიძე მ.*, ფსალმუნნი. აშიებზე გვიანდელი ხელით მითითებულია კანონთა დასაწყისები ახალი სისტემით, რომელიც გატარებულია *გიორგი მთაწმედლის* რედაქციის ნუსხებში.

ანდერძი (ასომთავრულით): „დ[იდება ღმერთ]სა ჩუენსა უკუენისამდე და უკუენითი უკუენისამდე მერმეცა. მე, *გიორგი* (გჳ) დიაკონმან დავწერენ წ[მიდა]ნი ესე დავითნი საკმარად და სალოცველად მშობელთა და ძმთა ჩემთათჳს. ვინ იმსახურებდეთ, ჩუენტჳსცა ლოცვა ყავთ, რადთა უფალმან თქუენცა სასყიდელი ზეცისად მიგანიჭოს. ამინ (დაწერილია სრულად), იყავნ.“ 199r.

Sin.Geo.N.52

შაშ60. XII-XIII

98ფ; 10,5×10; სქელი ეტრატი; უყდო; თავბოლონაკლული, აკლია თითო-თითო ან მეტი ფურცელი 32-33, 38-39, 52-53, 88-89, 92-93, 98-99 ფურცლებს შორის; ფფ.47-52 (დაახლ.10,2×8,5), დაწერილი განსხვავებული ხელით და შეკრული ექვსფურცლიან რვეულად, მოგვიანებით არის ხელნაწერში ჩაკინძული დაკარგული ფურცლების შესავსებად; 47r-ზე განმეორებულია 46v-ს ტექსტი; ფ.52 დაუწერელია; რვეულებად დაშლილი; ფურცლები დაზიანებულია და დალაქავებული, განსაკუთრებით ბოლოში; ნუსხური; შავი მელანი, სათაურები სინგურით; ფურცელთა დიდი ნაწილი პალიმფსესტია; ქვედა ტექსტი ქართულია, ნუსხურით ნაწერი; [XII-XIII სს.].

შინაარსი: 1. **ჟამნი** 1r-88v.

ტექსტი იწყება ცისკრის ჟამით და შეიცავს თითქმის ყველა ძირითადი ჟამის (I, III, VI, IX, მწუხრის, სერობისა და შუალამის) განგებას ლაკუნებით. რედაქციულად ძირითადად მიჰყვება იერუსალიმის კოლექციის №127 ხელნაწერს (Blake, Jerusalem, III, p.136), რომელიც მიჩნეულია *გიორგი მთაწმიდლის* მიერ XI ს.-ში ბერძნული ჟამნის საფუძველზე შედგენილი ჟამნის ყველაზე ადრეულ (XII-XIII სს.) ნუსხად (*კახაბრიშვილი*, ჟამნი, გვ.122). ამავე რედაქციისაა Sin.Geo.O.88 ხელნაწერის ძალზე ნაკლები ტექსტი (სინური აღწერილობა, ტ. III, №88: I, 1-10; გვ.197-198). აღსაწერი ხელნაწერი Jer.127-საგან განსხვავდება: არ შეიცავს I, III, VI და IX ჟამთა “შედგებს“, ანუ დამატებებს; მწუხრის ჟამზე ნაცვლად სინანულის დასდებლებისა დაწესებულია აღდგომის დასდებლების შესრულება; ლამის ჟამებიდან მასში შეტანილია მხოლოდ შუალამის განგება, რომელიც იოსებ გამომეტყველს მიეწერება და ა.შ.

2. **ბიბლიურ გალობათა და 148-149,5 ფსალმუნთა ტექსტები** 89r-98v.

ტექსტი შიგნით სრული არ არის: მოღწეულია გალობა I, III-VII, IX, მათგან I, VI და VII ნაკლებად; გალობებში აქა-იქ ჩართულია არაბიბლიური ტექსტის შემცველი მუხლები.

Sin.Geo.N.53

ლიტურგიკული კრებულის X

227ფ; 11,5×10,5; ეტრატი; უყდო, თავბოლონაკლული; დასაწყისში აკლია სამი რვეული მთლიანად; რვეულები თავსა და ბოლოში ძალზე დაზიანებულია, ქვედა კიდე მთლიანად გაფუჭებულია, ტექსტი არ იკითხება; ნუსხური; შავი მელანი, სათაურები სინგურით; გადამწერი *იოანე* (7r); დაუწერელია 35r [X ს.].

შინაარსი: **ლიტურგიკული კრებული** 1r-227v. მასში შეტანილია:

1. იაკობის ჟამისწირვა 1r-27v. ტექსტი თავნაკლულია. ძირითადად თანხვდება Sin.Geo.O.12-ის ტექსტს. ბიბლიოგრაფია იაკობის ჟამისწირვის შესახებ იხ. Sin.Geo.N.26.

2. წმიდა საიდუმლოს განახლების წესი 27v-34v. ტექსტი სხვაობს *მთარხნიშვილის* მიერ გამოქვეყნებული ტექსტისაგან (შდრ. Tarchnischvili, Liturgiae, გვ.93-105. ლათინური თარგმანი: Tarchnischvili, Liturgiae (lat.), p.71-77).

3. საუფლო და დიდი დღესასწაულების ჟამისწირვათა კვერექსები 35r-85r. კვერექსების რიგი შედგენილობით და თანმიმდევრობით ძირითადად მისდევს Sin.Geo.O.12-ს (შდრ.სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.34-36). ახასიათებს სხვაობებიც. კვერექსების კომპლექტი შეტანილია აგრეთვე Sin.Geo.N.26-ში (57v-70v), Sin.Geo.N.35-სა (1r-8v) და Sin.Geo.O.54-ში (16r-29v. იხ. სინური აღწერილობა. ტ.III, გვ.59).

4. „მოსაცსენებელი ჟამისწირვისა, რომელი იერუსალემს შინა წართქუმის“. 86r-93r.

5. კურთხევანი (წინათონური პერიოდისა) 93r-227v. ამავე ტრადიციის კურთხევანი შეტანილია Sin.Geo.O.12-ში (90v-190v), რომელთან შედარებითაც Sin.Geo.N.53 ბევრად უფრო ვრცელია და მასალის დალაგების მხრივაც განსხვავდება (შდრ.სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.38-42). ასევე განსხვავდება ამავე ტრადიციის კურთხევანის სხვა ნუსხებისაგან (შდრ. Sin.Geo.O.54, 56v-66r, 176r-184v; სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.60-61,67; Sin.Geo.O.66, 42v-103r. სინური აღწერილობა, ტ.III, გვ. 73-75 და Sin.Geo.N.58, 69v-85v).

ანდერძი გადამწერისა: „ქრისტე, შეიწყალე იოვანე. ლოცვა ყავთ“ 7r.

კურთხევანის 186r-227v-ზე მოთავსებული ნაწილის სრული იდენტიფიკაცია კერ ხერხდება.

Sin.Geo.N.54

იაკობის, ბასილის, იოანე ოქროპირის ჟამისწირვები. X

129ფ; 14,5×9,5; ეტრატი; უყლო; თავბოლონაკლული; დაზიანებული, განსაკუთრებით დასაწყისი და ბოლო ფურცლები; ფფ.3-15 ამოჭმულია, ხელნაწერის ბოლოს ზოგიერთი ფურცელი შეწებებულია; პირველ ორ ფურცელზე მხოლოდ თითო-ორი სიტყვა იკითხება, 8v-მდე ტექსტის გაბმულად ამოკითხვა არ ხერხდება. ხელნაწერს აქვს რვეულობრივი სათვალავი; ჩანს ა — იწერეულთა აღნიშვნები; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები ასომთავრულით, სინგურით; გადამწერი: *იოვანე* (53r,83v,108v); დაუწერელია 53v; [Xს.].

შინაარსი: 1. იაკობის ჟამისწირვა 1r-53r.

ტექსტი, რომლის წაკითხვა შესაძლებელია, შეესაბამება *მთარხნიშვილის* გამოცემისას (გრაცის №2058/4 ხელნაწერის მიხედვით, რომელიც

წარმოშობით სინურია). Tarchnischvili, Liturgiae, გვ.3. 34v-სა და 35r-ზე ტექსტში წმინდანთა მოსახსენებლებში შეტანილია: „წმ ჰაბო... წმ ნინო“. უფრო დაწვრილებით იაკობის ჟამისწირვის შესახებ ნ. Sin.Geo.N.26.

ანდერძი: „დაესრულა ჟამისწირვაჲ წმიდისა იაკობ მოციქულისა, ძმისა უფლისაჲ. ქრისტე, შეიწყალე იოვანე მშრომელი“ 53r. აქვე ამოფხეკილია ანდერძის ორი სტრიქონი.

2. ბასილის ჟამისწირვა 54r-84v.

ბასილის ჟამისწირვის გამოცემაში (საქათა, ბასილი, გვ.260-317) გამოვლინებულია ამ ჟამისწირვის სამი განსხვავებული რედაქცია; მათგან ერთი (გვ.276-297) დაბეჭდილია Sin.Geo.O.89 (XII ს.) ხელნაწერის მიხედვით (სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.201). სხვა ვერსიები წარმოდგენილია H-531 (XI ს., აღწერილობა H-II, გვ.15) და S-4980 (XII ს., აღწერილობა S-VI, გვ.292) ხელნაწერებში.

ანდერძი: „დაესრულა ჟამისწირვაჲ წმიდისა ბასილისი. ქრისტე, შეიწყალე იოვანე“ 84v.

3. იოანე ოქროპირის ჟამისწირვა 85r-108v.

ოქროპირის ჟამისწირვის ტექსტი დაბეჭდილია ორჯერ: ა) გრაცის ბიბლიოთეკის №2058/5 ხელნაწერის მიხედვით, რომელიც სინური წარმოშობისაა (იგივეა, რაც აცაგარლის კატალოგის №29: Цагарели, Каталог, с.67): Tarchnischvili, Liturgiae, გვ.64-83. ლათინური თარგმანი: Tarchnischvili, Liturgiae (Lat), გვ.48-63. გერმანული თარგმანი: Tarchnischvili, Übersetzung, გვ.79-94. ბ) Jacob, Liturgie, გვ.66-119, რომელიც დაბეჭდილია (ლათინური თარგმანითურთ) Sin.Geo.O.89 ხელნაწერის მიხედვით (სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.201). Sin.Geo.N.54 ხელნაწერში ტექსტის დასაწყისი ემთხვევა მთარხნიშვილის გამოცემისას (Tarchnischvili, Liturgiae, გვ.65, სტრ.14).

ანდერძი: „დაესრულა ჟამისწირვაჲ წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ.“ იმავე გვერდზე სხვა ხელით: „მოიკსენე, უფალო, ნიკოლოზ და იოვანე, ძმაჲ მისი. ქრისტე, შეიწყალე იოვანე, ან“. 108v.

4. ზოგადი დღესასწაულების ჟამისწირვათა ფსალმუნები და საკითხავები სამოციქულოდან და სახარებიდან 109r-129v.

განკუთვნილია იერუსალიმური საღვთისმსახურო პრაქტიკისათვის (შდრ. Tarchnischvili, Lectionnaire, Nos.1437-1559). ამავე დანიშნულებისაა ფსალმუნები და საკითხავები: Sin.Geo.N.22, 21r-79v; Sin.Geo.N.58, 47r-58v და Sin.Geo.O.12, 284r-286v (სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.45-46). ეს ხელნაწერები უჩვენებენ გარკვეულ განსხვავებებს დღესასწაულთა რიგისა და ფსალმუნებისა და საკითხავების შერჩევის თვალსაზრისით.

Sin.Geo.N.55

ანბანური პატერიკი. X

59 ფ; დაახლოებით 17×14; ეტრატი; ძლიერ დაზიანებულია ცეცხლისაგან, მთლიანად მომწვარია ფურცლების ზედა მხარე და ნაწილობრივ მარჯვენა კიდე; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი; სათაურები სინგურით; პალიმფსესტი; ქვედა ტექსტი—კავკასიის ალბანური, არის სომხურიც; ამავე ხელნაწერიდან შემორჩენილია 15 მცირე ზომის ფრაგმენტი. [გადამწერი: *მიქაელ*; X ს.].

შინაარსი: ანბანური პატერიკი 13r-41v.

ხელნაწერი აღმოჩნდა გაქვავებულ მდგომარეობაში. გახსნის შემდეგაც, დაზიანების გამო, შესაძლებელია მხოლოდ მისი ზოგიერთი ნაწილის იდენტიფიკაცია. თხრობებში დასახელებულია: *პიმენ* 13r-32v (შდრ. *დვალი*, ნოველები, II, გვ.164-202), *პეტრე* 32v-33r (გვ.207), *სისო* 33r-34r (გვ.212), *სარმატი* 34v-35r (გვ.233), *ეპერიქო* 35r-38r (არ არის გამოცემაში), *კასიანე* 38r-40r (გვ.101-103), *მატო* 40r-41r (გვ.148), *მოტი* 41r-v (გვ.151).

ხელნაწერი ტექსტუალურად და შედგენილობით სხვაობს გამოცემული ტექსტისაგან, რომელიც ემყარება სამ ხელნაწერს; ორი მათგანი სინურია: Sin.Geo.O.8, XII; Sin.Geo.O.35, 907 წ. (ნ. Garitte, Catalogue, გვ. 26 და 97. Sin.Geo.O.35-ის თარიღისათვის ნ. დვალი, *ჯღამია*, ფრაგმენტი, გვ. 72). შესაძლოა, მე-11 ფრაგმენტი შეიცავდეს ანტონის “სწავლათა” ნაწილებს, დანარჩენთა შინაარსის დადგენა არ ხერხდება.

ხელის მიხედვით, გადამწერი იგივე *მიქაელია*, რომელმაც გადაწერა Sin.Geo.N.13. შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ Sin.Geo.N.55 წარმოადგენს Sin.Geo.N.13 ხელნაწერის მომდევნო ნაწილს.

Sin.Geo.N.56

იაღბატი. X

103 ფ; 11,5×11,5; სქელი და უხეში, დეფორმირებული ეტრატი; ზოგი ფურცელი გაყვითლებულია; უყდო, დაშლილი რვეულებად; შემორჩენილია 13 რვეული; რვეულობრივი სათვალავით თითოეულ რვეულში 8 ფურცელია, ივ რვეულს აკლია ბოლო ფურცელი, მეშვიდე ფურცლისა კი მხოლოდ ზედა ნაწილია დარჩენილი; პირველი რვეული ძლიერ არის დაზიანებული, შემორჩენილია მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტები; მეორე რვეულის ფურცელთა უდიდესი ნაწილი მოხეულია; მესამე რვეულის ფურცლები ნაწილობრივ ამოჭმულია; დანარჩენი რვეულები უკეთეს მდგომარეობაშია, ტექსტიც უკეთესად იკითხება, გარდა შემდეგი ფურცლებისა: 54,55,58,59,74,75; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით; [X ს.].

შინაარსი: **ჰიმნოგრაფიული კრებული "იაღარი"** (უძველესი რედაქციისა) 1r-103v.

შეიცავს უძველესი იაღარის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს—მარხვანს დასაწყისიდან (ხორცის ალების კვირიდან) ვნების ხუთშაბათამდე. იაღარის ეს ნაწილი ცალკე ნუსხად ჩანს გადაწერილი. ძირითადად მისდევს Sin.Geo.O.18 ხელნაწერს (შდრ. უძველესი იაღარი, გვ.90-189). ახასიათებს თავისებურებები: ა) არ შეიცავს სტიქარონთა მეორე-მესამე ფენებს და მარხვის პერიოდის ხსენებათა საგალობლებს; ბ) ვნების ხუთშაბათს ნაცვლად სამსაგალობლისა ხელნაწერში შეტანილია *კოზმა იერუსალიმელის* ამავე დღის კანონის უძველესი თარგმანი, რომელიც გვხვდება Sin.Geo.O.18 ხელნაწერში (უძველესი იაღარი, გვ.540-543); ხელნაწერში *კოზმა იერუსალიმელის* კანონი შევსებულია მეორე გალობით. შევსების წყარო უცნობია. გ) უძველესი იაღარის სამსაგალობელი *ლაზარეს* ხსენებისათვის (უძველესი იაღარი, გვ.161-162) შევსებულია სრულ კანონად აქამდე უცნობი ტექსტით.

Sin.Geo.N.57

პარაკლიტონი. XI

181ფ. 12×8,5; თეთრი თხელი ეტრატი; უყდო; დაშლილია რვეულებად; რვეულობრივი სათვალავის მიხედვით (ქვედა აშიაზე), ხელნაწერი თავდაპირველად შედგებოდა 23 რვეულისაგან; ამჟამად აკლია *ბ, გ* რვეულები; ფფ.153-162, 173-178 ძლიერაა დაზიანებული; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები ასომთავრულით, სინგურით; მომგებელი: *დავით* (180r). დაუწერელია 14v; [XI ს.].

შინაარსი: **პარაკლიტონი** 1r-179v.

ხელნაწერი წარმოადგენს პარაკლიტონის მეტად თავისებურ, არატრადიციულ ნუსხას. შეიცავს საგალობლებს (წარდგომას, სტიქარონებს, ანტიფონურ ფსალმუნებს) ერთი შვიდეულის ფარგლებში. იწყება ორშაბათით და მთავრდება საკვირაო საგალობლებით. ცალკეული დღეები შეიცავს სხვადასხვა ხმის საგალობლებს. შედგენილობისა და საგალობლების ნათარგმნი ტექსტების მიხედვით ემყარება ქართული პარაკლიტონის XI ს. პირველ ნახევარში გავრცელებულ რედაქციას. წარმოადგენს გამონაკრებს ამ რედაქციიდან. ამავე რედაქციას მიეკუთვნება Sin.Geo.O.3,13,17,21 ხელნაწერები (სინური აღწერილობა, ტ. II, გვ.58-96) და Sin.Geo.N.14,25,40,76. ხელნაწერი Sin.Geo.N.57 დაწერილი უნდა იყოს *შავ მთაზე, სვიმეონ საკვირველთმოქმედის* ლავრაში, რაზედაც უნდა მიუთითებდეს *წმ. სვიმეონის* მოხსენიება ანდერძში.

ანდერძი: „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისაჲთა, წმიდათა ძალთა ზეცისა უკორცოთაჲთა და წმიდისა *სუმეონ საკურველთმოქმედისა*ჲთა

და ყოველთა ნებისყოფელთა მისთადათა ღირს ვიქმენ მე, გლახაკი დავით, მოგებად ამათ წმიდათა საგალობელთა პარაკლიტონთა მსგეფსთა საკსრად და სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა. წმიდანო მამანო, ვინცა ვინ იმსახურებდეთ ამათ წმიდათა სავედრებელთა წიგნთა, კსენებულმცა ვართ წმიდათა ლოცვათა შინა თქუენტა მე, გლახაკი, და სული მშობელთა ჩემთად, რადთა სახიერმან ღმერთმან თქუენტა და ჩუენ ერთობით სასყიდელი ზეცისად მოგუანიჭოს და ღირს-გუყუნეს მარჯუენით მისა სასუფეველსა მისსა. აწ, იყავნ.

წმიდანო მამანო, სადგურნო სულისა წმიდისანო, გლახაკი მჩხრეკალი გევედრები, რად დამეკლოს, შემინდევით, და თქუენტა ღმერთმან შეგინდვენს ყოველნი ბრალნი. აწ, იყავნ.” 180rv.

მინაწერი (გვიანდელი ხელით): „წმიდანო მამანო, ღმერთშემოსილნო, ვინცა ამათ წმიდათა წიგნთა იმსახურებდეთ, ჩემთკსცა ლოცვა-ყავთ ცოდვილისა *გედეონისთკს*, რადთა თქუენტა შეგიწყალნეს უფალმან ღმერთმან ჩუენმან სასუფეველსა მისსა. აწ.” 181r.

Sin.Geo.N.58

ლიტურგიკული კრებული. IX-X

98ფ; 13,5×12; ეტრატი; ტყავადაკრული ხის ყდა, უტვიფრო; ბოლონაკლული; ფურცლები დალაქავებულია; ხელნაწერი შედგება ოთხი სხვადასხვა ხელნაწერიდან მომდინარე ნაწილისაგან, რომლებიც სხვადასხვა ხელითაა დაწერილი: პირველი—ასომთავრულით, ფფ.1-58 (შესაძლოა, მისი გადამწერია *მიქელი* 25v,31v); მეორე— ნუსხურით, ფფ.59r-69r; მესამე— ნუსხურით, ფფ.69v-85v; მეოთხე—ასომთავრულით, ფფ.86r-98v; პირველ და მესამე ნაწილებს აქვს რვეულობრივი სათვალავი; პირველი ნაწილი შეიცავს ა-ჴ რვეულებს. უკანასკნელ რვეულს აკლია ფურცლები; მესამე ნაწილში შემორჩენილია ა-დ რვეულთა ნაწილები; მეორე ნაწილს აკლია დასაწყისი; ყავისფერი და შავი მელანი, სათაურები სინგურით; დაუწერელია 1r,58v; [IX-X სს].

შინაარსი: **ლიტურგიკული კრებული** 1r-98v. კრებულში შეტანილია:

1. **იაკობის ჟამისწირვა** 1v-46v. ტექსტი სრულია. არსებულ გამოცემებთან შედარებით, ახასიათებს განსხვავებები. დასასრულის შემდეგ ტექსტის ხელით: „დაესრულა წმიდად ჟამისწირვად“ 46v. ბიბლიოგრაფია იაკობის ჟამისწირვის შესახებ იხ. Sin.Geo.N.26.

2. **სხვადასხვა დღესასწაულთა, ძირითადად ზოგად დღესასწაულთა ჟამისწირვებისათვის განკუთვნილი საკითხავები სამოციქულოდან და სახარებიდან** 47r-58r. ტექსტი იმავე ხელითაა დაწერილი, რომლითაც დაწერილია იაკობის ჟამისწირვა და წარმოადგენს მის დანართს. განკუთვნილია იერუსალიმური

საღვთისმსახურო პრაქტიკისათვის (მდრ. Tarchnischvili, Lektionnaire, Nos.1437-1559). ამავე დანიშნულების ფსალმუნები და საკითხავები ნ. Sin.Geo.N.22 (21r-79v) და Sin.Geo.N.54 (109r-129v), აგრეთვე Sin.Geo.O.12 და Sin.Geo.O.54 ხელნაწერებში (სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.42-46, 61-66).

3. **საეკლესიო კალენდარი** 59r-69r. იწყება იანვრით, დასაწყისში აკლია 1-15 იანვრის მასალა. მსგავსი კალენდარი გამოქვეყნებულია Sin.Geo.O.34 ხელნაწერის მიხედვით (*ჯეგაზიშვილი*, სინა, გვ.200-226; *კეკელიძე*, კალენდარი, გვ.242-294; Garitte, Calendrier, p.43-120, ლათინური თარგმანითურთ). წინამდებარე ტექსტი კალენდრისა მოკლე რედაქციისაა, ბევრი დღე მასში შეტანილი არ არის. Sin.Geo.O.34 ხელნაწერთან შედარებით უჩვენებს სხვადასხვა ხასიათის განსხვავებებს.

4. **კურთხევანი** 69v-85v. შეიცავს მიცვალებულთა დაკრძალვის წესს. ხელნაწერში ნათქვამია, რომ ეს განგება *საბაწმიდურია* (72r). იგივე განგება შეტანილია Sin.Geo.O.12 ხელნაწერში, 182r-190v (სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.41-42).

5. **სახარებანი საცისკრონი** 86r-97r. კვირა დღეთა რვა საკითხავისაგან შემდგარი კომპლექტიდან (რომელიც პალესტინური ტრადიციისათვისაა დამახასიათებელი), შეიცავს მხოლოდ პირველ ოთხ საკითხავს (მ.28,1-20; მარკოზ 16,1-8; ლუკა 24,1-12; იოვანე 20,1-18). სრული კომპლექტი იხ. Sin.Geo.O.47, 13r-72r (სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.53). 97v-98v-ზე მოთავსებული ტექსტის იდენტიფიკაცია ვერ მოხერხდა; ტექსტი ნაწერია იმავე ხელით, რომლითაც დაწერილია საცისკრო სახარებანი.

მინაწერები: „უფალო, მოიკსენე *მიქაელ*“ 25v; „მოიკსენე, უფალო, *მიქაელ*, [...] სული *თევდორესი* და *მარიამისი*“ 31v.

Sin.Geo.N.59

ლიტურგიკული კრებული. XI-XII

12ფ; 10×8,5; ეტრატი; დაზიანებული და დალაქავებული; დამლილი; პირველი ექვსი ფურცელი ერთმანეთს მისდევს, დანარჩენი ფურცლები ერთმანეთს არ მიჰყვება; ნუსხური; შავი მელანი; ფფ.3-4 პალიმფსესტია; ქვედა ტექსტი ქართული; [XI-XII სს.].

შინაარსი: **ლიტურგიკული კრებული** 1r-12v.

ფრაგმენტში 1r-6v-ზე მოთავსებულია ჰიმნოგრაფიული კანონი, რომლისაგან მხოლოდ VII-IX გალობებია მოღწეული, ისიც არასრულად. კანონის დანიშნულება ჯერჯერობით გარკვეული არ არის. 7r-12v-ზე მოთავსებული ტექსტის რაობის დადგენა ვერ მოხერხდა. ერთი გაბმული ტექსტი არ უნდა იყოს.

Sin.Geo.N.60

ლეონტი ნეპოლელი, იოანე მოწყალის ცხოვრება. XI-XII

118ფ; 11×9,8; ეტრატი; უყდო, შემორჩენილია ამოტვიფრული ტყავის ყდის ყუა; თავბოლონაკლული; რვეულები 8-8 ფურცლიანია, 7r-ზე აღნიშნულია მეორე რვეულის დასაწყისი ო; ნაკლულია ა-დ, რომელთაც საერთო ჯამში 10ფ.აკლია; ე-ივ რვეულები (ფფ.22-118) სრულია. რვეულების დასაწყისი აღნიშნულია, დასასრული ყოველთვის არ არის მითითებული; 1r გადასულია და თითქმის არ იკითხება; ნუსხური, შავი მელანი; თავების სათვალავი მთავრულით; [XI-XII სს.].

შინაარსი: **ლეონტი ნეპოლელი, იოანე მოწყალის ცხოვრება 1r-118v.**

ქართულად ცნობილია თხზულების რამდენიმე თარგმანი (*კეკელიძე*, ავტორები, გვ. 94,128,182). ხელნაწერის ტექსტი მისდევს Sin.Geo.O.71 (XIII ს.) ნუსხაში დაცულ თარგმანისას. ტექსტი დაყოფილია თავებად დასათაურების გარეშე ისევე, როგორც Sin.Geo.O.71 ხელნაწერში, მაგრამ თავების ნუმერაციაში გვაქვს ზოგიერთი სხვაობა: ხელნაწერში ნაჩვენებია გ (2r)-ლვ (117v) თავები, რომლებიც შეესაბამება Sin.Geo.N.71 ნუსხის ო-შ თავებს. სულ ამ უკანასკნელში 50 თავია, ხოლო ავტორად 117r-ზე დასახელებულია “*ლეონტი ეპისკოპოსი ნიკოპოლელი*, რომელი არს *კუპრეს*” (Garitte, Catalogue, p.221). ავტორის სახელი იმავე ფორმით დასახელებულია XI ს. Jer.3 ხელნაწერში (Blake, Jerusalem, I, p.364. Бенешевич, Иерусалим, с.67), სხვაგან მას ეწოდება *ლეონ ნიკონიელი* (ხელნ.A-199, XII-XIII სს. აღწერილობა A I/2, გვ.341).

Sin.Geo.N.61

ჟამნი. XII

38ფ; 12×9; ეტრატი; უყდო; თავბოლონაკლული, ფურცლები დალაქავებულია და დაზიანებული, განსაკუთრებით ფფ. 1,2,38; ნუსხური, შავი მელანი, სათაურები სინგურით; ფფ. 5,7,16-19, 35,36 პალიმფსესტია; ქვედა ტექსტი ქართულია, დაწერილი წვრილი ნუსხურით; სათაურები ასომთავრულით. [XII ს.].

შინაარსი: **ჟამნი 1r-38v.**

ფრაგმენტი შეიცავს სავედრებელ ლოცვებსა და ერთ ჰიმნოგრაფიულ კანონს ჟამნის შუალამის განგებიდან, რომელიც *იოსებ გამომეტყველის* ავტორობით არის ცნობილი. რედაქციულად უდგება Jer.127 ხელნაწერის ტექსტს, 128r-169v. *რ.ბლეიკის* აღწერილობაში ამ ხელნაწერის შინაარსი გახსნილი არ არის (შდრ. Blake, Jerusalem, III, გვ.136). Jer.127 მიჩნეულია *გიორგი მთაწმიდლის* მიერ XI ს-ში ბერძნული ჟამნის საფუძველზე შედგენილი ჟამნის ყველაზე ადრეულ ნუსხად (*კახაბრიშვილი*, ჟამნი, გვ.122).

Sin.Geo.N.61 ძალიან ახლოს დგას Sin.Geo.N.52 ხელნაწერის შესაბამის ნაწილთან (54r-დან), ახასიათებს ზოგიერთი განსხვავებას.

Sin.Geo.N.62

ლიტურგიკული კრებულო. XII

12ფ; 11,5×9; ეტრატი; დაშლილი, დაზიანებული, დალაქავებული; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [XII ს.].

შინაარსი: **ლიტურგიკული კრებული** 1r-12v. შიგ შედის:

1. **ორი ჰიმნოგრაფიული კანონი** 1r-10v.

მოდწეულია ფრაგმენტულად (VIII და V ხმისა). კანონთა რაობისა და დანიშნულების განსაზღვრა ვერ ხერხდება.

2. „**თუეთა მეტყველება**“ (ფრაგმენტი სათაურით: „**სუნაქსარი საწელიწდომ სულ მცირედ აღწერილი**“) 11r-12v.

შემორჩენილია სექტემბრის პირველი ოთხი დღის სსენებები, რომლებიც გიორგი მთაწმიდლის სვინაქსრის კალენდართან შედარებით შევსებულია. მსგავსი „თუეთა მეტყველებანი“ მოგვიანო ხანის ჟამნებში არის შეტანილი. ეს ორი ფურცელი სხვა ხელნაწერისა უნდა იყოს.

Sin.Geo.N.63

იაკობის ჟამისწირვა. X

75 ფ; 13×9,5; ეტრატი; უყდო; თავბოლონაკლული; აკლია პირველი და მეათე რვეულები მთლიანად; შემორჩენილია ბ-თ, ია რვეულები და იზ რვეულის სამი ფურცელი. 66r-75v დაწერილია შედარებით გვიანდელი ხელით; ულაზათო ნუსხური, შავი მელანი, სათაურები და ზოგიერთი აღნიშვნები სინგურით; დაუწერელია 36v-37r. [X ს.].

შინაარსი: **იაკობის ჟამისწირვა** 1r-64v.

Sin.Geo.N.63 ხელნაწერის დასაწყისი შეესაბამება *მ.თარხნიშვილის* გამოცემას: Tarchnischvili, Liturgiae, გვ.1, სტრ.18.

48v-ზე მოსახსენებლებში: „...ღირსისა მამისა ჩუენისა პატრეაქისა ქართლისა კათალიკოზისა – სახელ-სდვა“.

65r-75v წარმოადგენს გამონაკრებს ვრცელი რედაქციის იერუსალიმური ლექციონარიდან. მოცემულია ორი დღესასწაულის საკითხავები და საგალობლები – ღვთისმშობლის სსენებისა გეთსიმანის (15 აგვ.) და ხარებისა (25 მარტს). შტრ. Tarchnischvili, Lictionnaire, Nos.1152, 1153, 268, 270-274. ფურცლების სწორი თანმიმდევრობა ამ ნაწილში: 65-69, 73-75, 70-72.

Sin.Geo.N.64

ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. X

60ფ; 12,5×10; ეტრატი; უყდო, თავბოლონაკლული; ფურცლები დაზიანებულია და დალაქავებული; ფ.34-ის ქვედა ნაწილი მოხეულია, საგრძნობლად დაზიანებულია ფფ.58-60. 55-ე ფურცელს მთელს სიგრძეზე მოხეული აქვს მარჯვენა მხარე; რვეულობრივი სათვალავის მიხედვით დასაწყისში აკლია ოთხი რვეული მთლიანად; მეხუთე რვეულიდან მოღწეულია ბოლო 5 ფურცელი; წყდება იზ რვეულის მეშვიდე ფურცელზე; აკლია თითო ფურცელი 30-31 და 32-33 ფურცლებს შორისაც; რვეულები ძირითადად 8-8 ფურცლიანია; ზ რვეული შედგება 10 ფურცლისაგან; ნუსხური; შავი მელანი; ძლისპირ-ღმრთისმშობლისების დასაწყისი ასოები ასომთავრულით; საზედაო ასოები ხშირ შემთხვევაში მხატვრულადაა გაფორმებული შავი მელნითა და სინგურით; ზოგიერთი ძლისპირი ნევმირებულია; მეტრული პუნქტუაციისათვის გამოყენებულია მსხვილი წითელი წერტილი სინგურით; [X ს.].

შინაარსი: ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი 1r-60v.

შეიცავს OdO წყობის მოკლე რედაქციას. მასში წარმოდგენილია ძლისპირთა და ღმრთისმშობლისათა უძველესი ფენა; კრებულში შემორჩენილია III ხმის მცირე ნაწყვეტი და IV-VIII ხმათა ძლისპირები და ღმრთისმშობლისები თითქმის სრულად (მდრ. მეტრეველი, ძლისპირნი, №149-სა და №403-ს შორის; ნევმირებული ძლისპირნი №243-სა და №777-ს შორის). ძლისპირთა ეს კრებული ცალკე წიგნად ჩანს გადაწერილი.

Sin.Geo.N.65

იაკობის ჟამისწირვა. X

76ფ; 12×10,5; ეტრატი; უყდო; დაზიანებული, განსაკუთრებით ფფ.1,2,11-14; ნაკლული; შემორჩენილია პირველი ორი რვეულიდან ორი ფურცელი, გ-იზ რვეულები თითქმის მთლიანად; მეცხრე რვეულს აკლია ბოლო ფურცელი, მეთერთმეტეს კი-დასაწყისი; მეთორმეტე რვეულისა შემორჩენილია 4 ფურცელი; ასომთავრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; პირველი ორი ფურცლის ტექსტი დაზიანების გამო თითქმის არ იკითხება. [X სს.].

შინაარსი: იაკობის ჟამისწირვა 3r-76v.

ხელნაწერის ტექსტი მსგავსებას იჩენს იაკობის ჟამისწირვის იმ რედაქციასთან, რომელიც შემონახულია გრაცის №2058/4 (ე.ი. აცაგარლის კატალოგის №31) ხელნაწერში (ნ. Sin.Geo.N.26, აღწერილობა). შეესაბამება გამოცემული ტექსტის საკმაოდ დიდ ნაწილს (ნ. Tarchnischvili, Liturgiae, გვ.3,14-32,17).

Sin.Geo.N.66

იოანე ოქროპირის ჟამისწირვა. X

40ფ; 11×9; ეტრატი; ტყავის ყდა, დაზიანებული, ბოლო გვერდი დალაქავებულია და ცუდად იკითხება; მთავრულნარევი ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები სინგურით [X ს.].

შინაარსი: იოანე ოქროპირის ჟამისწირვა 1r-39v.

იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ტექსტი გამოცემულია ორჯერ: ა) Tarchnischvili, Liturgiae, გვ.64-83 ლათინური თარგმანით; გამოცემა ემყარება გრაცის №2058/5 ხელნაწერს, რომელიც სინური წარმოშობისაა (იგივეა, რაც ა.ცაგარლის კატალოგის №29; ნ. Цагарели, Каталог, с.67). გერმანული თარგმანი: Tarchnischvili, Übersetzung, გვ.79-94. ბ) Jacob, Liturgie, გვ.65-119 (ლათინური თარგმანითურთ), გამოცემულია Sin.Geo.O.89 ხელნაწერის მიხედვით (ნ.სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.201). ტექსტი ამ უკანასკნელში უფრო ვრცელია.

Sin.Geo.N.67

სინელ მამათა სწავლანი. 974 წლამდე

101ფ; სხვადასხვა ზომისა, დაახლოებით 8×7,2-7,5; ეტრატი; შემორჩენილია ყდის ზედა ფრთა-ტყავადაკრული ფიცარი; ყდის საცავ ფურცლად გამოყენებულია სირიულად ნაწერი ეტრატის ფრაგმენტი (2სმ. სიგანისა), რომელზედაც ჩანს წრეში ჩასმული ჯვრის ნაწილი; ხელნაწერი აკინძულია 12 რვეულად, ო და ო რვეულები ათ-ათ ფურცლიანია, დანარჩენი რვეულები შედგება რვა-რვა ფურცლისაგან; 1r-ზე შავი მელნით არაბული მინაწერი; დაუწერელია 101v, რომელზეც მოჩანს სირიული ნაწერის კვალი; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით, ხან ასომთავრულით, ხან ასომთავრულნარევი ნუსხურით; გადაწერილია 974 წლამდე, რასაც მოწმობს შემოსევის, *იოანე-ზოსიმეს* ანდერძი (101r).

შინაარსი: I ლოცვა 1r-5r.

II სვიმეონ სალოსის ლოცვა 5v-8v.

III მამათა სწავლანი 8v-100v.

ლოცვა (1r-5r) ზოგადი ხასიათისაა; სვიმეონ სალოსის ლოცვის (5v-8v) ტექსტისათვის ნ. იმნაიშვილი გ., ცხოვრებანი (გვ. 291); სწავლათა სათაური 8v-ზე: „წმიდათა მამათა სინელთა სწავლანი და საკურველებანი, რომელნი ქმნეს შეწევნითა ქრისტესითა“. შიგ შედის: 1. *სამუელ ქართველის* სწავლა 8r-12r; 2. *სინის* მამასახლისის *კეს* სწავლა 12v-18r; 3. ჟამისწირვისათვის 18v-28r; 4. *შიდის* უდაბნოსათვის 28r-30r; 5. მეორე სწავლა *შიდის* უდაბნოსათვის 30r-33r 6. სარკინოზისათვის 33r-38r; 7. სარკინოზისათვისვე

38r-43r; 8. სამუელისთვის 43r-49v; 9. ჟამისწირვისათვის 50r-58r; 10. მოხსენებისა [...] სათვის და ანგელოზთათვის 58r-60v; 11. პავლე წრფელის ცხოვრება 61r-67r; 12. პავლე წრფელის სწავლა 67r-82r; 13. მამისა იოვანესი 82r-85v (შდრ. დვალი, ნოველები, II, გვ. 95-96); 14. იოვანე მოკლისა 85v-91v (შდრ. დვალი, ნოველები, II, გვ. 76); 15. მამისა მელისთვის 91v-100v (შდრ. დვალი, ნოველები, II, გვ. 149).

ანდერძი (იოვანე-ზოსიმეს ხელით, ასომთავრულით, შავი მელნით): "სახელითა ღმრთისაჲთა შეიმოსა წმიდაჲ ესე წიგნი კელითა იოვანე ცოდვილისაჲთა დასაბამითგანთა წელთა ხფო[ც], ქრონიკონი იყო რჟდ. აწ გვედრები თქუნენ, ყოველთა [ღმრთის] მოყუარეთა მამათა და ძმ[ათა], გვედია წმიდასა ლოცვასა თქუნენსა სული ჩემი ფრიად ცოდვილი და ყოველთავე ჩემეულთაჲ, და თქუნენცა ქრისტემან შეგიწყალენ. ქრისტე, შეიწყალე იოვანე, გიორგი, გაბრიელ, მიქაელ და ყოველნი ქრისტეანენი. აწ. (ნუსხურით); ლოცვა ყავთ ჩუენთჳს, წმიდანო ღმრთისანო, ლოცვა ყავთ, აწ." 101r.

Sin.Geo.N.68

ჟამისწირვა. XI

32ფ; 10×11; ეტრატი; უყდო; დაშლილი; თავბოლონაკლული, აკლია შუაშიც; დამწვარია მთელი ზედა მხარე; 32-ე ფურცლის ნაკუწებიღაა შემორჩენილი; ტექსტი ძალიან დაზიანებულია, იკითხება მხოლოდ ცალკეული ადგილები; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; გადამწერი: გიორგი (8r); [XI ს.].

შინაარსი: ჟამისწირვა 1r-32v.

ტექსტის დაზიანების გამო რედაქციის გარკვევა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

ანდერძები: „ეს წიგნი გიორგადსი არის, ღმერთმან იცოდის“. 7v.

„ეს წიგნი გიორგის დამიწერია“ 8r.

Sin.Geo.N.69

პლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. X

51ფ; დაახლ. 15,5×12; ძლიერი დაზიანების გამო ფურცლები სხვადასხვა ზომისაა, თითქმის ყველა ფურცელს შემოცვეთილი ან შემოხეული აქვს აშიები და ფურცლის ნაწილებიც, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ტექსტის დიდი ნაწილიც დაზიანებულია ან მთლიანად დაკარგული; ეტრატი; ძალიან თხელი, გაყვითლებულ-ჩაშავებული; ხელნაწერი მთლიანად დაფურცლულია და არეული, მისი დალაგება ვერ მოხერხდა. ზოგიერთ ფურცელზე ჩანს რვეულთა დასაწყისის ან ბოლოს მაჩვენებლები: ა: 1v; ბ: 2r, 3v; გ: 5v; დ: 6v;

ე: 7v; ყველა ფურცელი პალიმფსესტია, ქვედა ტექსტი ბერძნულია; ნუსხური; ყავისფერი მელანი, სათაურები და ინიციალები მთავრულით და სინგურიით; [გადამწერი: *იოვანე-ზოსიმე* (ხელის მიხედვით); X ს.].

შინაარსი: **ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი** 1r-51v.

ხელნაწერი გადაწერილია ცალკე წიგნად და არ წარმოადგენს X ს. იადგრის რომელიმე ნუსხის შემადგენელ ნაწილს. ძლისპირთა რიგი თავისებურია: იგი არ მისდევს ირმოლოგიონებისათვის დამახასიათებელ წესს, რომლის მიხედვითაც ძლისპირები გაწყობილია ხმების თანმიმდევრობის შესაბამისად OdO ან KaO რიგზე. ხელნაწერში დალაგების საფუძვლად აღებულია ჰიმნოგრაფიული კრებულის (ალბათ იადგრის) დღესასწაულთა კალენდარული თანამიმდევრობა. ძლისპირები წარმოდგენილია ცალკეულ კანონებად; მათი განმეორების შემთხვევაში მოცემულია მხოლოდ ტექსტის დასაწყისი, რომელსაც ახლავს მითითება სრულ ტექსტზე. ხელნაწერში ძლისპირებთან ერთად შეტანილია შესატყვისი ღვთისმშობლისას ტექსტი. ხელნაწერში არის ძლისპირები, რომლებიც გამოცემულ ტექსტებში არ ჩანს (*მეტრეველი*, ძლისპირნი; *კიკნაძე*, ძლისპირნი).

მინაწერი (ტექსტის ხელით): „ქრისტე, შეიწყალე *კურიაკე*” 7v; „ოდეს ესე დაიწერა...] ქრისტე, შეიწყალე *ივ[ანე?]*” 12r. ქვემოთ ჩანს მიწერილი „რწ”. შესაძლოა, ეს თარიღი იყოს ქრონიკონით (=988 წ.).

Sin.Geo.N.70

ი ა კ ო ბ ი ს შ ა მ ი ს წ ი რ ვ ა . X

12ფ; 12,8×10; ეტრატი; უყლო; დაშლილი, დაზიანებული, დალაქავებული, გახევეებული; თავბოლონაკლული; ნუსხური; შავი მელანი, სათაურები სინგურიით; [X ს.].

შინაარსი: **იაკობის ჟამისწირვა** 1r-8v.

ფრაგმენტი ახლოა ჟამისწირვის იმ ტექსტთან, რომელიც გრაცის №2058/4 (ე.ი. *აკაკარლის* სინური კატალოგის №31) ხელნაწერის მიხედვითაა გამოცემული (ნ. Sin.Geo.N.26 აღწერილობა).

9r-12v შეიცავს ნაწყვეტს იერუსალიმური ლექციონარიდან: მოციქულთა ზოგადი განგების ფსალმუნებსა და საკითხავებს (შდრ. Tarchnischvili, *Lectionnaire*, №№ 1455, 1459, 1460, 1464). განგება მოკლე შედგენილობისაა.

Sin.Geo.N.71

ს ა ხ ა რ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ა შ თ ა ბ ა ნ წ ე ს ე ბ ა . X

8ფ; 13,4×9,8; ეტრატი; ძლიერ გაცვეთილი, აშიებშემოცრეცილი. 1-2, 4-5 ფურცლების ზედა ნაწილში 2-5 სტრიქონის ფარგლებში ტექსტი

მოსხეულია; წარმოადგენს ხელნაწერის მეორე რვეულს: 1r-ს ზედა აშიაზე და 8v-ს ქვედა აშიაზე დასმულია რვეულობრივი სათვალავის აღმნიშვნელი ო. ყველა ფურცელი პალიმფსესტია; ქვედა ტექსტი კოპტური; ნაჩქარევად ნაწერი ნუსხური; შავი მელანი; ზატიკთა დღეებისა და სახარების თავების მითითებები და საკითხავთა დასაწყისი ასოები დაწერილია შავი მელნით და შემდგომ შემოვლებული აქვს სინგური; [გადამწერი: *იოანე-ზოსიმე; Xს.*]

შინაარსი: **სახარების საკითხავთა განწესება** 1r-8v.

ფრაგმენტი წარმოადგენს იერუსალიმური ქართული ლექციონარის მიხედვით შედგენილ საკითხავთა საძიებელს. შეიცავს მითითებებს სახარების საკითხავებზე ზატიკის მეორე ორშაბათიდან მარტვილიის შემდგომი ოთხშაბათის ჩათვლით, აგრეთვე მითითებებს 21 და 23 აპრილისათვის. საკითხავების რიგი ძირითადად თანხვდება *მ.თარხნიშვილის* გამოცემის შესაბამის საკითხავებს (შდრ. Tarchnischvili, *Lectonnaire*. Nos.765-897 შორის). დამატებით შეიცავს მითითებებს ცისკრის სახარებებზე. საძიებელი მისდევს Sin.Geo.O.38 ხელნაწერში არსებულ ანალოგიურ საძიებელს (Garitte, *Catalogue*, p.144), რომელიც გამოქვეყნებულია (Garitte, *Index*, p.337-398, Nos.127-176.)

Sin.Geo.N.72

კურთხევა. XIII

14ფ; 12,4×9,5; ეტრატი; დაშლილი; ფფ.2,3,8-14 დახეულია და ამოჭმული; რვეულობრივი სათვალავის მიხედვით შეიცავს მეორე რვეულის პირველ და ბოლო ფურცლებს, მესამე რვეულს სრულად; დანარჩენი 4 ფურცლის რვეულობრივი სათვალავი არ ჩანს; ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოები ასომთავრულით; [XIII ს.].

შინაარსი: **კურთხევანი** 1r-14v. ხელნაწერში შეტანილია:

1. **ნაწყვეტი ჰიმნოგრაფიული კანონიდან** 1r-v. ამ კანონის სრული ტექსტი შესულია A-450 ხელნაწერში (აღწერილობა A-III1, No:450:160, გვ.143; ნ. აგრეთვე Кекелидзе, *Литургические Памятники*, с.150). კანონი აკროსტიქულია, ფრაგმენტებში შემორჩენილია მხოლოდ VIII-IX გალობები ნაკლულად.

2. ერთ-ერთი განგების ნაწყვეტი კურთხევანიდან: **“წესი, რომელი აღესრულების ზეთსა ზედა სნეულისასა”** 2r-10v (შდრ. A-450:17,18; აღწერილობა A-III1, გვ.138; ნ. აგრეთვე Кекелидзе, *Литургические Памятники*, с.108). განგება თავბოლონაკლულია, უჩვენებს ზოგიერთ სხვაობას A-450 ხელნაწერთან შედარებით.

3. **მარკოზ მონაზონის სავედრებელი ლოცვა ღმრთისმშობლის მიმართ** 11r-14v. ხელნაწერში დაცულია ლოცვის ნაწილი; სრული ტექსტი შეტანილია

ჟამნის იმ რედაქციაში, რომელიც *გიორგი მთაწმიდელს* მიეწერება (Jer.127, 116r-121r; *რ.ბლუიკის* აღწერილობაში ხელნაწერის შედგენილობა ნაჩვენებია არ არის. შდრ. Blake, Jerusalem, IV, p.134; ნ. აგრეთვე Sin.Geo.N.52, 74v-80r).

Sin.Geo.N.73

იადგარი. X

4ფ; დაზიანების გამო ყველა ფურცელი სხვადასხვა ზომისაა: 17,5×19; 24,5×19; 10,5×11,5; 8,5×3; ეტრატი; დახეული და დალაქავებული; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები ასომთავრულით, სინგურით; საგალობლები ნევმირებულია; ნევმები სინგურით; [X ს.].

შინაარსი: *ჰიმნოგრაფიული კრებული „იადგარი“* (X საუკუნის რედაქციისა) 1r-4v.

ფრაგმენტი შეიცავს III-VI ხმათა საშაბათო დასდებლების ნაწყვეტებს. ფ.3, რომელზეც განმეორებულია IV ხმის დასაწყისი, ამ ხელნაწერისა არ აღმოჩნდა. ფ.4 სიმცირის გამო იდენტიფიცირებული არ არის. ამ დასდებელთა სრული კომპლექტი შეტანილია Sin.Geo.O.26 ხელნაწერში (სინური აღწერილობა, ტ.I, №26: VIII,3-6; გვ.91-92), აგრეთვე *მიქაელ მოდრეკილის* იადგარში, რომლის მიხედვით გამოქვეყნებულია (*გვაზარია*, ჰიმნები, ტ.II, გვ.525-536). ფრაგმენტი წარმოადგენს Sin.Geo.O.1 ხელნაწერის ნაწილს (შდრ.სინური აღწერილობა, ტ.I, №1:XIII, გვ.38).

Sin.Geo.N.74

იადგარი. X

7ფ; (2 სრული ფურცელი და 5 ფრაგმენტი); 16×14; ეტრატი; ძლიერ დაზიანებული; ზოგიერთ ფურცელზე, განსაკუთრებით მეოთხესა და მეხუთეზე, ტექსტის ამოკითხვა თითქმის შეუძლებელია; ასომთავრული; შავი მელანი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით; [X ს.].

შინაარსი: *ჰიმნოგრაფიული კრებული „იადგარი“* (უძველესი რედაქციისა) 1r-7v.

ფურცელთა ზომების, ხელისა და სხვა მონაცემების, აგრეთვე შედგენილობის მიხედვით, უნდა ეკუთვნოდეს Sin.Geo.O.41 ხელნაწერს ისევე, როგორც Sin.Geo.N.36. თავსდება თავბოლონაკლული Sin.Geo.O.41-ის ბოლო ნაწილში. შეიცავს ნაწყვეტებს დიდი შაბათის, ახალკვირის, ამალლების, ზატიკთა მეშვიდე შვიდეულის, მარტვილიისა და მარიამობის საგალობლებიდან და ფსალმუნებიდან. (შდრ. სინური აღწერილობა, ტ.I, გვ.153-156, უძველესი

იაღვარი, გვ.211-213, 224-227, 237-247, 250, 270). შეიცავს ზოგიერთ ისეთ საგალობელ ტექსტს, რომელიც გამოცემაში არ არის.

Sin.Geo.N.75

აპოკრიფული და ჰომილეტიკური ტექსტები. X

17ფ; ეტრატი; ფურცლები სხვადასხვა ზომისაა; (მაქსიმუმი 22×15, მინიმუმი 18×11); დაშლილი, დაფურცლული; დაზიანებული, ზოგიერთი ფურცელი დახეულია, ზოგი გახევებული; ფურცლებზე შემორჩენილია Ⴎ და Ⴎ რვეულების აღმნიშვნელი სათვალავი; ასომთავრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [X ს.].

შინაარსი: აპოკრიფული და ჰომილეტიკური ტექსტები 1r-17v.

ფრაგმენტის ყველა ნაწილის იდენტიფიკაცია ვერ მოხერხდა. შიგ ჩანს შემდეგი თხზულებები თუ მათი ფრაგმენტები:

1) იოანე დამასკელი, ღმრთისმშობლის შობის საკითხავი 1r-3v. ქართულად არსებობს ამ თხზულების სხვადასხვა თარგმანი, რომელთაგან ფრაგმენტი მიჰყვება ხელნ. S-3648-ში დაცულ ტექსტს; იგი კეკელიძის ეფთვიძის მთაწმიდლის თარგმანად მიაჩნია (კეკელიძე, ლიტერატურა, გვ.206).

2) იოანე მახარებელი, ღმრთისმშობლის გარდაცვალების საკითხავი 4r-6r. (თხზულება თავნაკლულია; შდრ. მგალობლიშვილი, მრავალთავი, გვ.415).

3) ფილიპე, თევდოსი ჰურიათა მთავრის აღსარება 9r-13v (შდრ. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, გვ.24).

Sin.Geo.N.76

პარაკლიტონი. XI

13 ფ; 16,5×12,3; ეტრატი, მოყვითალო ფერისა; დაფურცლული; ყველა ფურცელი მეტნაკლებად დაზიანებული; ფფ.1,4,11,12 საგრძნობი ნაწილი ამოჭმულია; ფფ.8-ისა და 13-ისა დარჩენილია მხოლოდ ზემო ნაწილი; 5r-ს ზემო აშიაზე და 6v-ს ქვემო აშიაზე დასმულია მერვე რვეულის თავ-ბოლოს აღმნიშვნელი Ⴎ; 7r-ს ზემო აშიაზე მეათე რვეულის დასაწყისის აღმნიშვნელი Ⴎ; ნუსხური; მელანი შავი და ყავისფერი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები სინგურით; განკვეთის ნიშნებად გამოყენებულია შავი და შედარებით მსხვილი წითელი წერტილები; [XI ს.].

შინაარსი: პარაკლიტონი 1r-13v.

ფრაგმენტი შეიცავს პარაკლიტონის XI საუკუნის პირველ ნახევარში შემუშავებული რედაქციის ტექსტს. მასში შედის: ა) მესამე-მერვე ხმათა საკვირაო დასდებელთა ნაწყვეტები 1r-7v; ბ) საცისკრო ალილუია-ფსალმუნებთან შესასრულებელი სამების ტროპარები რვა ხმაზე 8r-12v.

იგივე ტროპარები იხ. Sin.Geo.N.19 ხელნაწერში (51r-55r). იხ. აგრეთვე Sin.Geo.O.34 (147r, 195v) და პეტერბურგის ეროვნული ბიბლიოთეკის ბერძნული ფონდის ხელნაწერი Γρεχ.XI, 1rv (სინური აღწერილობა, ტ.I, №34: XXII, XXIV, გვ.126-127; №34 (დამატება): X, 1-2, გვ.136.), აგრეთვე Sin.Geo.O.17, 301r-303r (სინური აღწერილობა, ტ.II, №17:2, გვ.82); გ) **საკვირაო ოხითები** (შემორჩენილია 4 ხმისა) 12r-13v. პარაკლიტონის ამავე რედაქციას მიეკუთვნება Sin.Geo.O. Nos.3,13,17,21 ხელნაწერები (იხ. სინური აღწერილობა, ტ.II, გვ.58-96) და Sin.Geo.N.14,25,40.

12r-ზე იკითხება დაზიანებული ტექსტი **ანდერძისა**: „...[ა]ლიდენ სუ-ლით...და ...[თ...]ე სმთხელი (თეოდორე სამოთხელი), ამენ.“ იგივე პირი ნახსენებია Sin.Geo.O.4 და Sin.Geo.O.61 ხელნაწერთა მინაწერებში (სინური აღწერილობა, ტ.II, გვ.139,144,162).

Sin.Geo.N.77

იმრუსალიმური ლექციონარი. IX-X

2ფ; 15×14; ეტრატი, სინესტისაგან ალაგ-ალაგ ჩამავებული; ყუის მხარეს ფურცლები მოცვეთილია, რის გამოც ტექსტი ნაწილობრივ დაზიანებულია; ასომთავრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [IX-X სს.].

შინაარსი: **იერუსალიმური ლექციონარი** 1r-2v.

ფრაგმენტი შეიცავს ნაწყვეტებს იერუსალიმური ლექციონარის ვრცელი ვერსიიდან: ზატიკთა მეექვსე შაბათს დაწესებული ბრძის განკურნების დღესასწაულის საკითხავებსა (იოვ.Iკათ.3,11-15; 3.18; იოვ.9,1-11) და ალილუიას-ფსალმუნს (26,1). ეს დღესასწაული ლექციონარის გამოცემაში (Tarchnischvili, Lectionnaire) ხელნაწერთა დეფექტურობის გამო ასახული არ არის.

Sin.Geo.N.78

ღმრთისმშობლის საბალობელი. XI-XII

4ფ; 18,5×15; ეტრატი, ძალზე დაზიანებული, ფურცლები ამომწვარია, გაბმული ტექსტის წაკითხვა შეუძლებელია; ნუსხური; შავი მელანი; [XI-XII სს.].

შინაარსი: **ღმრთისმშობლის საბალობელი** 1r-4v.

Sin.Geo.N.79

იაკობის ჟამისწიგვა. X

6ფ; 11,5×9,8; ეტრატი; დალაქავებული, კიდებშემოჭმული; შემორჩენილია ერთი რვეულის ნაწილი; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [X ს.].

შინაარსი: იაკობის ჟამისწირვა 1r-6v.

იმავე ტიპისაა, როგორცაა *მ.თარხნიშვილის* გამოცემული გრაცის №2058/4 (*აკაგარლის* სინური კატალოგის №31; ნ.Цагарели, Каталог, с.68) ხელნაწერის ტექსტი. ნ. აგრეთვე Sin.Geo.N.26 აღწერილობა.

Sin.Geo.N.80

ჟამბო. XI

9ფ; დაახლ. 10,2×7,5; ეტრატი; ფურცლები დაზიანებულია და დაჭმუჭნილი; შეადგენს ხელნაწერის ერთ, რიგით პირველ რვეულს; ფ.5 გვიან არის ჩამატებული. 4v-ს ტექსტი გრძელდება 6r-ზე; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და დასაწყისები სინგურით; 1r და 5r დაუწერელია; [XI ს.].

შინაარსი: ჟამნი 1v-9v.

ხელნაწერი ასეა დასათაურებული: „ჟამნი დღისანი ბერძულნი, ვითა ილოცვენ ყოველნი ბერძენნი. ჟამი სამჟამისაჲ“. აქ შეცდომით არის მითითებული მესამე ჟამი, რადგან სათაურს მოსდევს პირველი ჟამის განგება შედეგითურთ. რედაქციულად ძალიან უახლოვდება კონსტანტინოპოლური ტრადიციის ჟამნის იმ ტექსტს, რომლის თარგმნა *გიორგი მთაწმიდელს* მიეწერება (შდრ. Jer.127, 17r-23v; *რ.ბლეიკის* აღწერილობაში მოცემულია მხოლოდ ტექნიკური აღწერილობა და სათაური (Blake, Jerusalem, IV, p.136), აგრეთვე Sin.Geo.O.88:3 (სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.197). ახასიათებს თავისებურებები: ფსალმუნთა ტექსტები მოცემულია მხოლოდ დასაწყისი და ბოლო მუხლებით; ტექსტი ზოგჯერ მიჰყვება ძველ რედაქციებს (შდრ. *შანიძე მ.* ფსალმუნნი); შეიცავს მეტ და განსხვავებულ საგალობელ ტექსტებს. 5v-ზე შავი მელნით დაწერილია 29-ე ფსალმუნის მუხლთა დასაწყისი სიტყვები.

Sin.Geo.N.81

იაკობის ჟამისწირვა. X

10ფ; 11×8,2; ეტრატი; დაშლილი, დაზიანებული; დალაქავებული, გახვეებული; შავი მელანი; ნუსხური; [X ს.].

შინაარსი: იაკობის ჟამისწირვა 1r-10v.

ფურცელთა სწორი თანმიმდევრობაა: 1,5,2,3,6,4,7-10. ტექსტი *მ.თარხნიშვილის* მიერ გამოცემული ტექსტის ტიპისაა (ნ. Sin.Geo.N.26).

Sin.Geo.N.82

ფსალმუნბო. XI-XII

18ფ; 10,5×6; ეტრატი; ძალზე დაზიანებული; გარეთა კიდე 1-8 ფურცლებისა დაზიანებულია, ამიტომ სტრიქონთა ბოლოები და დასაწყისები არ

იკითხება. ფურცლები (განსაკუთრებით ფფ.9-18) დაგლეჯილია; ფფ.16,17 მცირე ფრაგმენტებია; 9r-ზე ტექსტი გადასულია, ჩანს მხოლოდ ფსალმუნის ნომერი. ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [XI-XII სს.].

შინაარსი: **ფსალმუნი** 1r-18v.

ტექსტის დასაწყისია ფს.118,3; 7r-8v-ზე: ფს.119-126; 9r-18v: ფს.127-149 ფრაგმენტული სახით. ტექსტი წინარეათონურია (*შანიძე მ.*, ფსალმუნნი; *შანიძე მ.*, თარგმანები).

Sin.Geo.N.83

იაკობის ჟამისწირვა. X

2ფ; 16×14; ეტრატი; შემორჩენილი ფურცლები მეორე რვეულის დასაწყისი და ბოლო ფურცლებია, რასაც აჩვენებს რვეულობრივი სათვალავის აღმნიშვნელი 2 (2v); ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოები ასომთავრულით და სინგურით; [X ს.].

შინაარსი: **იაკობის ჟამისწირვა** 1r-2v.

ფრაგმენტი წარმოადგენს Sin.Geo.N.22-ის დასაწყის ნაწილს, შეესაბამება *მთარხნიშვილის* გამოცემისას – გრაცის №2058/4 (სინური №31 *ა.ცავარლის* კატალოგით; Цагарели, Каталог, с.68) ხელნაწერის მიხედვით. ნ. Tarchnischvili, Liturgiae, გვ.7, სტრ.4. ნ. აგრეთვე Sin.Geo.N.26 აღწერილობა.

Sin.Geo.N.84

პატერიკი. X-XI

7ფ; 15×10,5; ეტრატი; დაშლილი, დაფურცლული; ფურცლები დახეულია; პირველი ფურცელი პალიმფსესტია; ქვედა ტექსტი ქართულია, ნაწერია ასომთავრულით; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი; სათაურები ასომთავრულით, სინგურით; [X-XI სს.].

შინაარსი: **პატერიკი** 1r-7v.

ხელნაწერი შეიცავს პატერიკულ თხრობებს, რომლებშიც პიროვნება დასახელებული არ არის. 3r-ზე იკითხება სათაური: „თქემული იოანე *ოქროპირისა* მარხვისათჳს“. ხელის მიხედვით, შესაძლოა იყოს Sin.Geo.N.90 ხელნაწერის ნაწილი.

Sin.Geo.N.85

ფსალმუნი. XII-XIII

3ფ; 18,5×13,5; ეტრატი; დაშლილი; დალაქავებული; ნუსხური; საზედაო ასოები ასომთავრულით; შავი მელანი; [XII-XIII სს.].

შინაარსი: ფსალმუნი 118,75-118,100.

ტექსტი ძველი წინარეათონური რედაქციისაა (*შანიძე მზ.*, ფსალმუნნი; *შანიძე მზ.*, თარგმანები).

Sin.Geo.N.86

ლოცვები. XII-XIII

10ფ; 8,3×6,3; ეტრატი; ფურცლები გამუქებულია; ტექსტი დაუმთავრებელია; ნუსხური; შავი მელანი; 1r მელნით დასვრილი, ცუდად იკითხება; დასაწყისები ასომთავრულით და სინგურით; დაუწერელია 5v-10v; [XII-XIII სს.].

შინაარსი: ლოცვები 1v-5r.

Sin.Geo.N.87

იაღბარი. X ს. II ნახევარი

8ფ; დაზიანების გამო ფურცლები სხვადასხვა ზომისაა (8×8; 8,5×10,5; 6,5×7; და ა.შ.); ეტრატი, ძალიან თხელი და გამჭვირვალე; წვრილი ნუსხური; ყავისფერი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით, ასომთავრულით; [გადამწერი: *იოანე-ზოსიმე*; X ს. II ნახევარი].

შინაარსი: ჰიმნოგრაფიული კრებული „იაღბარი“ (Xს. რედაქციისა) 1r-8v.

შეიცავს ნაწყვეტებს *კონსტანტინე* მეფის ხსენებისათვის 22 იანვარს დაწესებული საგალობლებიდან 2r-3v. ემთხვევა Sin.Geo.O.59 და Sin.Geo.O.64 ხელნაწერთა შესაბამის საგალობლებს (შდრ.სინური აღწერილობა, ტ.I, №59:50, გვ.176; №64: II, 94, გვ.203-204). დანარჩენ ფურცელთა ტექსტის ამოკითხვა ვერ ხერხდება ძლიერი დაზიანების გამო; მხოლოდ პირველ ფურცელზეა დარჩენილი სინგურით დაწერილი კალენდარული მითითება: "[მა]ისსა იე ვარდობაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ" (შდრ.სინური აღწერილობა, ტ.I, №59: 49, გვ.176; №64: II,92, გვ.203-204). ფრაგმენტი დაწერილი ჩანს იოვანე-ზოსიმეს ხელით Xს. II ნახევარში (შდრ. Sin.Geo.O.34, სინური აღწერილობა, ტ.I, გვ.94).

Sin.Geo.N.88

იერუსალიმური ლექციონარი. X

2ფ; ეტრატი; პირველი ფურცლის ზომებია 33,5×28,5; ზემო აშია შემოცვეთილია, მარჯვენა აშის ქვემო ნაწილი მოჭრილია; გვერდზე 22 სტრიქონია; ნაწერია ორ სვეტად; მეორე ფურცელი წარმოადგენს მცირე ფრაგმენტს; ტექსტი შედარებით სრულად შემორჩენილია პირველი ფურცლის

ქვემო ნაწილში ოთხი სტრიქონის ფარგლებში და ნაწილობრივ ყუის მხარეს (მერვე-მეთვრამეტე სტრიქონებისა); მსხვილი ასომთავრული; შავი მელანი; დღესასწაულთა სათაურები, საკითხავთა და საგალობელთა დასახელებები და საზედაო ასოები სინგურით; თითქმის არ ახასიათებს დაქარაგმება; [X ს.].

შინაარსი: იერუსალიმური ლექციონარი 1r-2v.

ფრაგმენტში წარმოდგენილია იერუსალიმური ლექციონარის ვრცელი ვერსიის ნაწყვეტი. ფურცლები შეიცავს მარხვათა მესამე ოთხშაბათისა და ხუთშაბათის, მეხუთე პარასკევისა და შაბათის, მეექვსე კვირადღის საკითხავების ნაწყვეტებსა და ფსალმუნებს (შდრ. Tarchnischvili, *Lectonnaire*, Nos. 416, 418, 512, 514, 515, 520, 522). ფრაგმენტი გამოცემასთან შედარებით უჩვენებს განსხვავებებს.

Sin.Geo.N.89

სინური მრავალთავი (ზრახმენტი). 864

2ფ; 24,5×21; ეტრატი; ფურცლები ერთმანეთს მისდევს და წარმოადგენს რვეულის ბოლო ორ ფურცელს, რვეულის ბოლოს აჩვენებს ია (2v ქვედა აშიაზე); ასომთავრული; შავი მელანი; ორ სვეტად; სტრიქონთა რაოდენობა სვეტში 24; ფურცლები დაზიანებულია; პირველი ფურცლის პირველი სვეტი ზემოდან 6 სტრიქონის ფარგლებში მოხეულია; მეორე ფურცლის ქვემო აშია ნაწილობრივ მოხეულია, რის გამოც დაზიანებულია მინაწერი; მომგებელი და ხელნაწერის იმ ნაწილის გადამწერი, რომელსაც ეკუთვნის ფრაგმენტი: *მაკარი ლეთელელი* (2r); გადაწერის ადგილი: [საბაწმიდა; 864წ.]

შინაარსი: 1. კირილე იერუსალიმელი, ნათლისღებისათვის (ბოლო ნაწილი) 1rv.

2. ევსუქი იერუსალიმელი, მიგებებისათვის 1v-2v.

ფრაგმენტი წარმოადგენს ნაწყვეტს Sin.Geo.O.32-57-33 ხელნაწერისა, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ჰომილეტიკური კრებულია, ცნობილი *სინური მრავალთავის* სახელით. იგი გადაწერეს 864წ. *საბაწმიდის* ლავრაში და შეწირეს *სინაწმიდას*: „...მე, მაკარი ლეთელელი, ძმ გი ვრძელისად, ... ღირს-მყო ღმერთმან შესაქმედ წმიდისა ამის წიგნისა მრავალთავისა თანა-შეწევნითა ძმისა ჩუენისა სულიერად პიმენ კახისადთა და ჰელთ-წერითა დედის ძმისწულისა ჩემისა ამონა ვახთანგ მოძარღულისა ძისადთა... დაიწერა ესე წიგნი ივლშს, ლავრასა დიდსა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა საბადსსა, დღეთა ღმრთისმოყუარისა თევდოსი პატრეაქისათა და საბაწმიდას პატრიოსნისა და სანატრელისა სოლომონ მამასახლისისადთა... და დაიწერა წმიდად ესე წიგნი დასაბამითგან წელთა ხჯდმ, ქრონიკონი იყო ჯდ. და მე, გლახაკმან მაკარი, შევწირე წმიდად ესე მრავალთავი წმიდათ-წმიდასა მთასა სინასა...“ (Garitte, *Catalogue*, p.94; *შანიძე ა.*, *სინური მრავალთავი*,

გვ.280). ფრაგმენტი ავსებს დასახელებულ თხზულებათა ნაკლულ ტექსტს ხელნაწერის 84-85ფფ. შორის (დღევანდელი პაგინაციით).

კირილე იერუსალიმელის თხზულება ფრაგმენტში ასრულებს ჰომილიის ბოლონაკლულ ტექსტს. შდრ. სვანური (ანუ ტბეთის) მრავალთავი: A-19, 192r-194v (აღწერილობა A-I/1, გვ.68; Van Esbroeck, Homéliers, p.205. აქ ტექსტს აკლია შუა ნაწილი).

ევსუქი იერუსალიმელის ჰომილიის ავტორად *ჟ.გარიტის* აღწერილობაში ნავარაუდევია *ტიმოთე იერუსალიმელი* (Garitte, Catalogue, p.78). სინური მრავალთავის გამოცემაში ავტორის სახელი (*ევსუქი*) აღდგენილია უდაბნოს მრავალთავის (A-1109, IX-X სს.) მიხედვით (*შანიძე ა.*, სინური მრავალთავი, გვ.90). ჰომილიის ტექსტი ცალკე გამოსცა *ჟ.გარიტმა* ოთხი მრავალთავის მიხედვით; აქ ავტორად დასახელებულია *ევსუქი იერუსალიმელი* (Garitte, Hésychius, pp.361-372); Sin.Geo.N.89 ფრაგმენტის ტექსტი (1v-2v) სრულად ავსებს ამ ჰომილიის თავნაკლულ ტექსტს. სათაურში აღნიშნულია ავტორიც – *ევსუქი იერუსალიმელი*. ჰომილიის ტექსტი გამოქვეყნებულია აგრეთვე უდაბნოს მრავალთავის გამოცემაში (უდაბნოს მრავალთავი, გვ.116-119). *ევსუქის* ჰომილიის ქართულ თარგმანში შემონახული ტექსტი განსხვავებულია დღემდე მოღწეული ორივე ბერძნული ვერსიისაგან (Garitte, Hésychius, p.356).

2r-ს ქვემო აშიაზე, შემორჩენილია დაზიანებული **მინაწერი** ნუსხურით: „ამის წიგნისა დამწერელსა [ც]ოლ[ვილსა] მა[კა]რ[ი] ლეთეთელს მდღელმონ[აზონსა, შეუნდვენ ღმერთმან] ცოდვანი მისნი.“ მინაწერი ადასტურებს ვარაუდს, რომ *მაკარი ლეთეთელი* უნდა იყოს სინური მრავალთავის არა მხოლოდ მომგებელი, არამედ მისი დიდი ნაწილის გადამწერიც (A ხელი: 1r-55r, 70r-116v, 145r-160r, 202r-274r; იხ. *შანიძე ა.*, სინური მრავალთავი, გვ.299): Sin.Geo.N.89 ფრაგმენტის ფურცლები ერთ-ერთ ზემოდასახელებულ მონაკვეთში თავსდება.

Sin.Geo.N.90 პატერიკი. X-XI

38ფ. და 2 ძალიან პატარა ფრაგმენტი; 15,5×12; ეტრათი; უყდო; ძალზე დაზიანებული; ფფ.1-22-ზე შუაგული ამოჭმულია; ფფ.23-24-ზე ჩამოხეულია გარეთა აშია ტექსტის ნაწილითურთ; ფ.29-ზე: მოხეულია ზედა მხარე; ფფ.30-33 ამოჭმულია ზევით და ქვევით; ფფ.34-38 ფრაგმენტებია; ფურცლები ამჟამად სწორი თანმიმდევრობით არ არის დანომრილი; პალიმფსესტი, ქვედა ტექსტი ნაწერია ქართული ასომთავრულით; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [X-XI ს.].

შინაარსი: პატერიკი 1r-40v.

ხელნაწერში გამოვლენილ თხრობათა ნაწილი ანბანურ პატერიკს

განეკუთვნება; დასახელებულია მამები: *კარიონ* (სათაური: „მამისა *კარიონი-სთვს*“) 23r-24v; *მაკარი* (სათაური: [ცხორებად მამისა *მაკარ]ისი* დიდისად) 10v-16v; *მელი* 19v-22v; *სერაპიონ* 34rv, 36r-37v. ანბანური პატერიკების ტექსტი გამოქვეყნებულია სამი ხელნაწერის მიხედვით, მათ შორის ორი ძველი სინური კოლექციისა (Sin.Geo.O.8, XI ს., Sin.Geo.O.35, 907 წ. *საბაწმიდაში* გადაწერილი; Garitte, Catalogue, p.26,35. მეორე ხელნაწერის თარიღისათვის იხ. *დვალი, ჯღამაია, ფრაგმენტი*, გვ.72. გამოცემა: *დვალი, ნოველები*, II). ხელნაწერში თხრობები შინაარსეულად მიჰყვება გამოქვეყნებული მასალის შესაბამის ადგილებს, მაგრამ საკმაოდ განსხვავებულია ტექსტის მხრივ; ამიტომ შესაძლოა წარმოადგენდეს სხვა თარგმანს. ხელნაწერში არის თხრობები, რომლებიც გამოქვეყნებულ ტექსტში არ არის (*ამონ* 5r-6v, *ეფრემ* 17r-18v, *იონა* (?) 37v, *პავლე* 7r-8v, 10rv). ტექსტის ფრაგმენტულობის გამო, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა მისი გვარობის დადგენა. შესაძლოა ხელნაწერის ერთი ნაწილი სისტემატური კოლექციისა ყოფილიყო: 29rv და 26r შინაარსეულად შეესაბამება მისი III თავის („სინანულისათვის“) ერთ-ერთ ნაწილს (*დვალი, ნოველები*, I, გვ.40-41). ამ თხრობას მოსდევს სათაური: „სწავლანი წმიდათა მამათანი“ 26r. ხელნაწერის ტექსტის დანარჩენი ნაწილიც, რომლის ზუსტი იდენტიფიკაცია ჭირს, შინაარსის მიხედვით პატერიკისა არის.

Sin.Geo.N.91

ლოცვა. XI

3ფ; 17×13; ეტრატი; ძლიერ დაზიანებულია პირველი ფურცელი; ქვედა მარჯვენა კუთხე მოხეული აქვს დანარჩენ ორ ფურცელსაც; შემორჩენილია ძაფები, რომლებითაც შეკერილი იყო რვეული; ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოები ასომთავრულით; მთარგმნელის ანდერძის დასაწყისი სინგურით შესრულებული ასომთავრულით; **მთარგმნელი: ეფთვიძე** (3v); [XI ს.].

შინაარსი: **ლოცვა** 1r-3v.

ლოცვის ძალიანი ტექსტი გამოქვეყნებულია; ცენტრალური არქივის №321 ხელნაწერის ჩვენების მიხედვით, ავტორად მიჩნეულია *ეფთვიძე მთაწმიდელი* (*კეკელიძე*, ორიგინალური შრომა, გვ.11; ხელნაწერი—XIV ს-ისა). ფრაგმენტის ტექსტი ემთხვევა გამოცემის 16,26-17 გვერდებს. სხვა ქართულ ხელნაწერებში ავტო-რად დასახელებულია *ბასილი კესარიელი*, რომლის ავტორობა, ბერძნული წყაროების მიხედვით, საბოლოოდ დადგენილი არ არის (*ქაჯაია, ბასილი*, გვ.156). ანდერძის მიხედვით, შესაძლოა მთარგმნელი იყო *ეფთვიძე მთაწმიდელი*.

ანდერძი: „ვინცა ამას ლოცვასა იტყოდით, მეცა მომიჰსენეთ ცოდვილი *ეფთვზე* ამის მთარგმნელი. სახიერო ღმერთო, შემიწყალე [...]“ 3rv.

3v-ს მარცხენა აშიაზე წვრილი ნუსხურით, სინგურით ნაწერია ტექსტი, რომელშიც იკითხება „ვიორვი“.

Sin.Geo.N.92

ადგომელ ოქროპირის წერილი სინელ მამა ნიკოლოზისადმი. XV-XVI

1ფ; 20×14; ეტრატი; შუაში ნაწილობრივ ამოხეული; ნუსხური; შავი მელანი; ბოლოში ხელმოწერის მაგიერ დასმული აქვს ჯვრები; v-ზე ბერძნული ტექსტი, ქართული (ნუსხური) ასოებით ნაწერი; [XV-XVI სს.].

შინაარსი: იერუსალიმის ადგომის ეკლესიის მღვდლის ოქროპირის წერილი [სინელ] მამა ნიკოლოზისადმი 1rv.

ადგომელი ოქროპირი მამა ნიკოლოზს პატიებას სთხოვს მცირე ძღვნი-სათვის და უხსნის, რომ ადგომის ეკლესია დიდად შეჭირვებულია, ვინაიდან მას ვეღარ პატრონობენ საქართველოს მეფეები და კათალიკოსი.

ტექსტის ადრესატი ნიკოლოზ შესაძლოა იყოს XV-XVI ს. ერთ-ერთ წერილში ნახსენები პირი (ბერძნული, ეპისტოლენი, გვ.26, 111).

Sin.Geo.N.93

უცნობი ხელნაწერის ანდერძები. X

1ფ; 10×7,5; ეტრატი; ფურცლის წინა მხარე – ნუსხური და ასომთავრული; უკანა – წერილი ასომთავრული; შავი მელანი; [X ს.].

შინაარსი: უცნობი ხელნაწერის ანდერძები 1rv.

პირველი ანდერძის ბოლო ნაწილია: „დაიწერა წმიდად ესე წიგნი ლავრასა შინა წმიდისა ხარიტონისა პალავრას“. პირველი ანდერძისაგან ხაზითაა გამოყოფილი ასომთავრულით ნაწერი მეორე ანდერძი: „ლოცვა [ყავთ...] თევდორეს და მისთა მშობელთა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“ 1rv. თევდორე [პალავრელის] დავალებით არის გადაწერილი Sin.Geo.O.40 (სინური აღწერილობა, ტ.1, გვ.152).

Sin.Geo.N.94

პირილე სკვითოპოლელი, წმ. ეფთვიმის ცხოვრება. X

2ფ; 12,5×16; ეტრატი; ფურცლების ქვედა ნაწილი მოხეულია; ფ.2. წარმოადგენს მეორე რვეულის დასაწყისს; ასომთავრული; შავი მელანი; [X ს.].

შინაარსი: კირილე სკვითოპოლელი, წმ. ეფთვიმის ცხოვრება 1r-2v.

ფურცლები ნაწილია Sin.Geo.O.43 ხელნაწერისა. ფრაგმენტი ნაწილობრივ ავსებს დანაკლისს ხელნაწერის თავში, რომელსაც აკლია პირველი ორი რვეული. (Garitte, Catalogue, p.159).

Sin.Geo.N.95

იაღვარი. X (987 წ. შემდეგ)

8ფ; 31×26; დაზიანების გამო მეორე, მესამე, მეოთხე და მეექვსე ფურცლებს არ შემორჩა თავდაპირველი ზომები. 5r-ზე რვეულის სათვალავის აღმნიშვნელი ე; 7v არის ლა რვეულის ბოლო ფურცელი; ეტრატი; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები, ბერძნულ ძლისპირთა ქართული ტრანსლიტერაციები და საზედაო ასოები ასომთავრულით, სინგურით; [გადამწერი: *იოვანე ხუცესმონაზონი*; მომგებელი: *კვირიკე მიძნადორელი*; გადაწერის ადგილი: *სინაწმიდა*; X ს. 987 წ. შემდეგ].

შინაარსი: *ჰიმნოგრაფიული კრებული „იაღვარი“* (X საუკუნის რედაქციისა) 1r-8v.

ფრაგმენტი წარმოადგენს ნაწყვეტს Sin.Geo.O.64 ხელნაწერიდან. მასში შედის:

1. *ნაწყვეტები იაღვრის ძლისპირთა კრებულიდან*: II ხმის ჰიმნოგრაფიული კანონის V-IX გალობათა და VIII ხმის VII-IX გალობათა ძლისპირები და ღმრთისმშობლისები 1r-5v. მიეკუთვნება ქართული OdO წყობის ძლისპირთა კრებულის უძველეს რედაქციას (იხ. *მეტრეველი*, ძლისპირნი). ძლისპირთა ტექსტებს უძღვის ბერძნული შესატყვისების დასაწყისები ქართული ტრანსლიტერაციით.

2. *წმინდა პროკოპის* (8 ივლ.), *წმინდა სვიმეონის დედის—მართას* (11 ივლ.), *გაბრიელ მთავარანგელოზის* (13 ივლ.) *ხსენებათა საგალობლები* (სტიქარონები და კანონი) 6r-7v. საგალობლები მეტწილად ფრაგმენტულადაა მოღწეული. მათი სრული ტექსტები დაცულია Sin.Geo.O.59 ხელნაწერში (იხ. *სინური აღწერილობა*, ტ.I, №59:66,67,68, გვ.179), რომელიც Sin.Geo.O.64-ის ერთ-ერთ წყაროდ არის მიჩნეული (*ინვოროვკა*, თხზულებანი, ტ.III, გვ.541).

ფრაგმენტის 1-5 ფფ. ნაწილობრივ ავსებს Sin.Geo.O.64-ის დანაკლისს ხელნაწერის დასაწყისში პირველი ფურცლის წინ, ფფ.6-7 კი — ხელნაწერის ბოლოში 207-ე ფურცლის შემდეგ (შდრ. *სინური აღწერილობა*, ტ.I, №64, გვ.187-207). 8rv-ს ტექსტის იდენტიფიცირება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, ამიტომ ხელნაწერში მისი ადგილი გაურკვეველია.

აღწერილობაში გადამწერისა და მომგებლის ვინაობა, აგრეთვე გადაწერის ადგილი და თარიღი მითითებულია Sin.Geo.N.2 ხელნაწერის ანდერძთა მიხედვით. Sin.Geo.N.2 ნაწილია Sin.Geo.O.65 ხელნაწერისა, ხოლო Sin.Geo.O.64 და Sin.Geo.O.65 ერთი და იმავე იაღვრის პირველ და მეორე წიგნებს წარმოადგენენ.

Sin.Geo.N.96

იაღბარი. X

1ფ; 16,2×14,2; ეტრატი; ასომთავრული; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; გვერდზე 15 სტრიქონია; ფურცლის წინა მხარეს ზემო აშიაზე არის მეოთხე რვეულის დასაწყისის მაჩვენებელი დ; [X ს.].

შინაარსი: **ჰიმნოგრაფიული კრებული „იადგარი“** (უძველესი რედაქციისა) 1rv.

შეიცავს ოქტოიხოსის I-II ხმების საგალობლებს. მისდევს გამოქვეყნებულ ტექსტს (მდრ. უძველესი იადგარი, გვ.384). შეიცავს დამატებით „სიწმიდისადს“ უცნობ ტექსტს.

Sin.Geo.N.97

იაღბარი. X

8გ; ძლიერ დაზიანებულია, რის გამოც ფურცელთა ზომები სხვადასხვაა: 14,3×13,4; 10,5×10,5; 10×7; 14,3×11,5; 10,3×7,3; 14×11,2; 14×13; 6,5×11,3; ტექსტი მეტწილად დაზიანებულია ან მოხუელი; ეტრატი ძალიან თხელი, გაყვითლებული; პირველი ფურცლის recto-ს ზედა აშიასა და მეოთხე ფურცლის verso-ს ქვედა აშიაზე რვეულობრივი სათვალავის აღმნიშვნელი ა. ტექსტი მეტწილად ფრაგმენტულია, რადგან ფურცლები ერთმანეთს არ მისდევს. ყველა ფურცელი პალიმფსესტია, ქვედა ტექსტი ბერძნულია; ნუსხური, ულაზათო ხელი; შავი მელანი; სათაურები და გალობათა სახელწოდებები სინგურით; [X ს.].

შინაარსი: **ჰიმნოგრაფიული კრებული „იადგარი“** (X ს. რედაქციისა) 1r-8v.

ფრაგმენტი შეიცავს პირველი, მეორე და მეოთხე ხმების ძლისპირებსა და ღვთისმშობლისებს, რომლებიც ქართული ირმოლოგიონის უძველეს ფენას მიეკუთვნებიან (მდრ. *მეტრეველი*, ძლისპირნი №3,10,17,24,31,45,53,62,70,76,190,194,214,180,191,198,208,219). შეიძლება იყოს ნაწყვეტი Sin.Geo.O.49 ხელნაწერისა, რომელიც X საუკუნის რედაქციის იადგარია.

Sin.Geo.N.98

იოანე ოქროპირი, სწავლა ღმრთის შიშისა და სინანულისათვის. X

10ფ; ეტრატი; 17×14; პირველი ოთხი ფურცლის ქვედა ნახევარი გამოჭმულია; შავი მელანი; ნუსხური, საზედაო ასოები ასომთავრულით; [X ს.]

შინაარსი: იოანე ოქროპირი, სწავლა ღმრთის შიშისა და სინანულისათვის 1r-10v.

ტექსტი თავბოლონაკლულია, აკლია აგრეთვე მეოთხე და მეხუთე ფურცლებს შუა (დაახლოებით 2ფ); ტექსტი მიჰყვება S-1139 ხელნაწერს (აღწ.S-II, გვ.32). ტექსტის გამოცემა: აბულაძე, სწავლანი, (მდრ.გვ.3-12); (გამოცემაში დაზუსტებულია S-1139 ხელნაწერის თარიღი: 943 წლამდე, ნ. გვ.VII).

შედარებით გვიანდელი ხელით, ასომთავრულნარევი ნუსხურით: „წმიდაო იოანე, შეიწყალე დავით“ 5v.

Sin.Geo.N.99

პატერიკული თხრობა. XII

1ფ; ეტრატი; ნუსხური; [XII ს.].

შინაარსი: პატერიკული თხრობა 1rv.

ხელნაწერის ტექსტის დადგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ფრაგმენტი აღწერილია ფოტოს მიხედვით.

ქალაღდის ხელნაწერები

Sin.Geo.N. 1p

იოანე სინელი, კლემაქსი. XII-XIII

126ფ; 15×18; ქალაღდი; სქელი ფიცრის ტყავადაკრული ყდა; დამლილი, ძალზე დაზიანებული; ფურცლები ამოჭმულია; თავბოლონაკლული, აკლია შიგნითაც; პირველი რვა ფურცლისა დარჩენილია მხოლოდ მცირე ნაწილები ყუის მხარეს; 9-15 და 122-126 ფურცლებზე იკითხება მხოლოდ თითო-ოროლა სიტყვა, 16-66 ფურცლებზე გაბმული ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელია; ნუსხური; ყავისფერი მელანი, სათაურები გამოყვანილია სინგურით, რომელიც უმეტეს შემთხვევებში გადასულია; გადამწერი: *ონოფრე* (119v); [XII-XIII სს.].

შინაარსი: იოანე სინელი, კლემაქსი 9r-126v.

ხელნაწერში შესაძლებელია შემდეგი თავების ტექსტის ნაწილობრივი ამოკითხვა: 11,15,17-20,22-24,26-30,37-39.

ხელნაწერი შეიცავს *ევთვიმი მთაწმიდლის* მიერ ნათარგმნ ტექსტს. (გამოცემა: *იოანე სინელი*, კლემაქსი). Sin.Geo.O.35 ხელნაწერში შემონახულია ამ თხზულების ძველი თარგმანი (*კეკელიძე*, ავტორები, გვ.65), რომელიც შემოკლებულია და 30 თავს შეიცავს (Garitte, Catalogue, p.115).

ანდერძი (გადამწერისა): „[...] შეიწყალე *ონოფრე*“ 119r (სინგურით).

Sin.Geo.N.2p

ფსალმუნო. XII-XIII

135ფ; 19×12; ქალაღდი; ბოლონაკლული, აკლია შიგნითაც; შემორჩენილია ზოგიერთი რვეულის დასაწყისის აღნიშვნები (გ~თ, ია, იღ, კღ); ტყავადაკრული ხის ყდა რკინის ჩასაკეპით; შემორჩენილია მხოლოდ ზედა ფრთა და ყუა; ყდაზე დაკრული ყოფილა X საუკუნის მრგვლოვანით ნაწერი ეტრატის ფურცლის ნაწილი, რომელიც ამჟამად მოცილებულია; ქალაღდი ძლიერაა დაზიანებული და დალაქავებული; კიდეები შემოცვეთილია; ზოგიერთ ფურცელზე გასამაგრებლად დაწებებულია პერგამენტის ნაჭრები, ზოგან კი XVI ს. მხედრულით ნაწერი ქალაღდის ნაკუწები (მეტწილად ქვედა აშიაზე); აქა-იქ დაწებებულ ქალაღდებზე იკითხება არაბული ტექსტის ფრაგმენტები; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და ზოგიერთ მუხლთა დასაწყისი საზედაო ასოები სინგურით; [XII-XIII სს.].

შინაარსი: ფსალმუნი 1r-135v.

ხელნაწერში შემორჩენილია ტექსტის შემდეგი ნაწილები: ფს.1,1-43,25 (ფფ.1-68); 46,10-48,17 (ფფ.69-71); 49,18-54,20 (ფფ.72-78); 56სათ.-65,13 (ფფ.79-90); 67,19-70,22 (ფფ.91-98); 71,10-73,23 (ფფ.99-104); 74,1-74,11 (ფ.105); 76,13-77,1 (ფ.106); 77,11-77,44 (ფფ.107-109); 78,12-79,9 (ფ.110); 84,7-85,5 (ფ.111); 88,17-88,28 (ფ.112); 92,5-93,21 (ფფ.113,114); 105,8-105,19 (ფ.115); 106,17-106,29 (ფ.116); 106,42-111,6 (ფფ.117-122); 114,1-118,5 (ფფ.123-126); 118,37-118,45 (ფ.127); 118,152-127,6 (ფფ.128-134); 134,15-135,9 (ფ.135).

ტექსტი გიორგი მთაწმიდლის რედაქციისაა (შანიძე მ., ფსალმუნნი; შანიძე მ., თარგმანები).

Sin.Geo.N.3p

ლიტურგიკული, ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური
ტიქსტები. XII-XIII

70ფ; 16,7×12,5; ქალაღდი; ხის ტყავგადაკრული ყდა; შემორჩენილია ყდის ქვეღა ფრთა ტყავის შესაკრავებით და ყუა; თავბოლონაკლული, აკლია შიგნითაც; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურიტ; [XII-XIII სს.].

შინაარსი: ლიტურგიკული, ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური კრებული 1r-70v. კრებულში შეღის:

1. წმ.ეკატერინესადმი მიძღვნილი საგალობლები 1r-5r.
2. ათანასე მალემწერალი, წმ.ეკატერინეს წამება 5r-59r.

თხზულება კიმენური რედაქციისაა. იგივე ტექსტი შემონახულია სინური ძველი კოლექციის სამ ხელნაწერში: Sin.Geo.O.6, 981 წ., Sin.Geo.O.71, XIII ს., Sin.Geo.O.91, XIV ს. თხზულებას ხელნაწერში ამთავრებს (ისევე, როგორც ხსენებულ სინურ ნუსხებში) ავტორის ცნობა: „ესე მე, ათანასე მალემწერალმან, მონამან წმიღისა ეკატერინესმან, აღწერე მოსაცსენებლად წმიღისა მის ყოვლითა მოსწრაფებითა“ 59v. (შღრ.Garitte, Catalogue, pp.19,223,269).

3. იოანე ოქროპირი, სათნოებისათვის 59v-70v.

ტექსტი ბოლონაკლულია.

შინაწერი: „წმიღო ეკატერინე, მეოხ გვეყავ წინაშე ქრისტესა მე და ყოველთა სულიერთა ძმათა ჩემთა ღღესა მას განკითხვისასა“ 59r.

Sin.Geo.N.4p

მარინას წამება. XII-XIII

35+1ფ; 14×12; ქალაღდი; ყდა ქსოვილზე დაკრული ტყავისა; ყდის ზეღა ფრთის შიგნითა მხარეზე დაწებებულია ქალაღდი წმ.მარინასა და წმ.ბარბარეს გამოსახულებებით; გვერღით-მამაკაციის სურათი, რომელთანაც

იკითხება: ბასილი (?); წმინდანთა სახელები გამოყვანილია მოწითალო მელნით; ყდის საცავ დაუნომრავ ფურცელზე მქრქალი მელნით მიწერილია სხვადასხვა სახელი; ნუსხური; მოყავისფრო მელანი; სათაური და მთავრულით გამოყვანილი ზოგიერთი საზედაო ასო სინგურით; [XII-XIII სს.].

შინაარსი: **წმ.მარინას წამება** 1r-35v.

1r-ზე სათაურთან აღნიშნულია წმინდანის ხსენების დღე—17 ივლისი. ტექსტი დასაწყისის მიხედვით უახლოვდება ტექსტს, რომელიც დაცულია Sin.Geo.O.62 ხელნაწერში (Garitte, Catalogue, p.203).

ანდერძები (გადამწერის ხელით): „წმიდაო მარინა, შეიწყალე სასოებით [მლოცვე]ლი და მვედრებელი შენი მმ^ახა.“ „შე მ^ახა“ გამეორებულია ხვეულწერილად იმავე გვერდზე. „ამბაკონს შეუნდვენ ღმერთმან“ 35r.

34v-ზე აშიაზე ჩამოწერილია ქართული ანბანი.

Sin.Geo.N.5p

დაუღბენელი შინაარსის ფრაგმენტი. XI

1ფ; 11,5×9; ქალაქი; ფრაგმენტი დაკრულია ტყავის ცარიელი ყდის ზედა ფრთის შიდა მხარეზე; უკანა ყდაზე დაკრულია ქალაქი არაბულად ნაწერი ტექსტით; ნუსხური; შავი მელანი; [XI ს.].

შინაარსი: **დაუღბენელია** 1rv.

ტექსტი თხრობითი ხასიათისაა. შიგ ნახსენებია *კალინიკოზ ხუცესი*.

Sin.Geo.N.6p

ჰომილეტიკური კრებული. XII-XIII

29ფ; ქალაქი; თავდაპირველი ზომა 35×22; ამჟამად ფურცელთა ზომა სხვადასხვაა; ძალზე დაზიანებული; ფურცლები დახეულია და ამოჭმული; დაზიანების გამო გაბმული ტექსტის ამოკითხვა თითქმის შეუძლებელია; სამი ფურცლის გარდა, ფურცლები ერთმანეთს არ მისდევს; 18r ფურცელზე შემორჩენილია სათაურის ნაშთი, რომელიც აჩვენებს, რომ იგი რიგით 37-ე ყოფილა; ნუსხური; შავი მელანი; [XII-XIII სს.].

შინაარსი: **ჰომილეტიკური კრებული** 1r-29v.

ტექსტების იდენტიფიკაცია ხელნაწერის დაზიანების გამო ჭირს. პირობითად, შინაარსის მიხედვით შეიძლება გამოიყოს: ა) საკითხავი ღვთისმშობლის სამოსელ-სარტყლის გამოჩინების შესახებ (3r); ბ) ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების საკითხავი (11r); გ) იოანე დამასკელი. ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების საკითხავი (11r-20v); დ) საკითხავი ჯვრის შესახებ (21r-27v); ე) საკითხავი იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის შესახებ (28r-29v).

Sin.Geo.N.7p

ბრიტოლ ნოსელი, ეფრემ ასურის შესხმა. XIII

3ფ; 35×26; ქალღი; დაშლილი ცალცალკე ფურცლებად, მეორე ფურცელი კბ რვეულის ბოლოა; ფფ.2-3 ძალზეა დაზიანებული; ნუსხური; შავი მელანი; [XIII ს.].

შინაარსი: **გრიგოლ ნოსელი, ეფრემ ასურის შესხმა 1rv.**

უძველესი ნუსხა, რომელშიც გვხვდება თხზულების ტექსტი, არის Ath.49 (XI ს., 44r-50r), რომელიც *გიორგი მთაწმიდლის* ავტოგრაფია და ძირითადად შეიცავს *გრიგოლ ნოსელის* თხზულებებს, თარგმნილს *გიორგის* მიერ შდრ. Blake, Iviron, III, p.241, სადაც გვერდების სათვალავი (45r-51r) მცდარია. ნ. *აგრეთვე კეკელიძე*, ავტორები, გვ.28, სადაც ეს ნუსხა სულ არ არის მითითებული თხზულების შემცველ ხელნაწერთა შორის.

ფრაგმენტის შესაბამისი ტექსტი PG-ში: vol.46, col.825.

დანარჩენი ორი ფურცლის ტექსტი დასადგენია.

Sin.Geo.N.8p

საწინასწარმეტყველო. XII-XIII

40ფ; 26×19; ქალღი; თავბოლონაკლული, აკლია შიგნითაც; დაშლილი, დაზიანებულია ფფ. 1-7,16. ფფ.17-40, რომლებიც გაქვავებული აღმოჩნდა და შემდგომ დაიშალა, იმდენადაა დაზიანებული, რომ ტექსტის დიდი ნაწილი დაკარგულია; ზოგიერთი ფურცლისათვის ძველადვე გაუკეთებით რესტავრაცია ბერძნულად და არაბულად ნაწერი ფურცლების ნაჭრებით; რვეულობრივი სათვალავის მიხედვით, დასაწყისში შემორჩენილია 7 და 7 რვეულები; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები ასომთავრულით, სინგურით; [XII-XIII სს.].

შინაარსი: **საწინასწარმეტყველო 1r-40v.**

ხელნაწერში შემორჩენილია 23 სექტემბრის, 8, 21 ნოემბრის, 25 დეკემბრის, მარხვის პირველი შვიდეულის ოთხშაბათ-პარასკევის, დიდი შაბათის მწუხრის, ამადლების, ნიკიელ მამათა ხსენებისა და მარტვილიის წინადღის საკითხავები, მეტწილად ნაკლული სახით.

ტექსტი წარმოადგენს ბერძნული კონსტანტინოპოლური საწინასწარმეტყველოს თარგმანს, რომელიც *გიორგი მთაწმიდელმა* შეასრულა XI ს. შუა წლებში. ძეგლის სრული ტექსტი დაცულია Ath.35 (XII-XIII სს.) ხელნაწერში (99r-261v), რომლის შედგენილობაში *რ.ბლეიკს* აღნიშნული აქვს მხოლოდ საკითხავები სამოციქულოდან. შდრ. (Blake, Iviron, III, p.225). ხელნაწერი საკითხავების გარდა შეიცავს ტროპარებსა და ფსალმუნებსაც.

Sin.Geo.N.9p

**გერმანე კონსტანტინოპოლელი, მიქაელ მთავარანგელოზის
სასწაულნი. XII-XIII**

4ფ; 28×21; ქალაქი; ძლიერ დაზიანებული; ფურცლების ქვედა ნაწილი მოხეულია, ზედა ამოჭმული; ხელნაწერის გასამაგრებლად გამოუყენებიათ ქართულად ნაწერი ფურცლების ნაგლეჯები; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [XII-XIII სს.].

შინაარსი: **გერმანე კონსტანტინოპოლელი, მიქაელ მთავარანგელოზის სასწაულნი 1r-4v.**

თხზულება იწყება პირველ ფურცელზე; წარმოდგენილია თხზულების სათაურიც.

ტექსტი შემონახულია აგრეთვე Sin.Geo.O.68 ხელნაწერში (XII ს. Garitte, Catalogue, p.210). თარგმნილია *ეფთვიძი მთაწმიდლის მიერ (კეკელიძე, ავტორები, გვ.23)*. სინური ტექსტის ნაწილი გამოქვეყნებულია (Mapp, Описание, с.178-181). თხზულების ავტორად ორივე სინურ ხელნაწერში (Sin.Geo.O.68 და Sin.Geo.N.9p) დასახელებულია *გერმანე კონსტანტინოპოლელი*; ასევე XI ს. A-1103 ხელნაწერში (აღწერილობა A-IV, გვ. 80). A-128 (XII-XIII სს.) ხელნაწერში ავტორად დასახელებულია *პანტელეიმონ დიაკონი* (აღწერილობა A-I/2, გვ.124).

ხელნაწერის გასამაგრებლად გამოყენებულ ნაგლეჯებზე ორი სხვადასხვა ნუსხური ხელია. ერთი მათგანი ანდერძის ნაშთი შეიძლება იყოს. მასზე ირჩევა სიტყვები: „კლარჯეთი“ და „მამაჲ“.

Sin.Geo.N.10p

ანდრია კრიტიელი, დიდი კანონი. XII-XIII

7ფ; 24×17; ქალაქი, ძალიან დაზიანებული, განსაკუთრებით ზედა მხარე; ფფ.2,5,7 რესტავრირებულია; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და მუხლთა დასაწყისები სინგურით; [XII-XIII სს.].

შინაარსი: **ანდრია კრიტიელი, დიდი კანონი 1r-7v.**

კანონი, რომელიც ფრაგმენტულად არის მოღწეული, თარგმნილია *არსენ იყალთოელის* მიერ და შედის მარხვანის *გიორგი მთაწმიდლის* შემდგომ რედაქციაში. არსენისეული თარგმანი გამოქვეყნებულია (*ყაუხჩიშვილი, ისტორია, III, გვ.285-289*). სრულდება დიდმარხვის მეხუთე ხუთშაბათს. ფრაგმენტში 1rv-ზე შემორჩენილია ამავე დღის თავნაკლული საგალობელი უფალო ღაღადყავსა.

Sin.Geo.N.11p

კირილე სკვითოპოლელი, წმ.ეფთვიმის ცხოვრება. XII

7ფ; 22×14,5; ქალაღდი; ფფ.1-2 დაზიანებულია: გამოჭმულია მარჯვენა მხარე. პირველი ფურცელი პირველი რვეულის ბოლოა (1v-ზე არის აღნიშვნა ა), მეორე ფურცელი კი - მეექვსისა (ვ-2v). ნუსხური; შავი მელანი; [XII ს.].

შინაარსი: **კირილე სკვითოპოლელი, ეფთვიმი პალესტინელის ცხოვრება** 1r-7v.

ხელნაწერი შეიცავს თხზულების კიმენური ტექსტის (*კეკელიძე*, ავტორები, გვ.125) ნაწყვეტებს. იგივე თხზულება შემონახულია X საუკუნის Sin.Geo.O.43 ხელნაწერში (Garitte, Catalogue, p.159), რომელიც თავნაკლულია, მას აკლია Sin.Geo.N.11p ხელნაწერის პირველი ფურცლის შესაბამისი ტექსტი; ფ.2: Sin.Geo.O.43, 24v-26r; ფ.3: 48v-50v; ფ.4: 62v-67r; ფ.5: 75v-77r; ფ.6: 92v-95v. ფრაგმენტი მისდევს Sin.Geo.O.43 ხელნაწერის ტექსტს.

Sin.Geo.N.12p

ნიკოლოზ მირონლუკიელის ცხოვრება. XII

3ფ; 26,5×17,5; ქალაღდი, ძლიერ დაზიანებული; პირველ ფურცელს მოხეული აქვს თავი, დანარჩენებს - თავიც და ბოლოც; ფურცლები ცალცალკეა, ტექსტი გაბმული არ არის; ნუსხური; შავი მელანი; [XII ს.].

შინაარსი: **ნიკოლოზ მირონლუკიელის ცხოვრება** 1r-3v.

ტექსტი მისდევს *ეფთვიმი მთაწმიდლის* თარგმანს (A-1103: აღწერილობა A/IV, გვ.80).

Sin.Geo.N.13p

ასკეტიკური თხზულება. XII-XIII

2ფ; 22×16; ქალაღდი; ნუსხური; შავი მელანი; ასომთავრულით ნაწერ საზედაო ასოთა ნაწილი სინგურით; [XII-XIII სს.].

შინაარსი: **ასკეტიკური თხზულება** 1r-2v.

ფ.1 წარმოადგენს თხრობას, რომელშიც ნახსენებია მამა *იოვანე*. ფ.2 ასკეტიკური ხასიათის შეგონებებს შეიცავს.

Sin.Geo.N.14p

სახარების საკითხავები. XI-XII

10ფ; 19,5(20)×13; ქალაღდი; ფურცლები დალაქავებულია და დაზიანებული; გვერდის აშეები თითქმის მთლიანად შემოცვეთილია; რესტავრირებულია

ძველად; რესტავრაციის შედეგად დაფარული ტექსტი აღდგენილია (ფფ.1-7,10 verso-ზე, ფ.8 ორივე მხარეზე, ფ.9 – r-ზე). ფ.6 პირველი რვეულის ბოლო ფურცელია (ა 6v-ზე), ფ.7 მეორე რვეულის დასაწყისი ფურცელია (ბ 7r-ზე). პირველი 9 ფურცელი გაბმით მიჰყვება ერთმანეთს (ფფ.1-6 პირველი რვეულისაა, ფფ.7-9 კი მეორისა); ფ.10, ტექსტის მიხედვით, მეორე ან მესამე რვეულისა უნდა იყოს; ნუსხური; შავი მელანი, სათაურები ასომთავრულითა და სინგურით; [XI-XII სს.].

შინაარსი: **სახარების საკითხავები** 1r-10v.

ფრაგმენტი უნდა წარმოადგენდეს დასაწყის ნაწილს Sin.Geo.O.74 ხელნაწერისა, რომელიც თავნაკლულია და შეიცავს სახარების საკითხავთა კრებულს მთელი წლისათვის ბიზანტიური პრაქტიკის მიხედვით; თარგმანი შესრულებულია გიორგი მთაწმიდლის მიერ XI ს. შუა წლებში (მდრ.სინური აღწერილობა, ტ.III, №74, გვ.107-130). ფრაგმენტის ბოლო საკითხავი აღვსებიდან მეოთხე კვირადღისაა, ხოლო Sin.Geo.O.74 ამჟამად იწყება მეოთხე შვიდეულის ოთხშაბათის საკითხავის თავნაკლული ტექსტით (ნ. იქვე, №74: I, შნშ. ა, გვ.107). ფრაგმენტი შეიცავს აღვსებიდან პირველი შვიდეულის ორშაბათ-შაბათის, მეორე შვიდეულის ყველა დღის, მესამე კვირადღის, მესამე შაბათისა და მეოთხე კვირადღის საკითხავებს.

Sin.Geo.O.74 შეისწავლა და გამოსცა *ჟგარიტმა* (Garitte, *Lectonnaire*).

Sin.Geo.N.15p ქა860. XIII-XIV

8ფ; 22×15; ქალაქი; ჭვირნიშნები: ხელის მტევანი გვირგვინით შუათითზე (ფფ.3,4) და მაკრატელი (ფფ.6,7). ფურცლები, ზოგან დაზიანებული, ერთმანეთს მიყოლებით მისდევს; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები და საზედაო ასოები სინგურით; [XIII-XIV სს.].

შინაარსი: **ჟამნი** 1r-8v.

ფრაგმენტში შემორჩენილია სერობის ჟამის განგება (თავნაკლული), დიდი სერობა სრულად და *იოსებ გამომთქმელის* შუაღამის განგების დასაწყისი ნაწილი. რედაქციულად მისდევს Jer.127 ხელნაწერს, რომელიც გიორგი მთაწმიდლის მიერ XI ს.-ში ბერძნულიდან თარგმნილი ჟამნის ადრეულ (XII-XIII სს.) ნუსხად არის მიჩნეული (*კახაბრიშვილი*, ჟამნი). ამავე რედაქციისაა Sin.Geo.O.88 (სინური აღწერილობა, ტ.III, №88:II, გვ.197), Sin.Geo.N.52, Sin.Geo.N.61, Sin.Geo.N.80 და Sin.Geo.N.29p.

Sin.Geo.N.16p

**საწელიწდო დღესასწაულების სტიქარონ-წარდგომათა
პრეზუმი. XII-XIII**

44ფ; 21,5×12,5; ქაღალდი; უყლო, დაშლილი, ძალზე დაზიანებული; ფურცლები დახეულია, ამოჭმული და დალაქავებული; დღევანდელი სახე მიიღო გაქვავებული ხელნაწერის დაშლის შემდეგ. ბოლონაკლული, აკლია შუაშიც; ხელნაწერის ფურცლის 4 ნაკუწი ცალკეა კონვერტში. ცალკეა აგრეთვე ადრეული რესტავრაციისათვის გამოყენებული სხვადასხვა ხელნაწერის (მათ შორის ერთი ბერძნულის) ნაკუწები. უწიგნურად ნაწერი; ასომთავრული; შავი მელანი; სათაურები სინგურით; [XII-XIII სს.].

შინაარსი: **საწელიწდო დღესასწაულების სტიქარონ-წარდგომათა კრებული 1r-44v.**

სტიქარონ-წარდგომანი დალაგებულია კონსტანტინოპოლური კალენდრის მიხედვით. ხელნაწერი შეიცავს მასალას 1 სექტემბრიდან 21 ნოემბრის ჩათვლით, მაგრამ ყველა დღისა არ არის; სექტემბრისათვის შემორჩენილია ათი დღისა (1,3,5,9-11,17,18,20,25), ოქტომბრისათვის – ხუთისა (12-16), ნოემბრისათვის ცხრისა (2,6,12-16,20,21). სხვა დღეები ხელნაწერის დაზიანების გამო არ ჩანს. ყოველი დღისათვის მეტწილად მოყვანილია თითო სტიქარონი და წარდგომა.

Sin.Geo.N.17p

იოანე ოქროპირი, დაბადების თარგმანება. XII

15 ფ; თავდაპირველი ზომა 32×25; ძლიერ დაზიანებული; თავდაპირველი ფორმისაა მხოლოდ ფფ.6-10; დანარჩენებისა შენარჩუნებულია მხოლოდ ფრაგმენტები, რომლებზეც ზოგ ადგილებში ტექსტი გადასულია; ნუსხური; შავი მელანი; სათარგმანებელი ტექსტი ზოგჯერ გამოწერილია სინგურით (1v, 5v, 9v); ნაწერია ორ სვეტად, სვეტში 36 სტრიქონია; [XII ს.].

შინაარსი: **იოანე ოქროპირი, დაბადების თარგმანება 1r-15v.**

ფრაგმენტში შემორჩენილია თხზულების დასაწყისი ნაწილი დაბადების პირველი ოთხი თავის ფარგლებში; 1v-ზე სათარგმანებელი ტექსტია დაბ.1,1; 5v-ზე დაბ.3,20-21; ტექსტს თავზე სინგურით აწერია: თავი ით; 11r-ზე თარგმანებულია დაბ.4,7; 13r-ზე დაბ.4,12. ბოლო ორი ფურცლის ადგილის გარკვევა არ მოხერხდა.

დღემდე ცნობილია ამ თხზულების ერთადერთი ნუსხა: Ath.29 (XI ს.), რომელიც *თეოფილე ხუცესმონაზონის* თარგმანია და ავტოგრაფს წარმოადგენს (*კეკელიძე*, ავტორები, გვ.69; *კეკელიძე*, ლიტერატურა, გვ.246). *რ.ბლეიკის* მიხედვით, ათონური ტექსტის მთარგმნელია *თეოფილე*, ხოლო

ტექსტი შესაძლოა გვიანდელი იყოს, გადაწერილი ავტოგრაფიდან (Blake, Iviron, II, p.147). სინური ფრაგმენტის ტექსტი რედაქციულად ახლოა ათონურ ტექსტთან.

Sin.Geo.N.18p
ფსალმუნო. XII-XIII

20ფ; 15×11; ქალაქი; ცალკეული დაშლილი ფურცლები; ნუსხური, შავი მელანი; სათაურები და მუხლთა დასაწყისი საზედაო ასოები ასომთავრულითა და სინგურით; [XII-XIII სს.].

შინაარსი: **ფსალმუნი** 1r-20v.

შემორჩენილია ფს.65,11-68,7; 70,11-73,15; 74,9-78,3; 95,10-98,4; 102,16-103,9.

ტექსტი გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციისაა (*შანიძე მ.*, ფსალმუნნი; *შანიძე მ.*, თარგმანები).

Sin.Geo.N.19p
ოთხთავი. XIII

10ფ; 17×12,5; ქალაქი; ფფ.1-7 წარმოადგენს კვ რვეულის 6 ფურცელს და კდ რვეულის პირველ ფურცელს; ამიებზე აღნიშნულია საკითხავების სათვალავი; ნუსხური, შავი მელანი; საკითხავების დასაწყისი ასომთავრულით, სინგურით; [XIII ს.].

შინაარსი: 1. **ლუკას სახარება** 1r-7v.

შემორჩენილია ლკ.21,5-22,50; ტექსტი გიორგი მთაწმიდლის რედაქციისაა (*იშაიშვილი ი.*, ოთხთავი).

2. **საკითხავთა საძიებელი** 8v-10v.

საძიებელი ნაკლულია, მოიცავს სექტემბერ-ოქტომბერს, დეკემბერ-იანვარს, ივლის-აგვისტოს. 8r-ზე მოცემულია აღდგომისა და ახალკვირის საკითხავების ცხრილი.

Sin.Geo.N.20p
ფსალმუნო. XIII

2ფ; 17×12 და 16×12 (აქვეა სამი ძალზე მცირე ფრაგმენტი, რომელთაგან ერთი სირიულადაა ნაწერი); ქალაქი; ნუსხური; [XIII ს.].

შინაარსი: **ფსალმუნი** 1r-2v.

ფრაგმენტი შეიცავს ფს.118,61-118,75. ტექსტი გიორგი მთაწმიდლის რედაქციისაა (*შანიძე მ.*, ფსალმუნნი; *შანიძე მ.*, თარგმანები).

Sin.Geo.N.21p

საგალობელი. XII-XIII

3ფ; 16,5×12,5; ქალღი; ნუსხური; შავი მელანი; გალობათა სათაურები, ძლისპირისა და საგალობლის დასაწყისი ასოები ასომთავრულითა და სინგურით; [XII-XIII სს.].

შინაარსი: საგალობელი 1r-3v.

ფურცლებში წარმოდგენილია ნაწყვეტები კანონის სამი გალობიდან: **კურთხეულარსა, აკურთხევდითსა, აღიდებდითსა**. საგალობელი დაწერილია მესამე ხმაზე. (ძლისპირისათვის შდრ.*მეტრეველი*, ძლისპირნი, №№140,143,147). არა ჩანს, თუ რომელი წმინდანისადმი მიძღვნილი საგალობელი.

Sin.Geo.N.22p

ჰიმნოგრაფიული კანონი. XII-XIII

14ფ; 15×11; ქალღი; ფურცლები დაზიანებულია და დალაქავებული; დაშლილი; ნუსხური; შავი მელანი; გალობათა სათაურები სინგურით; ტროპარების დასაწყისები ასომთავრულით; [XII-XIII სს.].

შინაარსი: **ჰიმნოგრაფიული კანონი** 1r-14v.

გალობათა ტროპარები მიძღვნილია სხვადასხვა თემისადმი და დალაქავებულია ასეთი თანმიმდევრობით: **აღდგომისა, სინანულისა, ანგელოზთა, იოანე ნათლისმცემლისა, ჯვრისა, მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, მღვდელთმოდურთა, მოწამეთა, მამათა, სამების, ღმრთისმშობლისა**. მსგავსი შედგენილობის კანონი ჰიმნოგრაფიულ კრებულებში არ ჩანს. ყველა სტროფის თემა მითითებულია აშიაზე. კანონი დაწერილია მეშვიდე ხმაზე.

Sin.Geo.N.23p

ასკეტიკური კრებულის. XIII-XIV

9ფ; 18×13; ქალღი; დაშლილი, ძალზე დაზიანებული და დალაქავებული; ფ.9 ფრაგმენტი; ფ.1 პირველი რვეულის ბოლოს წარმოადგენს; 3v-ზე საკითხავის აღმნიშვნელი კთ, 4v-ზე – ლ; ტექსტი არცერთ ფურცელზე წინა ფურცლისას არ განაგრძობს; ნუსხური; მოყავისფრო მელანი; სათაურები სინგურით; გადამწერი: იოანე (3v,4r); [XIII-XIV].

შინაარსი: **შედგენილობა გაურკვეველია**.

მინაწერები ტექსტის ხელით: „ქრისტე, შეიწყალე იოანე“ 3v,4r.

Sin.Geo.N.24p

იოანე ოქროპირი, სიტყვანი. XIV-XV

8ფ. 15,5×10,5; ქალაქი; აქვს ჭვირნიშანი, რომელიც არ ირჩევა; ნუსხური; შავი მელანი; სათაურები ასომთავრულითა და სინგურით; [XIV-XV სს].

შინაარსი: **იოანე ოქროპირი, სიტყვანი 1r-8v.**

ხელნაწერი შეიცავს იოანე ოქროპირის ორი თხზულების ფრაგმენტებს:

ა) „**მარხვისათვის**“ 1r-2r (დასაწყისი აკლია; სრული ტექსტი: *აბულაძე, სწავლანი, გვ.25-26*); ბ) „**მარხვისათვის და განწმედისათვის სულისა და ძურუქსენებლობისათვის**“ 2r-8v (*აბულაძე, სწავლანი, გვ.26-44*).

ხელნაწერში ტექსტი, გამოცემულთან შედარებით, შემოკლებულია.

Sin.Geo.N.25p

ჰაბიობრაფიული კრებული. XII-XIII

2ფ; პირველი ფურცლის ზომებია 35×23; ქალაქი; ძალზე დაზიანებული; მოხეული აქვს ზედა ნაწილი; ფ.2 პატარა ფრაგმენტია (2×9), რომელზეც მხოლოდ ცალკეული სიტყვები იკითხება; ნაწერია ორ სვეტად; ნუსხური; შავი მელანი; [XII-XIII სს].

შინაარსი: **ჰაგიოგრაფიული კრებული 1r-2v.** შიგ შედის:

1. **ევსტათის წამება 1rv.**

თხზულების ბოლონაკლული ტექსტი მოიპოვება Sin.Geo.O.25 ხელნაწერში (Garitte, Catalogue, p.65). იგი შემონახულია აგრეთვე Ath.28 ხელნაწერში (1003 წ., ნ. Blake, Iviron, II, გვ.145).

2. **რიფსიმინთა მარტვილობა 2rv.**

ფრაგმენტში შემორჩენილია 38 სტრ., სადაც იკითხება სახელები: *თრდატ და რიფსიმე.* (მდრ.*აბულაძე, რიფსიმე, გვ.73*).

Sin.Geo.N.26p

მარხვანი. XIII-XIV

1ფ; 26×16,5; ქალაქი; ფურცელი შუა ნაწილში ჩახეულია. ქვემო აშია ძველადაა რესტავრირებული; ფურცლის წინა მხარე და უკანას ნახევარი დაწერილია მსხვილი ნუსხურით; ახასიათებს ქარაგმის ნიშნების დაკლებას; v-ს დანარჩენი ნაწილი—განსხვავებული ხელით, წვრილი ნუსხურით; შავი მელანი; სათაური და საზედაო ასოები სინგურით; [XIII-XIV სს].

შინაარსი: **მარხვანი 1rv.**

ფურცლის recto და verso-ს ნაწილი უჭირავს ჰიმნოგრაფიულ კანონს,

რომლისა მხოლოდ VIII და IX გალობებია შემორჩენილი. კანონის იდენტიფიკაცია ვერ მოხერხდა (შინაარსეულად შეეხება უფლის მეორედ მოსვლას და საშინელ სამსჯავროს). verso-ზე იწყება ლაზარობის მწუხრი, მოყვანილია თითო სტიქარონი I, II და III სმებზე.

Sin.Geo.N.27p
ზატიკი. XII-XIII

7ფ; 23×17; ქალღდი; ძველად რესტავრირებული; ფურცელთა ზემო ნაწილი დაზიანებულია; ნუსხური, შავი მელანი; გალობათა სათაურები და ტროპართა დასაწყისები სინგურით; [XII-XIII სს.].

შინაარსი: **ზატიკი** 1r-7v.

ფრაგმენტში შემორჩენილია აღვსების (1r), აღდგომის შემდგომი ორშაბათისა (1rv) და პარასკევის (2rv), ახალკვირის (3r-5v), განზოგების ანუ შუა ზატიკისა (6rv) და მარტვილიის (7rv) სტიქარონები, კანონები და წარდგომანი, მეტწილად ნაწყვეტების სახით. ფრაგმენტი უნდა ეკუთვნოდეს *გიორგი მთაწმიდლის* მიერ XI ს. შუა წლებში ბიზანტიური პენტეკოსტარიონის საფუძველზე შედგენილი ზატიკის უცნობ ნუსხას.

Sin.Geo.N.28p
ღმრთისმშობლის საგალობელი. XII

1ფ; 27×14,5; ქალღდი; მარცხენა ნახევარი მოჭმულია; ნუსხური; მუქი ყავისფერი მელანი; სათაური სინგურით; [XII ს.].

შინაარსი: **ღმრთისმშობლის საგალობელი** 1rv.

წინა მხარეზე იკითხება „... მოგვცესენე რლ (?), ძი, იე, პერპერაჲ, ჩჳ (?).“ უკანა მხარეზე შემონახულია სლავური ტექსტის ნაშთი სამ სტრიქონად. აქვე XIII ს. მხედრულით მიწერილი ორი ლოცვის ნაწყვეტები („მამაო ჩუენო“ და „მეუფეო ზეცათაო“). ნუსხური მინაწერის ნაშთი: „...მიტრაპოლით მოღებული“.

Sin.Geo.N.29p
ჟამნი. XIII

9ფ; 16×10; ქალღდი; ფურცლებად დაშლილი; ტექსტი მიყოლებით მიდის 1-7, 8-9 ფურცლებზე; ნუსხური, შავი მელანი; სათაური და ზოგიერთი სახედაო ასო სინგურით; [XIII ს.].

შინაარსი: **ჟამნი**. 1r-9v. ფრაგმენტში შედის:

1. ცისკრის ჟამის განგება, რომელიც წყდება 142-ე ფს.ტექსტზე 1r-7v.
2. პირველი ჟამისა და მისი შედეგის თავბოლონაკლული ტექსტი 8r-9v.

ტექსტუალურად მისდევს *გიორგი მთაწმიდლის* მიერ ბერძნულიდან თარგმნილი ჟამნის შესაბამის ნაწილებს. ამ რედაქციის ყველაზე ადრეულ ნუსხად მიჩნეულია Jer.127 (*კახაბრიშვილი*, ჟამნი). ამავე რედაქციის ხელნაწერებია: Sin.Geo.O.88 (ნაკლული ტექსტია, ნ.სინური აღწერილობა, ტ.III, გვ.197-198), Sin.Geo.N.52, Sin.Geo.N.61, Sin.Geo.N.80, Sin.Geo.N.15p.

Sin.Geo.N.30p

ღმრთისმშობლის საგალობლები. XII-XIII

4ფ; 16×11; მუქი ფერის ქაღალდი; დაფურცლული; ტექსტი მიეწოდება მიდის; აშიები შემოცვეთილია; ალაგ-ალაგ ტექსტიც დაზიანებულია; ნუსხური, შავი მელანი; საგალობელთა სახელწოდებები და საზედაო ასოები ასომთავრულითა და სინგურით; [XII-XIII სს.].

შინაარსი: ღმრთისმშობლის საგალობლები 1r-4v.

ფრაგმენტი შეიცავს ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი V და VI ხმების ორი კანონის არასრულ ტექსტებს. პირველი კანონიდან შემორჩენილია V-IX ოდები, მეორე კანონი წყდება VII ოდაზე. ეს კანონები შეტანილია *გიორგი მთაწმიდლის* მიერ ბერძნულიდან თარგმნილი პარაკლიტონის ავტოგრაფულ ხელნაწერში: Ath.45, 30rv, 193rv. (Blake, Iviron, III, p.238). მეორე კანონი შეტანილია აგრეთვე ჟამნის იმ რედაქციაში, რომელიც ბერძნულიდან თარგმნა *გიორგი მთაწმიდელმა* (Jer.127, 181r-186v; შდრ Blake, Jerusalem, III, p.136. ბლეიკის აღწერილობაში მითითებული ხელნაწერების შედგენილობა ნაჩვენებია არ არის).

გაურკვეველია, თუ რა დანიშნულების კრებულს მიეკუთვნება Sin.Geo.N.30p ფრაგმენტი.

Sin.Geo.N.31p

თვეთა მეტყველება. XIII

2ფ; 16×12; ქაღალდი; ფურცლები დალაქავებულია და დაზიანებული, მოხეულია ქვედა მარჯვენა კუთხე, შემოცვეთილია გვერდითი აშიები; ნუსხური; შავი მელანი; სათაური და საზედაო ასოები სინგურით; [XIII ს.].

შინაარსი: თვეთა მეტყველება 1r-2v.

შეიცავს ფრაგმენტს კალენდრიდან 1-23 ოქტომბრისათვის. რედაქციულად მისდევს საბაწმიდური ტიპიკონის კალენდარს, რომლის თარგმანი შემონახულია Sin.Geo.O.83 ხელნაწერში (სინური აღწერილობა, ტ.III, №83:28-50, გვ.171-173). 1,3,6,12,23 ოქტომბრის ხსენებებს ახლავს თითო ტროპარის სრული ტექსტი. თვეთა მეტყველება XII-XIII სს. შემდეგ ჩვეულებრივ შეტანილია ჟამნის ქართულ ნუსხებშია.

Sin.Geo.N.32p

საგალობელთა კრებული. XII-XIII

15ფ; 15×11; ქაღალდი, ძალზე დაზიანებული; ფურცლების ზემო ნაწილი და შუაგული ამოჭმულია; შემორჩენილია მეორე რვეულის აღმნიშვნელი ზ; ნუსხური; შავი მელანი; გალობათა სახელწოდებები სინგურით; [XII-XIII სს.].

შინაარსი: საგალობელთა კრებული 1r-15v. ხელნაწერში შედის:

1. იოანე დამასკელის ადვსების კანონი, რომელსაც მოსდევს „გამოავლინე“ და სტიქარონი 1r-9v. კანონის თარგმანი, შესრულებული X ს. I ნახევარში, შეტანილია იადგრის რამდენიმე სინურ ხელნაწერში (სინური აღწერილობა, ტ. I, №1:VIII, 1, გვ.22; №14:III, 42, გვ.45; №26:II, 11, გვ.82; №34:VI,7, გვ.104; №64:II, 67დ, გვ.199). კანონი ხელახლა თარგმნა გიორგი მთაწმიდელმა და თავის მარხვან-ზატიკში შეიტანა როგორც კანონის საკუთარი თარგმანი, ისე იადგრიდან მომდინარეც. (ნ. Ath.63, XI ს. 14r-19r. ამ ნუსხაში ჩართულია ეფრემ მცირის თარგმანიც, 8r-13v. შდრ. Blake, Iviron, III, p.252, სადაც ხელნაწერის შედგენილობა ნაჩვენებია არ არის). Sin.Geo.N.32p ხელნაწერის ტექსტი გიორგი მთაწმიდლის მარხვანიდან უნდა იყოს აღებული.

2. აღსავალნი 9v-15v. წარმოადგენს ნაწყვეტს საკვირაო საცისკრო ანტიფონური გალობის რვახმიანი კომპლექტიდან, რომელიც თეოდორე სტუდიელს მიეწერება. მოღწეულია VIII, I და II ხმების საგალობლები. ქართულად ნათარგმნია გიორგი მთაწმიდლის მიერ. ყველაზე ადრე ნახსენებია გიორგი მთაწმიდლის რედაქციის პარაკლიტონის ავტოგრაფული ნუსხის ზანდუკში – Ath.45, 3r. (რ.ბლეიკის აღწერილობაში ხელნაწერის შედგენილობა ნაჩვენებია არ არის. შდრ. Blake, Iviron, III, p.238).

Sin.Geo.N.33p

სხვადასხვა შრამმენტები

ა) 1ფ; 13×11; ქაღალდი; ნუსხური; [XIII ს.].

შინაარსი: საგალობელი (?) 1rv.

ბ) 1ფ; 15×12. ქაღალდი; ნუსხური; შავი მელანი; [XIII-XIV სს.].

შინაარსი: ლოცვა (?) 1rv.

გ) 1ფ. 25×16; ქაღალდი; ნუსხური; შავი მელანი; [XII ს.].

შინაარსი: სინანულის საგალობელი (?) 1rv.

დ). 1ფ; კიდებშემოჭმული, თავდაპირველი ზომა უნდა ყოფილიყო 28×20.[XIII ს.?.]

შინაარსი: გაურკვეველია 1rv.

გრაგნილები

Sin.Geo.N.1s

ბასილი დიდი, ჟამისწირვა. XIII

გრაგნილი; ეტრატი; 184×16; შედგება 4 კეფისაგან; I: 54×16; II: 55×18; III: 51,5×18; IV: 56×17,5; დახვეულია მრგვალ ჯოხზე, რომელსაც ორივე ბოლოზე დამცველი თავები აქვს; თავნაკლული; ნუსხური; სათაურები სინგურით; საზედაო ასოები გაფორმებულია ფოთლოვანი ლამაზი ორნამენტით; [XIII ს.].

შინაარსი: **ბასილი დიდი, ჟამისწირვა.**

ჟამისწირვის ტექსტი გამოქვეყნებულია (ქაჯაია, ბასილი; შდრ. გვ.298-317). გრაგნილის ტექსტი მიჰყვება დაბეჭდილისას მცირეოდენი სხვაობებით. აშეიბზე არის გვიანდელი მინაწერები.

Sin.Geo.N.2s

საგალობლები. X-XI

გრაგნილი; ეტრატი; 184×16(16,5); შედგება 4 კეფისაგან; I: 40×16; II: 78×16,5; III: 34×16,5; IV: 32×16,5; თავბოლონაკლული; გრაგნილის გარეთა მხარე გაყვითლებულია და დალაქავებული; განსაკუთრებით დაზიანებულია პირველი კეფი, ნაწილობრივ მეორეც; ალაგ-ალაგ ეტრატი ამოჭმულია; გრაგნილის ორივე მხარეს ტექსტი ერთი მიმართულებით არის დაწერილი; ნაწერია სხვადასხვა ხელით, შესაძლოა სხვადასხვა დროს; განსხვავებულია მელანც; გარეთა მხარე (recto) ნაწერია ნუსხურით, მოყავისფრო მელნით; შიდა მხარეს ნუსხური ტექსტი ნაწერია შავი მელნით; საგალობელთა სათაურები და ტროპართა დასაწყისი ასოები ორივე მხარეს შესრულებულია ასომთავრულით, სინგურით; შიდა მხარეზე საგალობლებს აქვს რიტმული დაყოფა, რომლისთვისაც გამოყენებულია წითელი წერტილები და სინგურით გამოყვანილი ნევმები; [X-XI სს.].

შინაარსი: **საგალობლები.** შიგ შედის:

გრაგნილის გარეთა მხარეზე: **ქრისტეს შობის დღესასწაულის საგალობლები:** 1. კოზმა იერუსალიმელის ჰიმნოგრაფიული კანონი. ქართული თარგმანი თითქმის ზუსტად თანხვდება იმ ტექსტს, რომელიც შეტანილია X ს. იადგრის ერთ-ერთ უძველეს სინურ ნუსხაში (Sin.Geo.O.1, 35v-37v; ნ. სინური აღწერილობა, ტ.I, №1: V,3, გვ.15. ავტორი მითითებულია

სათაურშივე). ბერძნული ტექსტისაგან განსხვავებით, ქართული თარგმანი (ისევე, როგორც Sin.Geo.O. 1 ხელნაწერში) შევსებულია მეორე გალობით. იგივე ტექსტი იხ. Sin.Geo.N.3s. recto 2. **ორი სტიქარონი "აქებდითსას" ზელა.** ეს სტიქარონებიც შეტანილია Sin.Geo.O.1 ხელნაწერში (37r; სინური აღწერილობა, ტ.I, №1: V,3,გვ.16). 3. **იბაკოები**, რომლებიც დალაგებულია ხმათა თანმიმდევრობით. ბოლონაკლულ გრაგნილზე შემორჩენილია ყველა ძირითადი ხმისა და პირველი გვერდითი ხმის იბაკოები. ზოგიერთი მათგანი დადასტურებულია იადგრის უძველეს რედაქციაში (შდრ.უძველესი იადგარი, გვ.335-336), რაც ტექსტის სიძველეზე მიუთითებს.

გრაგნილის შიდა მხარეზე მოთავსებულია **საგალობლები ჯვრისა და აღდგომის თემაზე**: თავნაკლული კანონი, რომელიც იწყება მესამე გალობით, და „აქებდითსა“. ეს საგალობლები დაწესებულია 7 მაისის ჯვრის გამოჩინების დღესასწაულზე (შდრ.სინური აღწერილობა, ტ.I, №1: IX,8, გვ.24-25; №64: II, 86, გვ.208). საგალობლების ტექსტი ხელნაწერში ზემოდასახელებული ხელნაწერებისას თანხვდება. იადგრისაგან განსხვავებით, გრაგნილზე კანონის ტექსტი შევსებულია სხვა კანონის ტროპარებით. (შდრ.სინური აღწერილობა, ტ.I, №1: XI, 8, გვ.38; №65: V, 8, გვ.229). ამ ტროპარების ტექსტის თარგმანი არ ემთხვევა იადგრისას.

Sin.Geo.N.3s

საგალობლები XII-XIII

გრაგნილი; 103×16 (16,5); ეტრატი; შედგება ორი კეფისაგან I:37×16 (16,5); II:66×16; თავბოლონაკლული; ბოლოში დარჩენილია ძაფი, რომლითაც გადაბმული იყო კიდევ ერთი კეფი; გრაგნილი დასაწყისში დაზიანებულია 15 სტრიქონის ფარგლებში, მარცხენა ზელა კუთხე და გვერდითი ნაწილი მეცამეტე-მეთხუთმეტე სტრიქონთა გასწვრივ მოხეულია; ეტრატი ადგილ-ადგილ ჩამუქებულია, განსაკუთრებით შიდა მხარეს; გრაგნილის გარეთა მხარე (recto) დაწერილია ნუსხურით, შავი მეღნით; მეღანი გასულია მეორე მხარეს; [X ს.]. შიდა მხარე (verso) მეტწილად ნაწერია გარეთა მხრის სტრიქონთა შორის ნუსხურით, ყავისფერი მეღნით; ხელი ძნელი ამოსაკითხავია; [XII-XIII სს].

შინაარსი: **საგალობლები.**

გარეთა მხარეზე მოთავსებულია **ქრისტეს შობის დღესასწაულის კანონი**, რომელიც **კოზმა იერუსალიმელს** ეკუთვნის. ტექსტი ბოლონაკლულია, წყდება VIII გალობაზე. იგი თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს ტექსტს, რომელიც ნათარგმნია X ს. პირველ ნახევარში და შეტანილია იადგრის ერთერთ უძველეს ნუსხაში – Sin.Geo.O.1 (35v-37r. შდრ.სინური აღწერილობა, ტ.I, №1:V,3, გვ.15). ბერძნული ტექსტისაგან განსხვავებით, ქართული თარგმანი შევსებულია

მეორე გალობით. კანონის იგივე ტექსტი იხ. Sin.Geo.N.2s. recto.

გრაგნილის შიდა მხარეს ტექსტი, რომელიც შედარებით გვიან (XII-XIII სს.) არის ჩაწერილი მეორე მხრიდან გამოსულ სტრიქონთა შორის, შეიცავს **სხვადასხვა შინაარსისა და ლიტურგიკული დანიშნულების სტიქარონებს**; მათი სრულად ამოკითხვა და იდენტიფიკაცია ჯერჯერობით არ ხერხდება.

Sin.Geo.N.4s

ბასილი დიდი, ჟამისწირვა. XIII

გრაგნილი; 81×17; ეტრატი; შედგება ორი კეფისაგან; I: 25×17; II: 56×17; ნაწერია ორივე მხარეს; თავბოლონაკლული; ნუსხური; შავი მელანი, აქა-იქ გამოყენებულია სინგური; [XIII ს].

შინაარსი: **ბასილი დიდი, ჟამისწირვა.**

ტექსტი შედგენილობით მიჰყვება გამოცემას (შდრ. *ქაჯაია*, ბასილი, 308-312 გვერდებს შორის). თარგმანი განსხვავებული ჩანს.

Sin.Geo.N.5s

ბასილი დიდი, ჟამისწირვა. XIII

გრაგნილი; ეტრატი; 31,5×17; ერთი კეფი; ძალზე დაზიანებული, გაყვითლებული, თავბოლონაკლული; ნუსხური; შავი მელანი; ლიტურგიკული შენიშვნების დასაწყისი სინგურით და ასომთავრულით; [XIII ს].

შინაარსი: **ბასილი დიდი, ჟამისწირვა.**

გრაგნილში შემორჩენილია სიწმიდის შემოყვანების ლოცვის ტექსტი, რომელიც მიჰყვება გამოცემულს (შდრ. *ქაჯაია*, ბასილი, გვ.267-268). დანარჩენი ნაწილი განსხვავებულია გამოცემული ტექსტისაგან.

Sin.Geo.N.6s

ჟამისწირვა. XIII

გრაგნილი; ქალაღი; 149×24; ორი კეფი; I:90×24; II:59×24; დაზიანებულია, განსაკუთრებით დასაწყისი; ჩამოხეული აქვს მარჯვენა მხარე; გრაგნილი აღუდგენიათ მოგვიანებით, პირველად, ალბათ, XV ს-ში, მეორედ—XVI ს-ში; ნუსხური, შავი მელანი, გამოყენებულია სინგურიც; გადამწერი: **არსენი ხობელისძე**; [XIII ს.].

შინაარსი: **ჟამისწირვა.**

გრაგნილის ტექსტი არ მიჰყვება ჩვენთვის ცნობილი ჟამისწირვების ტექსტს. ზოგიერთი ადგილი ერთგვარ სიახლოვეს იჩენს **ბასილი** დიდის ჟამისწირვასთან.

ანდერძი: გადამწერისა “ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ჩემ ცოდვილისა არსენისთვის. სინას ვინცა განაახლებდე, ასრე განაახლებდე, ვითა ამას შინა სწერია. არ-დებად მესმა და არა დავიცონე ცოდვილმან არსენი ხობელისძემან”.

მინაწერები: 1. “ამა სიწმიდისა განახლებისა ახლად შემკაზმავსა ჩიდანისძესა ელია ყოფილ ელისეს, მშობელთა და ძმთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან. ამინ. და ვინცა ჩემთვის შენდობად ბრძანოთ, თქვენცა შეგინდოს ღმერთმან, ამინ” (XIV ს. ნუსხურით).

2. „სულსა ნიკოლოზ გარეჯელისა და მშობელთა მისთა ყოველთა შეუნდვენ ღმერთმან, ამინ“. (იმავე ხელით).

Sin.Geo.N.7s

ზიარების ლოცვები. XV

გრაგნილი; ქალაღი; 30×18,5; ერთი კეფი; ნაწერია ორივე მხარეს; თავბოლონაკლული; გრაგნილის მარჯვენა კიდე დაზიანებულია, რის გამოც ტექსტის ნაწილი დაკარგულია; რესტავრირებული; ნუსხური; შავი მელანი, სათაურები სინგურით; გადამწერი: ელისე. [XV ს.]

შინაარსი: ზიარების ლოცვები. გრაგნილში მოცემულია:

1. თავნაკლული ტექსტი ლოცვისა, რომელიც იოანე ოქროპირს მიეწერება (მდრ. აღწერილობა A-II/1, № 451: 4ბ, გვ. 145)
2. მეორე ლოცვა სრული ტექსტით: უნდა ეკუთვნოდეს ასევე იოანე ოქროპირს (მდრ. აღწერილობა A-II/1, № 417: 17, გვ. 41).
3. მესამე ლოცვა, რომლის ავტორად გრაგნილში იოანე ოქროპირია დასახელებული. ტექსტი ბოლონაკლულია.

გრაგნილის ზოგიერთი ლოცვის ტექსტი ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

ანდერძი: “ელისეს შეუნდვენ ღმერთმან, ამინ“.

Sin.Geo.N.8s

იოანე ოქროპირი, შამისწირვა. XVI

გრაგნილი; ქალაღი; 108×12; შემორჩენილია სამი კეფის ნაწილები; თავნაკლული, დაზიანებული; მარჯვენა მხარე ჩამოხეულია; რესტავრირებულია ძველად; ნუსხური; შავი მელანი, გვხვდება სინგურიც; [XVI ს.].

შინაარსი: იოანე ოქროპირი, შამისწირვა.

გრაგნილის შემორჩენილ ნაწილებში შესულია: კათაკმეველთა განტევება, სიწმიდის შემოყვანება, მორწმუნეთა წირვა (მდრ. Tarchnischvili, Liturgiae, გვ.70,71,74,78,80). ხელნაწერის ტექსტი ზოგიერთ სხვაობას აჩვენებს გამოცემულ ტექსტთან შედარებით.

Sin.Geo.N.9s

ბასილი დიდი, ჟამისწირვა. XIII

გრაგნილი; ეტრათი; 39×17; ძალზე დაზიანებული, ამოჭმული, თავბოლონაკლული; ნაწერია ორივე მხარეს; ნუსხური; შავი მელანი, სათაურებისათვის გამოყენებულია სინგური. [XIII ს.].

შინაარსი: **ბასილი დიდი, ჟამისწირვა.**

შემორჩენილ ფრაგმენტებში წარმოდგენილია ლოცვა "შემდგომად სიწმიდის შემოყვანებისა". გარეთა (recto) მხარეზე ტექსტი შინაარსობრივ მიჰყვება ბასილი დიდის ჟამისწირვის გამოცემულ ტექსტს (ქაჯაია, ბასილი) 306-308 გვერდებზე, შიდა მხარეზე – 313-314 გვერდებზე, თუმცა გამოცემულს მთლიანად არ ემთხვევა.

Sin.Geo.N.10s

ჟამისწირვა. XIII

სამი მცირე ფრაგმენტი; ქაღალდი; 2 თითო სტრიქონია, 1 დაუწერელია; შემორჩენილია გრაგნილის დასახვევი ჯოხი; ნუსხური; შავი მელანი; საზედაო ასოებად გამოყენებულია სინგურით გამოყვანილი ასომთავრული გრაფემები. [XIII ს.].

საერთო სია ხელნაწერებისა

ეპიტაფიის ხელნაწერები

Sin.Geo.N.1	სვინაქსარი. XI.....	245
Sin.Geo.N.2	იადგარი. X (987 წ. შემდეგ).....	246
Sin.Geo.N.3	ჰაგიოგრაფიული კრებული. X.....	248
Sin.Geo.N.4	ანბანური პატერიკი. X.....	249
Sin.Geo.N.5	იადგარი. X.....	249
Sin.Geo.N.6	საწინასწარმეტყველო. XII-XIII.....	250
Sin.Geo.N.7	საგალობელთა კრებული. XIII (პალიმფსესტი).....	251
Sin.Geo.N.8	სამოციქულო. 977.....	252
Sin.Geo.N.9	საქმე მოციქულთა. XI.....	253
Sin.Geo.N.10	იერუსალიმური ლექციონარი. IX.....	253
Sin.Geo.N.11	იერუსალიმური ლექციონარი. X.....	254
Sin.Geo.N.12	ოთხთავი. 1075.....	254
Sin.Geo.N.13	ასკეტიკური და ჰაგიოგრაფიული კრებული. X (პალიმფსესტი).....	257
Sin.Geo.N.14	პარაკლიტონი. 1044.....	259
Sin.Geo.N.15	ფსალმუნი. X.....	260
Sin.Geo.N.16	საგალობლები. XII.....	261
Sin.Geo.N.17	ჰაგიოგრაფიული კრებული. X.....	262
Sin.Geo.N.18	თვენი. XI-XII.....	263
Sin.Geo.N.19	იადგარი. 980.....	264
Sin.Geo.N.20	ალექსანდრე კვიპრელი, ჯვრის პოვნის საკითხავი. 986.....	266
Sin.Geo.N.21	ფსალმუნი. X.....	267
Sin.Geo.N.22	ლიტურგიკული კრებული. X.....	268
Sin.Geo.N.23	ჟამნი. 986.....	269
Sin.Geo.N.24	თვენი. XI.....	270
Sin.Geo.N.25	პარაკლიტონი. XI.....	270
Sin.Geo.N.26	ლიტურგიკული კრებული. IX-X.....	271
Sin.Geo.N.27	პროხორე, იოანე ღვთისმეტყველის ცხოვრება. XI.....	272
Sin.Geo.N.28	პოლიბიოსი, ეპიფანეს ცხოვრება. XI.....	273
Sin.Geo.N.29	იადგარი. X.....	273
Sin.Geo.N.30	პარაკლიტონი. XII.....	273

Sin.Geo.N.31	ლიტურგიკული კრებული. IX-X.....	274
Sin.Geo.N.32	ეფრემ ასური, შეგონებანი. X.....	274
Sin.Geo.N.33	იაკობის ჟამისწირვა. X.....	275
Sin.Geo.N.34	იადგარი. X.....	275
Sin.Geo.N.35	ლიტურგიკული კრებული. X.....	276
Sin.Geo.N.36	იადგარი. X.....	276
Sin.Geo.N.37	იადგარი. X.....	277
Sin.Geo.N.38	იადგარი. X.....	277
Sin.Geo.N.39	იადგარი. X.....	277
Sin.Geo.N.40	პარაკლიტონი. XI.....	278
Sin.Geo.N.41	თვენი. XI.....	278
Sin.Geo.N.42	იოანე ოქროპირი, მარგალიტი. XI-XII.....	279
Sin.Geo.N.43	პოლიბიოსი, ეპიფანეს ცხოვრება. XI-XII.....	280
Sin.Geo.N.44	ფსალმუნისა და ლოცვანის ფრაგმენტები. X-XI.....	280
Sin.Geo.N.45	იბაკონი. XII.....	280
Sin.Geo.N.46	იადგარი. X.....	281
Sin.Geo.N.47	იოანე ოქროპირი, სწავლა წიგნის მკითხველთათვის. XI	281
Sin.Geo.N.48	ქართლის მოქცევა. X.....	281
Sin.Geo.N.49	კურთხევანი. XI-XII.....	282
Sin.Geo.N.50	ისტორიული და ჰაგიოგრაფიული კრებული. X ს.-ის I ნახ.....	283
Sin.Geo.N.51	ფსალმუნი. X.....	284
Sin.Geo.N.52	ჟამნი. XII-XIII (პალიმფსესტი).....	285
Sin.Geo.N.53	ლიტურგიკული კრებული. X.....	285
Sin.Geo.N.54	იაკობის, ბასილის, იოანე ოქროპირის ჟამისწირვები, X.....	286
Sin.Geo.N.55	ანბანური პატერიკი. X (პალიმფსესტი).....	288
Sin.Geo.N.56	იადგარი. X.....	288
Sin.Geo.N.57	პარაკლიტონი. XI.....	289
Sin.Geo.N.58	ლიტურგიკული კრებული. IX-X.....	290
Sin.Geo.N.59	ლიტურგიკული კრებული. XI-XII (პალიმფსესტი).....	291
Sin.Geo.N.60	ლეონტი ნეაპოლელი, იოანე მოწყალის ცხოვრება. XI-XII.....	292
Sin.Geo.N.61	ჟამნი. XII.....	292
Sin.Geo.N.62	ლიტურგიკული კრებული. XII.....	293
Sin.Geo.N.63	იაკობის ჟამისწირვა. X.....	293
Sin.Geo.N.64	ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. X.....	294
Sin.Geo.N.65	იაკობის ჟამისწირვა. X.....	294
Sin.Geo.N.66	იოანე ოქროპირის ჟამისწირვა. X.....	295
Sin.Geo.N.67	სინელ მამათა სწავლანი. 974 წლამდე.....	295

Sin.Geo.N.68	ჟამისწირვა. XI.....	296
Sin.Geo.N.69	ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. X (პალიმფსესტი)....	296
Sin.Geo.N.70	იაკობის ჟამისწირვა. X.....	297
Sin.Geo.N.71	სახარების საკითხავთა განწესება. X (პალიმფსესტი)	297
Sin.Geo.N.72	კურთხევანი. XIII.....	298
Sin.Geo.N.73	იაღვარი. X.....	299
Sin.Geo.N.74	იაღვარი. X.....	299
Sin.Geo.N.75	აპოკრიფული და ჰომილეტიკური ტექსტები. X.....	300
Sin.Geo.N.76	პარაკლიტონი. XI.....	300
Sin.Geo.N.77	იერუსალიმური ლექციონარი. IX-X.....	301
Sin.Geo.N.78	ღმრთისმშობლის საგალობელი. XI-XII.....	301
Sin.Geo.N.79	იაკობის ჟამისწირვა. X.....	301
Sin.Geo.N.80	ჟამნი. XI	302
Sin.Geo.N.81	იაკობის ჟამისწირვა. X.....	302
Sin.Geo.N.82	ფსალმუნი. XI-XII.....	302
Sin.Geo.N.83	იაკობის ჟამისწირვა. X.....	303
Sin.Geo.N.84	პატერიკი. X-XI.....	303
Sin.Geo.N.85	ფსალმუნი. XII-XIII	303
Sin.Geo.N.86	ლოცვები. XII-XIII.....	304
Sin.Geo.N.87	იაღვარი. X ს. II ნახევარი.....	304
Sin.Geo.N.88	იერუსალიმური ლექციონარი. X.....	304
Sin.Geo.N.89	სინური მრავალთავი (ფრაგმენტი). 864	305
Sin.Geo.N.90	პატერიკი. X-XI (პალიმფსესტი).....	306
Sin.Geo.N.91	ლოცვა. XI.....	307
Sin.Geo.N.92	აღდგომელ ოქროპირის წერილი სინელ მამა ნიკოლოზისადმი. XV-XVI.....	308
Sin.Geo.N.93	უცნობი ხელნაწერის ანდერძები. X.....	308
Sin.Geo.N.94	კირილე სკვითოპოლელი, წმ.ეფთვიმის ცხოვრება. X.....	308
Sin.Geo.N.95	იაღვარი. X (987 წ.შემდეგ)	309
Sin.Geo.N.96	იაღვარი. X.....	310
Sin.Geo.N.97	იაღვარი. X (პალიმფსესტი)	310
Sin.Geo.N.98	იოანე ოქროპირი, სწავლა ღმრთის შიშისა და სინანულისათვის. X.....	310
Sin.Geo.N.99	პატერიკული თხრობა. XII.....	311

ქაღალდის ხელნაწერები

Sin.Geo.N.1p	იოანე სინელი, კლემაქსი. XII-XIII.....	313
Sin.Geo.N.2p	ფსალმუნი. XII-XIII	313
Sin.Geo.N.3p	ლიტურგიკული, ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური ტექსტები. XII-XIII.....	314
Sin.Geo.N.4p	მარინას წამება. XII-XIII	314
Sin.Geo.N.5p	დაუდგენელი შინაარსის ფრაგმენტი. XI.....	315
Sin.Geo.N.6p	ჰომილეტიკური კრებული. XII-XIII.....	315
Sin.Geo.N.7p	გრიგოლ ნოსელი, ევრემ ასურის შესხმა. XII-XIII.....	316
Sin.Geo.N.8p	საწინასწარმეტყველო. XII-XIII	316
Sin.Geo.N.9p	გერმანე კონსტანტინოპოლელი. მიქაელ მთავარანგელოზის სასწაულნი. XII-XIII.....	317
Sin.Geo.N.10p	ანდრია კრიტელი. დიდი კანონი. XII-XIII.....	317
Sin.Geo.N.11p	კირილე სკვიტოპოლელი, წმ.ეფთვიმის ცხოვრება. XII.....	318
Sin.Geo.N.12p	ნიკოლოზ მირონლუკიელის ცხოვრება. XII.....	318
Sin.Geo.N.13p	ასკეტიკური თხზულება. XII-XIII.....	318
Sin.Geo.N.14p	სახარების საკითხავები. XI-XII.....	318
Sin.Geo.N.15p	ჟამნი. XIII-XIV	319
Sin.Geo.N.16p	საწელიწდო დღესასწაულების სტიქარონ-წარდგომათა კრებული. XII-XIII.....	320
Sin.Geo.N.17p	იოანე ოქროპირი, დაბადების თარგმანება. XII	320
Sin.Geo.N.18p	ფსალმუნი. XII-XIII	321
Sin.Geo.N.19p	ოთხთავი. XIII.....	321
Sin.Geo.N.20p	ფსალმუნი. XIII	321
Sin.Geo.N.21p	საგალობელი. XII-XIII.....	322
Sin.Geo.N.22p	ჰიმნოგრაფიული კანონი. XII-XIII	322
Sin.Geo.N.23p	ასკეტიკური კრებული. XIII-XIV.....	322
Sin.Geo.N.24p	იოანე ოქროპირი, სიტყვანი. XIV-XV	323
Sin.Geo.N.25p	ჰაგიოგრაფიული კრებული. XII-XIII.....	323
Sin.Geo.N.26p	მარხვანი. XIII-XIV	323
Sin.Geo.N.27p	ზატიკი. XII-XIII	324
Sin.Geo.N.28p	ღმრთისმშობლის საგალობლები. XII.....	324
Sin.Geo.N.29p	ჟამნი. XIII	324
Sin.Geo.N.30p	ღმრთისმშობლის საგალობლები. XII-XIII	325
Sin.Geo.N.31p	თვეთა მეტყველება. XIII	325
Sin.Geo.N.32p	საგალობელთა კრებული. XII-XIII	326
Sin.Geo.N.33p	სხვადასხვა ფრაგმენტები. XIII-XIV.....	326

ბრახმეოლები

Sin.Geo.N.1s (ეტრატი)	ბასილი დიდი, ჟამისწირვა. XIII	327
Sin.Geo.N.2s (ეტრატი)	საგალობლები. X-XI.....	327
Sin.Geo.N.3s (ეტრატი)	საგალობლები. XII-XIII	328
Sin.Geo.N.4s (ეტრატი)	ბასილი დიდი, ჟამისწირვა. XIII	329
Sin.Geo.N.5s (ეტრატი)	ბასილი დიდი, ჟამისწირვა XIII	329
Sin.Geo.N.6s (ქალაღი)	ჟამისწირვა. XIII	329
Sin.Geo.N.7s (ქალაღი)	ზიარების ლოცვები. XV.....	330
Sin.Geo.N.8s (ქალაღი)	იოანე ოქროპირი, ჟამისწირვა. XVI.....	330
Sin.Geo.N.9s (ეტრატი)	ბასილი დიდი, ჟამისწირვა. XIII	331
Sin.Geo.N.10s (ქალაღი)	ჟამისწირვა? (ფრაგმენტები). XIII	331